დამოუკიდებელი და ზეპარტიული
WWW.ASAVALI.COM
# ასავალ დასავალი
2022 წლის 2 - 8 მაისი
N 19 1431
ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

მივმართავთ შს მინისტრს და სუს-ის ხელმძღვანელს:

# აღკვეთეთ სიკვდილით ვაჭრობა!




Search for delivery man
Payment of 1500$ for week
Contacts on the website:
ABC48.CC

თბილისის ქუჩებში გამოჩნდა **შემზარავი** სარეკლამო განცხადება!

2



11

## კაცი, რომელიც სიძულვილსაც არ იმსახურებს!

## АРЕСТოვიჩებო, პოდოლიაკებო და სხვა პოლიტიკურო



6





დღეს რომ საქართველო რუსეთისა და ამერიკის საომარ პოლიგონად არ არის ქცეული, თბილისი არ იბომბება და ქვეყანაში ბუჩა, მარიუპოლი და ირპინი არ გვაქვს, ეს სწორედ ბიძინა ივანიშვილის დამსახურებაა, რომელმაც ხელისუფლება მიატოვა, მაგრამ არ მიუტოვებია ყველაზე მთავარი —

**საქართველო!**

## პოდონკებო, საქართველოს ომში არ ჩაგათრევინებთ!

4-5

# უკვდავი მიშჩეი,

ანუ რამდენჯერ კვდებოდა და რამდენჯერ არ მოკვდა სააკაშვილი



7

ხელისუფლებავ, არც კი გაბედო მიხეილ სააკაშვილის საზღვარგარეთ „სამკურნალოდ“ გაშვება!




## კატის ფილოსოფია

8

რუსული საფრთხე და რუსი დივერსანტები არა კედელზე მიხატულ კატაში, არამედ იმ პოლიტიკურ სავირთხეთში უნდა მოვიკითხოთ, რომელსაც ნაციონალური მოძრაობა ჰქვია!











# არ გაყიდოთ და

*მაშინ, როცა ქართულ მედიასაშუალებათა და მოქალაქეთა ერთ ნაწილს თბილისის შენობების კედლებზე კატების დახატვასთან დაკავშირებით აჟიოტაჟი აქვს ატეხილი და ცხოველის გრაფიკული გამოსახულების მიღმა სავარაუდო რუსული დივერსიის კვალს ეძებს, თბილისის ქუჩებში მართლაც შემაშფოთებელი და საგანგაშო სარეკლამო განცხადებები გაჩნდა.*




## თბილისის ქუჩებში გამოჩნდა სარეკლამო განცხადება, რომლითაც მოქალაქეებს ნარკოტიკების გამსაღებლად დასაქმებას სთავაზობენ!

დიახ, **ბოლო რამდენიმე დღეა, თბილისის სხვადასხვა უბანში საცხოვრებელი კორპუსების ფასადებზე, ელექტრონის ბოძებსა და სამშენებლო ღობეებზე გაკრულია თეთრ ქაღალდზე შავი შრიფტით დაბეჭდილი ინგლისურენოვანი ტექსტი, რომლითაც გაურკვეველი კომპანია ადამიანებს ე.წ. მიტანის სერვისში დასაქმებას სთავაზობს და ანაზღაურების სახით თვეში 1500 ამერიკულ დოლარს ჰპირდება.** იქვე მითითებულია ვებ-გვერდის მისამართი, რომელზეც **კურიერად დასაქმების** მსურველი პოტენციური დამსაქმებელს უნდა დაუკავშირდეს.

**იფ, მართლაც მაცდური შემოთავაზებაა: 1500 დოლარი, ანუ 4500 ლარზე მეტი თვეში და თანაც, ისეთ არცთუ საძნელო საქმეში, როგორიც კურიერობაა** — კონკრეტულ მისამართზე კონკრეტულ შეკვეთას მიიტან მოპედით, ველოსიპედით ან ავტომობილით და სულ ეგ არის! **ვერაფერს იტყვი, მინისტრის ხელფასია და პირველ ეჭვს სწორედ ეს აჩენს — ქართული რეალობისათვის უჩვეულოდ მაღალი ანაზღაურება!** რაიმე თაღლითურ სქემაში ხომ არ გვეპატიჟებიან? ან საქართველოში, თბილისში, სადაც მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ქართულენოვანია, დასაქმების შესახებ განცხადება ინგლისურ ენაზე რატომ გამოაკრეს? **პოტენციური დამქირავებლის სამიზნე ჯგუფს თბილისში მცხოვრები უცხოელები ან საქართველოს მხოლოდ ის მოქალაქეები ხომ არ წარმოადგენენ, რომლებიც ინგლისურ ენას ფლობენ? სარეკლამო ტექსტი ინგლისურ ენაზე იქნებ იმიტომ არის შედგენილი, რომ საშუალო სტატისტიკურ მოქალაქეში მეტი ნდობა გამოიწვიოს — სამსახურს არა ქართული, რუსული ან რომელიმე პოსტსაბჭოთა ქვეყნის, არამედ ევროპული ან ამერიკული კომპანია გთავაზობთო?**

მოკლედ, დავეჭვდით და გადავწყვიტეთ, ღრმად ჩავძიებოდით კურიერად დასაქმებისა და თვეში 1500-დოლარიანი ანაზღაურების შემომთავაზებელ მომნუსხველ განცხადებას. პირველი, რაც გავაკეთეთ — **განცხადებაში მითითებულ საიტზე შევედით, რომელიც რუსულენოვანი აღმოჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ ქალაქში გამოკრული განცხადებები ინგლისურ ენაზეა შედგენილი.** მივყევით ინსტრუქციას, გადავედით საიტის მიერ შემოთავაზებულ ლინკზე და თავი ამოვყავით საკომუნიკაციო აპლიკაციის — **„ვოცაპის“ ე.წ. ჩათში,** რომელიც მობილური ტელეფონის რუსული ნომრით ოპერირებს. მიუხედავად ამისა, შეტყობინება ინგლისურ ენაზე გავგზავნეთ — **„გამარჯობა, თქვენი განცხადება ვნახე, რა სამუშაოს გვთავაზობთ?“** თუმცა, პასუხი რუსულ ენაზე მოგვწერეს — **„დღე მშვიდობისა. ვაკანსიისა და დასაქმების პირობების დასაზუსტებლად მიუთითეთ თქვენი ქალაქი და ასაკი“.**

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, მიმოწერის შედეგად გავარკვიეთ, რომ დასაქმების პირობები და სამუშაოს სპეციფიკა ასეთია: **გადმოგვცემენ კონკრეტული ობიექტის კოორდინატებს, საიდანაც გარკვეული რაოდენობის საქონელი უნდა წამოვიღოთ და წინასწარ შეთანხმებულ ლოკაციაზე მივიტანოთ, ხოლო, როცა „ამანათს“ ადგილზე დავტოვებთ, ფოტო გადავუღოთ და სულ ამით ამოიწურება ჩვენი ფუნქცია.** როგორც განგვიმარტეს, დასაქმებული პირი, ანუ კურიერი დღეში საშუალოდ **20-დან 40-მდე შეკვეთის** მიტანას ასწრებს, თითო შეკვეთის მიტანაში კი დამსაქმებელი 4-6 დოლარს იხდის. მაგალითად, **დღეში 30 შეკვეთას თუ შეასრულებ, შენი გამომუშავებული თანხა 180 დოლარი იქნება, რაც 5 სამუშაო დღეში 900 დოლარს შეადგენს, ხოლო, თუ დღეში 40 შეკვეთას შეასრულებ და შაბათ-კვირასაც იმუშავებ, თვეში 1500 დოლარი დაგიგროვდება.** ანაზღაურება კვირაში ერთხელ მოხდება და ფულს **ბიტკოინის ან კივის ელექტრონულ საფულეში ან კიდევ საბანკო ბარათზე ჩაგირიცხავენ.**

როცა კითხვა დავუსვით, თუ რა სახის პროდუქციის გადატანა მოგვიწევდა კურიერად დასაქმების შემთხვევაში, მოგვწერეს, რომ ჩვენ მიერ გადასატანი საქონელი იქნებოდა **„მარილი,**







## ნუ გადაიქცევით

### კვირგვინოსნები

**ირაკლი ღარიბაშვილი**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



ვიცი, რომ **იმედი გავუწბილე ყველა ვითომ მეგობარს, რომლებსაც სურდათ ომი ჩვენს ქვეყანაში,** არანაირი მეორე ფრონტი და ომი არ იქნება საქართველოში. **მე ვპირდები მათ, რომ ყოველთვის გავუწბილებ იმედებს.**

„რეზონანსი“

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



მმართველ პარტიას აქვს ძალიან დიდი მხარდაჭერა საზოგადოების მხრიდან. ეს ყოველდღიურ ცხოვრებაშიც ჩანს, იმიტომ, რომ **ჩვენ ვართ პარტია, რომელიც ზრუნავს ხალხზე.** შეიძლება, რაღაც შეცდომები ჩვენც გვაქვს, რაღაცის გაკეთება დავაგვიანეთ, მაგრამ **არასდროს მიგვიყენებია შეურაცხყოფა ქართველი ხალხისთვის, არასდროს დაგვიჩაგრავს ჩვენი ქვეყნის მოქალაქე, არასდროს წაგვირთმევია.** გახსოვთ, წლების განმავლობაში რა დამოკიდებულება იყო ბიზნესის მიმართ, რა ხდებოდა ციხეებში პატიმრების მიმართ. ეს ყველაფერი საზოგადოებას ახსოვს.

„აიპრესი“

**სოზარ სუბარი**
*პარლამენტარი*



ნაციონალურ მოძრაობას ეწვის, **„ომის პარტია“** რომ დაერქვა, რაც კარგად გამოჩნდა სააკაშვილის განცხადებებშიც. **ახლა გადაწყვიტეს ქვეყნის შიგნით არეულობა** და 200 ათასი კაცი ქუჩაში. **„ომის პარტიას“** უნდა **საქართველოში** დატრიალდეს ის, რაც იყო **ბუჩაში, ირპენში.**

„რეზონანსი“

**ილია მეორე**
*სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი*



არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ **ურთულესი ვითარებიდან უფალს მრავალჯერ დაუხსნია კაცობრიობა;** მთავარია, უმძიმეს მდგომარეობაშიც **არ დავკარგოთ** ადამიანური ღირსებები, **არ დავკარგოთ** რწმენა და სასოება შემოქმედისა.

„კვირის პალიტრა“

# არ იყიდოთ სიკვდილი!





**სპაისები, კრისტალები“** და **„მეფ“.** და აი, სწორედ აქ მოხდა ჩვენი ეჭვების პირველი დადასტურება. საქმე ის არის, რომ **„მეფ“ გახლავთ შემოკლებული სახელწოდება ფსიქოაქტიური მედიკამენტისა — „მეფედრონი“,** რომელიც სინთეტიკურ ნარკოტიკს წარმოადგენს. სხვათაშორის, გვკითხეს — **„იცით, რა საშუალებებია ესენი?“** — ხოლო, როცა ვუპასუხეთ, რომ არ ვიცით, მოგვწერეს — **„ნარკოტიკული საშუალებებია“.**

**მიმოწერის პროცესში ჩვენთვის თანდათან სულ უფრო ცხადი გახდა, რომ კომპანია, რომელიც კურიერად მუშაობაში 1500-დოლარიან თვიურ ანაზღაურებას გვპირდება, რეალურად, ნარკოტიკების გამსაღებლად მუშაობას, ანუ, ხალხურ ენაზე თუ ვიტყვით, ნარკობარიგობას გვთავაზობს.**

გოგონამ, რომელსაც ნასტია ჰქვია და რომელმაც ეს ყველაფერი განგვიმარტა, დასაქმებისათვის დამატებითი პირობების გასარკვევად მეორე გოგონასთან გადაგვამისამართა, რომელიც „ვოცაპში“ დარეგისტრირებულია როგორც **„მელონ მენეჯერი“.** მან მოგვწერა, რომ, **თუ დასაქმებაზე თანახმა ვიქნებით, უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით ინსტრუქტაჟს ჩაგვიტარებენ და როცა საქმიანობის სპეციფიკაში 100 პროცენტით გაგვარკვევენ, მხოლოდ ამის შემდეგ გაგვიშვებენ სამუშაოზე, რადგან ყველა ნიუანსი კარგად გვეცოდინება და არანაირი საფრთხე არ დაგვემუქრება.**

ისიც აგვიხსნეს, რომ სამსახურში მოწყობის ორი ვარიანტი არსებობს — **უნდა შევავსოთ ანკეტა და დამსაქმებელს მასთან ერთად გავუგზავნოთ ჩვენი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ოთხი ფოტო, რათა ჩვენი იდენტიფიკაცია შეძლონ და დარწმუნდნენ, რომ რეალური პიროვნება ვართ, აგრეთვე თავიანთ ბაზაში შეამოწმონ, „შავ სიაში“ ხომ არ ვართ შეყვანილი?** როგორც მოგვწერეს, ზუსტად უნდა დაადგინონ, ხომ არა ვართ ნარკოტიკების მომხმარებელი, რომელიც მათ საქონელს — ნარკოტიკულ საშუალებებს გაიტაცებს და მიითვისებს?

თუ ჩვენი ვინაობის გამხელა არ გვსურს და გვირჩევნია, **ნარკოკურიერად** ინკოგნიტოდ ვიმუშაოთ, ასეთ შემთხვევაში დამსაქმებელს ერთგვარი გირაოს **(„ზალოგის“)** სახით 5-10 ათასი რუსული რუბლი უნდა გადავუხადოთ!

ასე და ამგვარად,

**ჩვენში ეჭვს აღარ იწვევს ის ფაქტი, რომ თბილისის ქუჩებში გამოკრული ინგლისურენოვანი განცხადება — კურიერად დაგასაქმებთ და თვეში 1500 დოლარს გადაგიხდითო, სხვა არაფერია, თუ არა ნარკოტიკებით ვაჭრობის დანაშაულებრივ ქსელში საქართველოს მოქალაქეთა ჩათრევის მცდელობა!**

პირდაპირ რომ ვთქვათ, სიკვდილით ვაჭრობას გვთავაზობენ!

სოლიდურ ანაზღაურებას გვპირდებიან იმაში, რომ ვიქცეთ არამხოლოდ ნარკობარიგებად, რაც თავისთავად სისხლის სამართლის დანაშაულია, არამედ საკუთარ თანამემამულეთა პოტენციური მკვლელები გავხდეთ, მონაწილეობა მივიღოთ საქართველოს მოქალაქეების, მათ შორის, ახალგაზრდების მასობრივ მოწამვლასა და გაუბედურებაში!

**რა ლაპარაკი უნდა, რომ ეს სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხია!**

წარმოიდგინეთ, საქართველოში, სადაც უმუშევრობა და სიღარიბე დაუძლეველ პრობლემად რჩება, რამდენი ადამიანი შეიძლება, თვეში 1500-დოლარიანი ანაზღაურების გამო ცდუნდეს და საშინელი დანაშაულის თანამონაწილე გახდეს!

**თბილისის ქუჩებში მომრავლებული სარეკლამო განცხადებები, რომლითაც ნარკოვაჭრობაში გვეპატიჟებიან და სიკვდილის გაყიდვაში მონაწილეობას გვთავაზობენ, ვფიქრობთ, სახელმწიფოს შესაბამის სტრუქტურებს ყურადღების მიღმა არ დარჩებოდათ, მითუმეტეს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აქტიურად იბრძვის სწორედ დანაშაულის ამ ახალი სახეობის — ინტერნეტით ნარკოტიკების გასაღების წინააღმდეგ!** თუმცა, მიგვაჩნია, რომ განგაშის ატეხა მაინც აუცილებელია და მივმართავთ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, **ბატონ ვახტანგ გომელაურსა** და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსს, ბატონ **გრიგოლ ლილუაშვილს — პირად კონტროლზე აიყვანეთ ეს საქმე და ჩანასახშივე აღკვეთეთ საქართველოში მასობრივი სიკვდილით ვაჭრობა!**

**არ დაუშვათ, ქართველი ახალგაზრდების ერთი ნაწილი გაბარიგდეს, მეორე ნაწილი კი — განარკომანდეს!**

ასევე მივმართავთ თბილისისა და სრულიად საქართველოს მცხოვრებთ — **არ გაყიდოთ და არ იყიდოთ სიკვდილი!**

**ნუ გადაიქცევით სიკვდილის კურიერებად!**

***ჯაბა ხუბუა***

**მივმართავთ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, ბატონ ვახტანგ გომელაურსა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსს, ბატონ გრიგოლ ლილუაშვილს —**

**პირად კონტროლზე აიყვანეთ ეს საქმე და ჩანასახშივე აღკვეთეთ საქართველოში მასობრივი სიკვდილით ვაჭრობა!**







# სიკვდილის კურიერებად!

## კვირგვინოსნები

**ირაკლი ხიდირბეგიშვილი**
*პოლიტოლოგი*



გადაუვადდეს სააკაშვილს სასჯელის მოხდა და გადაყვანილ იქნას სარეაბილიტაციოდ მარიუპოლში, „აზოვსტალში“. **ამაზე უკეთესი „კლინიკა“ მისი ფსიქიკური მდგომარეობის სამკურნალოდ არ არსებობს!** რეაბილიტაციის შემდეგ ის საქართველოში დაბრუნდება ან **რძის პროდუქტებით დატვირთული რკინის კონტეინერით,** როგორც შარშან, **ან პერსონალურით, როგორც „გრუზ 200“.** რა თქმა უნდა, ერთგული თანამებრძოლები საქართველოს მესამე პრეზიდენტს **მარიუპოლში და მის გაღმაც** გაჰყვებიან, რაშიც ხელი უნდა შევუწყოთ!

**სალომე ზურაბიშვილი**
*საქართველოს პრეზიდენტი*



ჩემთვის, დიდი პატივია, ვიყო ასეთი **ერთიანი, საამაყო, მამაცი ჯარის** უმაღლესი მთავარსარდალი!

„ინტერპრესნიუსი“

**კოტე ჯანდიერი**
*მწერალი*



**გაუგებარია, რა ამოძრავებს იმ ქართველს, რომელიც საქართველოში მეორე ფრონტის გახსნას ემხრობა?** როგორც უნდა დამთავრდეს ეს ომი, დარწმუნებული ვარ, 45-მილიონიანი მამაცი უკრაინელი ხალხი შეძლებს გენოფონდის გადარჩენას და გაპარტახებული ქვეყნის აღდგენას, **სამმილიონიანი საქართველოსთვის კი ამ ომში ჩაბმა ისტორიის დასასრული იქნება.** ეს ვისაც არ ესმის, გონება არა აქვს, ვისაც ესმის, მაგრამ მაინც პროვოკატორობს — სინდისი.

„კვირის პალიტრა“

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



**მიხეილ სააკაშვილის** ვითომდა სამკურნალოდ გადაყვანის კამპანია **პატიმრის გათავისუფლების მოთხოვნაა,** რომ სასჯელი აირიდოს, რომელიც მართლმსაჯულებამ მიუსაჯა იმის გამო, რომ მან **დეპუტატი სიკვდილამდე აცემინა** და იმისთვის, რომ **სანდრო გირგვლიანის მკვლელებს ხელი დააფარა.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

# პოდოლიაკებო და პოლიტიკურო „პოდონკებო“, საქართველოს ომში არ ჩაგათრევინებთ!



უკრაინის პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელი მიხაილ პოდოლიაკი, რომელიც ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ შემართული პოლიტიკური „პოდონკების“ რიგს რამდენიმე დღის წინათ შეუერთდა!

***როცა საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილის ხელმძღვანელობით უკრაინაში გაემგზავრა, „ასავალ-დასავალის“ ფურცლებზე მაშინვე დავწერეთ, რომ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები კიევში არ უნდა წასულიყვნენ, რადგან არამხოლოდ „გონივრული ეჭვი“ გვქონდა, არამედ მტკიცედ გვჯეროდა, საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის კიევში ვიზიტი ორი ქვეყნის ხელისუფლებებს შორის არსებულ ურთიერთობაში ვერანაირ პოზიტიურ ცვლილებას ვერ შეიტანდა; ღრმად გვწამდა, რომ ზელენსკის ხელისუფლება ნაციონალურ მოძრაობასთან უნისონში ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ პოლიტიკურ დემარშზე ხელს არ აიღებდა და საქართველოს ომში ჩათრევის მცდელობას არ მოიშლიდა.***

სამწუხაროდ, **ჩვენი სკეპტიკური მოლოდინები არამხოლოდ გამართლდა, არამედ იმაზე უარესიც მოხდა, ვიდრე წარმოვიდგენდით** — საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის უკრაინაში ვიზიტის შემდეგ ქართულ სახელმწიფოზე **ზელენსკის ხელისუფლების** პოლიტიკურმა თავდასხმებმა უფრო მასშტაბური და ინტენსიური ხასიათი მიიღო, რამაც ცხადად დაგვანახა, რომ

## უკრაინაში ჩასვლა იყო ერთ-ერთი ყველაზე მძიმე პოლიტიკური შეცდომა, რომელიც „ქართულ ოცნებას“ ხელისუფლებაში ყოფნის 10 წლის განმავლობაში დაუშვია!

საქმე ის არის, რომ უკრაინის რადაში **ზელენსკის პარტიის ფრაქციის თავმჯდომარემ დავით არახამიამ** კიევში „ქართული ოცნების“ წარმომადგენელთა ვიზიტი ენის ერთი მოქნევით გააბიაბრუა და აფერისტობად შერაცხა, როცა ნაცმოძრაობის პარტიული ტელეკანალიზაციის ეთერში, **ნიკა გვარამიასთან** ინტერვიუში განაცხადა — **ბუჩაში ფოტოების გადასაღებად ჩამოვიდნენ, თორემ, რეალურად, უკრაინის გვერდით არ დგანან, რადგან რუსეთს სანქციებს არ უწესებენო!**

ცხადია, **არახამია**, როგორც უკრაინის ხელისუფლების ერთ-ერთი ლიდერი და არაფორმალური ნაცი, ზელენსკისა და სააკაშვილის ერთობლივ გენხაზს მიჰყვება, რაც რუსეთისათვის მეორე ფრონტის გახსნასა და საქართველოს ომში ჩათრევას გულისხმობს, საქართველოს ხელისუფლების პერმანენტული „დაბულინგება“ კი ამ მიზნის მიღწევის ინსტრუმენტია. **ზელენსკი-სააკაშვილის ბანდა, რომელიც ხედავს, რომ მის მიერ საქართველოს ომში ჩასათრევად გადადგმული ყველა ნაბიჯი უნაყოფო აღმოჩნდა, დროთა განმავლობაში სულ უფრო ცოფდება და დაუკრეფავში გადადის, რისი დასტურიც არახამიას კიდევ ერთი განცხადება გახლავთ:** „მივმართავ ევროკავშირსა და აშშ-ს, განიხილონ ივანიშვილისათვის პერსონალური სანქციების დაწესება. საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკის არსი, უბრალოდ, კრემლის მითითებების შესრულებაა. დღეს ივანიშვილი საქართველოს იანუკოვიჩი გახდა“.

**არახამია** საკუთარ თავს ამდენის უფლებას იმიტომ აძლევს, რომ **სააკაშვილის მიერ „გაკეთებული“ პოლიტიკური ნაბიჭვარია!** აკი, სააკაშვილმა თავად განაცხადა — **არახამია ჩემ ხელში დაფრთიანებული პოლიტიკოსია, უკრაინულ პოლიტიკაში მე მოვიყვანეო!** რაც შეეხება **ბიძინა ივანიშვილს,** იგი „საქართველოს იანუკოვიჩი“ ვერანაირად ვერ იქნება, რადგან იანუკოვიჩი ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელის არმოწერის გამო დაამხეს, საქართველომ კი ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას ხელი სწორედ ივანიშვილის მიერ შექმნილი „ქართული ოცნების“ მმართველობის პირობებში მოაწერა, ახლა კი ევროკავშირის წევრობის კანდიდატობაზე აქვს განაცხადი შეტანილი. **დიახ, იანუკოვიჩმა ოფიციალურად თქვა უარი უკრაინის პროდასავლურ კურსზე, ივანიშვილის ხელისუფლებამ კი საქართველოს პროდასავლური და ჩრდილოატლანტიკური მისწრაფება კონსტიტუციაში სპეციალური ჩანაწერით გაამყარა.** და კიდევ: **იანუკოვიჩი** ხელისუფლებიდან გააგდეს, რის შემდეგაც მოსკოვს აფარებს თავს, **ივანიშვილი** კი ხელისუფლებიდან საკუთარი ნებით წავიდა და მოსკოვს კი არ მიაშურა, საქართველოში აგრძელებს ცხოვრებასა და ქველმოქმედებას!



**არახამია საკუთარ თავს ამდენის უფლებას იმიტომ აძლევს, რომ სააკაშვილის მიერ „გაკეთებული“ პოლიტიკური ნაბიჭვარია!**



საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება

N15/10/02 2013 წლის 15 ოქტომბერი ქ. თბილისი

საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს მიმართ გამოხატული განსაკუთრებული თანადგომისა და საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს ეროვნული ინტერესების მტკიცე მხარდაჭერისათვის დაჯილდოვდნენ:

ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით:

ვიქტორ იანუკოვიჩი - უკრაინის პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

№1



## თუ სააკაშვილის პოლიტიკურ ნაბიჭვარ არახამიას მართლა აინტერესებს, ვინ არის „საქართველოს იანუკოვიჩი“ და ვინ შეასრულა ზედმიწევნით კრემლის ყველა მითითება, რუსთავის ციხეში უნდა მოიკითხოს თავისი

## სააკაშვილის პოლიტიკურმა ნაბიჭვარმა არახამიამ ისიც უნდა იცოდეს, რომ მის პოლიტიკურ „გამკეთებელს“ იანუკოვიჩი ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით ჰყავს დაჯილდოებული რამდენიმე კვირით ადრე, სანამ უკრაინის პრეზიდენტს პროდასავლური კურსიდან გადახვევის გამო დაამხობდნენ!

## კვირგვინოსნები

**დავით ქართველიშვილი**
*ანალიტიკოსი*



ადრე მსგავსი ეჭვები მქონდა, რომ **საწყალი ზელენსკი „ნაცების ტყვეობაში“ იმყოფებოდა. დღეს უკვე დარწმუნებული ვარ, რომ ერთ გუნდს წარმოადგენენ, რომლებსაც ეროვნება არა აქვთ.** ისინი საერთაშორისო კორპორაციის შვილები არიან. გერმანიის პრეზიდენტს რომ უარს ეუბნები და **რუსული პასპორტით რუს ბიზნესმენ ნაყოფიას იღებ უმაღლეს სახელისუფლებო დონეზე,** ეს უკვე ბიპოლარული პოლიტიკური აშლილობის სერიოზული მაგალითია.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**სერგეი ლავროვი**
*რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი*



**ბირთვული ომის საფრთხე სერიოზული და რეალურია.** მე არ ვისურვებდი, რომ ახლა, როდესაც რისკები მართლაც ძალზე არსებითია, ეს რისკები ხელოვნურად გაიზარდოს. ჩვენ არავითარ შემთხვევაში **არ უნდა დავუშვათ მესამე მსოფლიო ომი.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**კახა გოგოლაშვილი**
*ანალიტიკოსი*



**თუ ამ ომში რუსეთმა გაიმარჯვა,** მაშინ ჩვენ ნატოში არ მიგვიღებენ, რადგან ეს იქნება **მესამე მსოფლიო ომის პროვოცირება!**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**დავით ზარდიაშვილი**
*ანალიტიკოსი*



უწინარესი მოვალეობა ჩვენი ხელისუფლების ის არის, **ქვეყანაში სტაბილურობა შეინარჩუნოს, რომ ამ უთანასწორო ომში ქვეყანა არ ჩაებას.** ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ **საქართველოში ეს ომი მაქსიმუმ რამდენიმე დღე გაგრძელდება,** მეტი არა. ეს თვითმკვლელობის ტოლფასი იქნება.

„საქართველოს რესპუბლიკა“

# დღეს რომ საქართველო რუსეთისა და ამერიკის საომარ პოლიგონად არ არის ქცეული, თბილისი არ იბომბება და ქვეყანაში ბუჩა, მარიუპოლი და ირპინი არ გვაქვს, ეს სწორედ ბიძინა ივანიშვილის დამსახურებაა, რომელმაც ხელისუფლება მიატოვა, მაგრამ არ მიუტოვებია ყველაზე მთავარი – საქართველო!




## პოლიტიკური „გამკეთებელი“, რომელმაც რუსეთს ახალგორის რაიონი, კოდორის ხეობა, 150 სოფელი და საქართველოს სტრატეგიული ობიექტების 90 პროცენტი ჩააბარა!

**სააკაშვილის პოლიტიკურმა ნაბიჭვარმა არახამიამ** ისიც უნდა იცოდეს, რომ **მის პოლიტიკურ „გამკეთებელს“** იანუკოვიჩი ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით ჰყავს დაჯილდოებული რამდენიმე კვირით ადრე, სანამ უკრაინის პრეზიდენტს პროდასავლური კურსიდან გადახვევის გამო დაამხობდნენ!

რა თქმა უნდა, **სააკაშვილის „გაკეთებული“ პოლიტიკური ნაბიჭვარი არახამია** უკრაინის ხელისუფლებაში ერთადერთი არ არის, ვინც ქართული სახელმწიფოს განქიქებას იმაზე მეტ დროს უთმობს, ვიდრე რუსეთსა და პუტინის რეჟიმზე საუბარს. ამ კუთხით უკვე ისეთმა პერსონებმაც წამოყვეს თავი, საქართველოს ხელისუფლების დამუნათებისაგან აქამდე თავს რომ იკავებდნენ და ზელენსკი-სააკაშვილის ბანდის ორკესტრირებულ კამპანიაში, რომელიც საქართველოს ომში ჩათრევას ისახავს მიზნად, პირდაპირ არ მონაწილეობდნენ. მხედველობაში გვყავს უკრაინის პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელი **მიხაილ პოდოლიაკი,** რომელიც ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ შემართული **პოლიტიკური „პოდონკების“** რიგს რამდენიმე დღის წინათ შეუერთდა და განაცხადა: **„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველომ“ გამოავლინა, თუ რატომ თქვა უარი საქართველოს მთავრობამ რუსეთის წინააღმდეგ რაიმე სანქციების განხილვაზე — რა თქმა უნდა, ადგილობრივი ოლიგარქის ივანიშვილის გამო. დავით არახამია მის წინააღმდეგ მკაცრი სანქციების დაწესებას გვთავაზობს. ყველა პრორუს ოლიგარქს „დეოლიგარქიზაცია“ ემუქრება“.**

მოკლედ, ზელენსკის ოფისის ხელმძღვანელი **პოდოლიაკიც** ისეთივე პოლიტიკური **„პოდონოკი“** აღმოჩნდა, როგორიც არახამია, **არესტოვიჩი, გონჩარენკო, დანილოვი** და სხვები არიან, რომლებიც უკვე დიდი ხანია, არ მალავენ თავიანთ სურვილს, საქართველომ რუსეთს მეორე ფრონტი გაუხსნას და აფხაზეთსა და სამაჩაბლოში მცხოვრებ თანამემამულეებს — ოს და აფხაზ ძმებს ბომბები დააყაროს!

**„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“,** რომელიც **პოლიტიკურმა „პოდონოკმა“ პოდოლიაკმა** „მოწმედ მოიყვანა“, როგორც იცით, სააკაშვილის რეჟიმის დროს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის, 2007 წლის 7 ნოემბრის მშვიდობიანი აქციის სისხლში ჩახშობიდან ერთ კვირაში მერაბიშვილის მიერ კაპიტნის წოდებით დაჯილდოებული **ეკა გიგაურის** არასამთავრობო ორგანიზაციაა. ისიც კარგად მოგეხსენებათ, რომ **გიგაური და მისი კანტორა** არაერთხელ არიან მხილებული სააკაშვილის სექტასთან კავშირში და ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილის თვალში ნაცმოძრაობის ერთ-ერთ ქვეგანყოფილებად განიხილებიან.

რაკიღა უკრაინის პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელს **ბიძინა ივანიშვილის** „პრორუსი ოლიგარქობის“ დასტურად **კაპიტან გიგაურის** კანტორის კვლევა მოჰყავს, **ეს უკვე თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ საქმე გვაქვს მორიგ პროვოკაციასა და ბინძურ პოლიტიკურ მანიპულაციასთან,** რომელსაც ზელენსკი-სააკაშვილის ბანდა ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ ახორციელებს. და მაინც, **რა დაადგინა კაპიტან გიგაურის კანტორამ ისეთი, რომ პოლიტიკური „პოდონოკი“ პოდოლიაკი ივანიშვილს „პრორუს ოლიგარქს“ უწოდებს?** უნდა ვთქვათ, რომ არც არაფერი ისეთი, რაც აქამდე საიდუმლო იყო — **თურმე, ივანიშვილი და მისი რამდენიმე ნათესავი რუსეთში რამდენიმე ბიზნესკომპანიას ფლობენ!** და მერე რა? ამან ხელი შეუშალა უკრაინისადმი საქართველოს პოლიტიკურ მხარდაჭერას რომელიმე საერთაშორისო პლატფორმაზე? **პოლიტიკური „პოდონოკი“ პოდოლიაკი** იმაზე რატომ არ აკეთებს აქცენტს, რომ „პრორუსი ოლიგარქის“ ხელისუფლება მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც უკრაინის მხარდამჭერი ოფიციალური საპარლამენტო რეზოლუცია შეიმუშავა? საქართველომ უკრაინის ომის ფონზე გაეროსა და ევროსაბჭოში რუსეთის წინააღმდეგ მიღებულ ყველა გადაწყვეტილებას რომ დაუჭირა მხარი, ეს ამტკიცებს ივანიშვილის **„პრორუს ოლიგარქობას“?** ან კიდევ საქართველო კოლექტიური დასავლეთის მიერ რუსეთის წინააღმდეგ ჰააგის სასამართლოში შეტანილ სარჩელს რომ შეუერთდა, ანუ რუსეთის პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობის საერთაშორისო ტრიბუნალზე შესაძლო გასამართლებას დაუჭირა მხარი, ეს მეტყველებს ივანიშვილის **„პრორუს ოლიგარქობაზე“?**







მოკლედ, ყველაფერი დღესავით ნათელია — **არახამიას, არესტოვიჩს, პოდოლიაკსა და ზელენსკი-სააკაშვილის ბანდის სხვა პოლიტიკურ „პოდონკებს“** ბიძინა ივანიშვილი ყელში ჰყავთ გაჩხერილი, რადგან იციან, რომ სწორედ ის არის მთავარი ფიგურა და ფაქტორი, რომელიც საქართველოში მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებას უზრუნველყოფს!

დიახ, **დღეს რომ საქართველო რუსეთისა და ამერიკის საომარ პოლიგონად არ არის ქცეული, თბილისი არ იბომბება და ქვეყანაში ბუჩა, მარიუპოლი და ირპინი არ გვაქვს, ეს სწორედ ბიძინა ივანიშვილის დამსახურებაა, რომელმაც ხელისუფლება მიატოვა, მაგრამ არ მიუტოვებია ყველაზე მთავარი — საქართველო!**

ამას კარგად ხედავენ **პოდოლიაკიც** და **ზელენსკი-სააკაშვილის სხვა პოლიტიკური „პოდონკებიც“** და სწორედ ამიტომაც ჰყავთ ყელში გაჩხერილი **ბიძინა ივანიშვილი,** მაგრამ **ბიძინა ივანიშვილმა** ისინი „ყელზე“ უნდა დაიკიდოს და, ალბათ, ჰკიდია კიდეც!

თუ საქართველოში მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებას დასჭირდება, **ბიძინა ივანიშვილი** არამხოლოდ თავის ძველ მეგობარს — **რუს ბიზნესმენ ვლადიმერ ევტუშენკოვს** უნდა დაელაპარაკოს, არამედ სახელოვანი **რუსი პოეტის, რეჟისორისა და საზოგადო მოღვაწის, ქართველების დიდი მეგობრის ევგენი ევტუშენკოს** სულთანაც უნდა დაამყაროს სპირიტული კავშირი!

კი, სამშობლოს გადასარჩენად კაცმა ყველაფერი უნდა იღონოს, ხოლო **ნაცმა, ქართველი იქნება თუ უკრაინელი, იყეფოს რამდენიც უნდა, ქარავანი მაინც თავისი გზით წავა!**

**თუ საქართველოში მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებას დასჭირდება, ბიძინა ივანიშვილი არამხოლოდ თავის ძველ მეგობარს – რუს ბიზნესმენ ვლადიმერ ევტუშენკოვს უნდა დაელაპარაკოს, არამედ სახელოვანი რუსი პოეტის, რეჟისორისა და საზოგადო მოღვაწის, ქართველების დიდი მეგობრის ევგენი ევტუშენკოს სულთანაც უნდა დაამყაროს სპირიტული კავშირი!**

*ჯაბა ხუბუა*

## კვირგვინოსნები



**ირაკლი კობახიძე**
*„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*

**არახამიამ** გამოიყენა ტერმინი **„ქართველი იანუკოვიჩი“.** მინდა, მას ვუთხრა, რომ **ქართველი იანუკოვიჩი** უნდა მოიკითხოს საკუთარ ხელისუფლებაში. საქართველოდან კრიმინალისთვის გაგდებული და შემდეგ ციხეში ჩასმული **კრიმინალი სააკაშვილი არის მათი რეფორმების საბჭოს ხელმძღვანელი.** შესაბამისად, **ქართველი იანუკოვიჩი მოიკითხონ თავისთან,** უკრაინის ხელისუფლებაში.

„საქართველოს რესპუბლიკა“



**დავით არახამია**
*უკრაინის რადის ფრაქცია „ხალხის მსახურის“ თავმჯდომარე*

მივმართავ ევროკავშირსა და აშშ-ს, **განიხილონ ივანიშვილისთვის პერსონალური სანქციების დაწესება.** საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკის არსი, უბრალოდ, კრემლის მითითებების შესრულებაა. **დღეს ივანიშვილი საქართველოს იანუკოვიჩი გახდა.**

„ახალი თაობა“



**ბექა დავითულიანი**
*პარლამენტარი*

**არახამიამ** თქვა, რომ **ივანიშვილს** სანქციები უნდა დაუწესდეს, რაც იყო მისი მხრიდან **ძალიან უპასუხისმგებლო და თავხედური განცხადება.** მისი საქმე ნამდვილად არ არის, ამ ქვეყანაში რა მოხდება, ვის რა დაუწესდება.

„რეზონანსი“



**ვოლოდიმირ ზელენსკი**
*უკრაინის პრეზიდენტი*

**არ მესმის, რის გამო არ დაწესდა საქართველოსგან სანქციები,** მოვისმინე გზავნილი, უნდა დავიცვათ ჩვენი ეკონომიკა, რა ეკონომიკა? **რუსებმა უკვე დაიკავეს საქართველოს ტერიტორიის ნაწილი,** თითქმის მიაღწიეს თბილისს.

„პირველი არხი“



## უკრაინის პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელის მრჩეველი, ზელენსკის ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგი ოლექსი არესტოვიჩი

*უკრაინელი ხელცქვიტების უსტაბაში ქართველებს ისევ აუხირდა! ზელენსკის ოფისის ხელმძღვანელის მრჩეველმა ოლექს არესტოვიჩმა, რომელიც კახეთშია გაზრდილი, წინა კვირას ქართველებს მორიგი ვიდეომიმართვა გამოგვიგზავნა, სადაც საქართველოს ხელისუფლება და მთელი მმართველი პარტია ყურცქვიტებად მოიხსენია.*

# არესტოვიჩი და პატიმაროვიჩი

ერთი სიტყვით, უკრაინელმა მაღალჩინოსანმა **არესტოვიჩმა,** რომელიც ხელისუფლებაში მოსვლამდე მინიკაბით და ბიკინებით დაკუნტრუშებდა, ასეთი რამ თქვა — **„ვიცი, ჩემს ამ გამოსვლას მოჰყვება კომენტარები, საქართველოს პრემიერ-მინისტრიც გამოვიდა, მინისტრებიც გამოვიდნენ... მოდით, ყურცქვიტებო, გეტყვით შემდეგ რამეს! საქართველო არის სუვერენული სახელმწიფო და ქართველი ხალხი განსაზღვრავს, როგორ პოლიტიკას აწარმოებს საქართველო უკრაინის მისამართით. უკრაინა არ ერევა თქვენს სუვერენულ პოლიტიკაში, მითუმეტეს, არც ჩემი, არესტოვიჩის განცხადებებით!“**

ამ მიმართვაში საუბარია ქართველი და უკრაინელი ხალხების საუკუნოვან ძმობაზე, თუმცა, არესტოვიჩი ლაპარაკობს საქართველოს ხელისუფლების **„უცნაურ და გაუგებარ“** ქცევაზე და **„იმედს გამოთქვამს“,** რომ ქართველი ხალხი ამ ყველაფერს არჩევნებზე შეაფასებს!

მიმართვის დასასრულ არესტოვიჩმა საქართველოს ხელისუფლებას „ცეცხლოვანი“ მოკითხვაც გამოუგზავნა და როგორც ავლაბარში იტყვიან — **„პაჩიც გვიქნა“...**

**ოლექს არესტოვიჩს** ჩვენ კარგად ვიცნობთ... უფრო სწორად, მან თავი ყველაზე უკეთ გაგვაცნო. პირველად მაშინ, როცა ქალის პარიკში, მინიკაბასა და კოლგოტკებში გამოკვართული მისი სურათებით მთელი ინტერნეტი აჭრელდა. სოციალურ ქსელებში მაშინვე გაისმა მოწოდებები — **პუტინის ტანკებს არესტოვიჩის „ტრანკი“ თუ გააჩერებსო!**

მეორედ **არესტოვიჩი** მაშინ დაგვამახსოვრდა, როცა ამ მართლაცდა **პომადიანმა და კოლგოტკიანმა** რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის დაბრუნება ჩვენზე მეტად მოიწადინა და დაგვაკვალიანა — **ქართველებო, აფხაზეთსა და ცხინვალში რუსი ოკუპანტები არ დგანან, მთელი ტექნიკა უკრაინაში ჰყავთ ჩამოყვანილი და ტერიტორიების დასაბრუნებლად შესანიშნავი მომენტიაო!**

ამით მან, ფაქტობრივად, ზუსტად გაიმეორა რადას დეპუტატ **ზერაშენკოს** ცნობილი განცხადება, რომელმაც ამ თვე-ნახევრის წინათ აფხაზეთსა და ცხინვალში „მიგვიპატიჟა“ — **ქართველებო, მშვენიერი ამინდია და სოხუმსა და ცხინვალში ხომ არ გაისეირნებთო?!**

ამის შემდეგ **არესტოვიჩმა** თავი კიდევ ერთხელ დაგვამახსოვრა, როცა სააკაშვილს — როგორც ომის გამჩაღებელსა და სხვისი უკანალის ქეიფზე მობუქნავეს — სამუდამო დიაგნოზი დაუსვა — **სააკაშვილი ხელისუფლებაში რომ იყოს, ომს დაიწყებდა, მაგრამ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება ომის წამომწყები და მეორე ფრონტის გამხსნელი არ არის, ამ საქმეს რეიგანი და ტეტჩერი სჭირდებაო!**

თუ რით დასრულდა სააკაშვილის მიერ წამოწყებული ომი და რა უბედურება დაატყდა საქართველოს, ეს ამბავი არესტოვიჩს არ ანაღვლებს და ისიც ფეხებზე ჰკიდია, აღიდგენს თუ არა საქართველო თავის ტერიტორიულ მთლიანობას. ასე რომ არ იყოს, მაშინ „ჩვენს ბედზე მოფიქრალი კაცი“ გაეროს მიერ მომაკვდავი ერების სიაში შეყვანილ ქართველობას ომის ატეხას არ ურჩევდა!



მოკლედ, **ოლექს არესტოვიჩი,** რომლის გვარიც ქართულად **პატიმაროვიჩს** ნიშნავს, საბოლოოდ **ნომერ პირველი ქართველი პატიმრის** — სააკაშვილისა და მისი ბოროტი სექტის რუპორად იქცა და როლებში ისე შეიჭრა, სქესთან ერთად ჟამ-კარიც აერია...

ცნობისათვის, მიხეილ **პატიმაროვიჩის** მედუდუკე **ოლექს არესტოვიჩმა** ზემოხსენებულ ვიდეომიმართვაში ესეც თქვა — **ჩვენ და მოლდოვა დასავლეთმა თავის ნაწილად გვაღიარა და იმიტომაც გვიცავენ, საქართველოს ხელისუფლება უცნაურად რომ არ იქცეოდეს, საქართველოსაც დაიცავდნენო!**

არ ვაპირებთ არესტოვიჩთან იმ თემაზე კამათს, რომლის შესახებაც ერთმა გენიოსმა ძალიან ბევრი წლის წინათ გულდათუთქულმა იკითხა — **„ნუთუ შენ გჯერა ცრუზღაპარი, ჩემო ძვირფასო, რომ უცხოელი გამოიხსნის შენსა სამშობლოს?“**

ეტყობა, არესტოვიჩს ამ ცრუზღაპრისა სჯერა, მაგრამ მე 2008 წლის აგვისტოს უფრო სარწმუნოდ მივიჩნევ, როცა საქართველოს გადასარჩენად ამერიკულმა ხომალდმა წყალი და პამპერსები ჩამოგვიტანა!

მე კიდევ ერთი რაღაცის მჯერა —

**ქვეყანა, რომელიც საქართველოსთანა მეგობარს პატიმაროვიჩის გამო მოიმდურებს და რომელსაც არესტოვიჩისნაირი „მეტანკეები“ მართავენ, გამძვინვარებული პუტინის ტანკისტებს ომს ვერ მოუგებს!**

*დიტო ჩუბინიძე*

## უკრაინელი ხელცქვიტა ქართველი ყურცქვიტების წინააღმდეგ

### კვირგვინოსნები

**გიორგი გამსახურდია**
*საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას შვილი*



**დავით არახამია** ნაცმოძრაობისა და **ხაზარაძე-ბებელიას** კლანთან დაახლოებული პირია. მიზანი არის ნათელი: **ჩაითრიონ საქართველო ამ პროცესებში, რუსული აგრესიის გარკვეული კერა, თუ სრულყოფილად არა, ნაწილობრივ მაინც გადმოიტანონ საქართველოს ტერიტორიაზე,** რაც წარმატებით შეძლეს 2008 წელს და შემდეგ უკვე დაიწყონ ხელისუფლების ჩამოშლის პროცესი, ქვეყნის კოლაფსი.

„TV იმედი“

**გია აბაშიძე**
*ანალიტიკოსი*



ერთი რამ „ავიწყდებათ“ **არესტოვიჩებსა** და **არახამიებს** — სააკაშვილი იყო **ლაჩარი მთავარსარდალი** და ასეთად დარჩება ისტორიაში.

„იმედინიუსი“

**რატი იონათამიშვილი**
*პარლამენტარი*



რადიკალურ ოპოზიციას ვერ მოუნელებია, რომ **ირაკლი ღარიბაშვილის** ხელმძღვანელობით ჩვენმა ხელისუფლებამ **შეძლო და არ დაუშვა, რომ საქართველოში გახსნილიყო მეორე ფრონტი.**

„იმედინიუსი“

**ირაკლი ბერაია**
*პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე*



არავისთვის **ბოდიშის მოხდას არ ვაპირებთ** იმის გამო, რომ **მეორე ფრონტს არ ვხსნით.** ეს ყველამ კარგად უნდა გაიგოს და დაიმახსოვროს.

„აიპრესი“

**რობერტ სტურუა**
*რეჟისორი*



ძალიან **უნიჭო ხალხია** და ასევე **უნიჭო „რევოლუცია“** ექნებათ, ამაში დარწმუნებული ვარ. **გარდა იმისა, რომ უნიჭოები არიან, ბოროტებიც არიან, შურიანებიც.** მგონია, ცოტა ჭკუიდან გადასულებიც, ამიტომ წყნარად ვარ.

„TV იმედი“

# უკვდავი მიშჩეი,

## ანუ რამდენჯერ კვდებოდა და რამდენჯერ არ მოკვდა სააკაშვილი




***აღმოსავლური მითოსისა და რუსული ზღაპრების ლეგენდარული პერსონაჟის — უკვდავი კაშჩეის შესახებ ყველას კარგად მოეხსენება, ჩვენ კი ქართული პოლიტიკის რეალური პერსონაჟის — უკვდავი მიშჩეის შესახებ უნდა ვისაუბროთ, რომელიც ახლა რუსთავის ციხეშია გამოკეტილი.***

## ხელისუფლებავ, არც კი გაბედო სააკაშვილის საზღვარგარეთ „სამკურნალოდ“ გაშვება!

საქმე ის არის, რომ 7 თვეა, რაც სააკაშვილი ციხეში ზის და ამ 7 თვის განმავლობაში, ბევრი რომ არ ვთქვათ, 7-ჯერ მაინც კვდებოდა.

— **მიშა კვდება!** — აცხადებდა მისი პირადი ექიმი **ნიკოლოზ ყიფშიძე.**

— **ციხეში შვილს მიკლავენ!** — აცხადებდა სააკაშვილის დედა **გიული ალასანია.**

— **თუ მრავალპროფილურ კლინიკაში არ გადაიყვანენ, მიშა ციხეში მოკვდება!** — აცხადებდა სააკაშვილის ვექილი **ნიკა გვარამია.**

— **საქართველოს მესამე პრეზიდენტს ციხეში ფარმაკოლოგიური წამებით კლავენ!** — აცხადებდა ცენტრ „ემპათიის“ პრეზიდენტი **მარიამ ჯიშკარიანი.**

— **მიხეილ სააკაშვილი სასიკვდილო საფრთხის ქვეშ არის!** — აცხადებდნენ სახალხო დამცველად წოდებული **ლომჯარიას** მიერ შექმნილი კონსილიუმის წევრები.

— **ხალხო, ჩვენს პრეზიდენტს, ქართული სახელმწიფოს დამაარსებელს გვიკლავენ!** — აცხადებდნენ **ეკა ხერხეულიძე, ხატია დეკანოიძე და სხვა ნაცქალები** ციხეში სააკაშვილის ყოველი მონახულების შემდეგ.

— **ჩემი საყვარელი ადამიანი პუტინის ტყვეობაში კვდება!** — აცხადებდა სააკაშვილის ახალი ცოლი **ლიზა იასკო.**

მოკლედ, **სააკაშვილი კვდებოდა** რუსთავის ციხეში; **სააკაშვილი კვდებოდა** გლდანის პენიტენციურ საავადმყოფოში; **სააკაშვილი კვდებოდა** გორის სამხედრო ჰოსპიტალში; **სააკაშვილი კვდებოდა,** როცა შიმშილობდა და **სააკაშვილი კვდებოდა,** როცა შიმშილობის დროს ხბოს ღვიძლის პაშტეტსა და ნატურალურ ხილფაფებს შეექცეოდა.

და აი, **სააკაშვილი ისევ კვდება,** რადგან მისი სექტის წევრებმა და პატრონ-მყვარებლებმა ციხიდან მის გამოსაყვანად სხვა ვერაფერი მოიფიქრეს!

**კი მაგრამ, ამჯერად რაღა ჭირს სააკაშვილს და რატომ არის აუცილებელი მისი საზღვარგარეთ სამკურნალოდ გაშვება, როგორც ამას ნაცსექტანტები ითხოვენ?** ნუ იტყვით და, თურმე, სააკაშვილს დეპრესია **კლავს,** სტრესი **კლავს,** ციხის გარემო **კლავს,** მისი ფაქიზი ბუნება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებას **ვერ ეგუება,** ბადრაგების დანახვაზე **ელეთმელეთი მოსდის** და **ჭამის მადა ეკარგება.** ამიტომაც, **ნიკა გვარამია** აცხადებს, რომ **„სააკაშვილმა სრულად უნდა შეიცვალოს ადგილსამყოფელი, იქ არ უნდა იყოს არც ბადრაგი, არც რამე სხვა“.**

ახლა ისიც ვნახოთ, რას ამბობს სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე **ლომჯარიას მიერ შექმნილი კონსილიუმის წევრი,** ნევროლოგი **თენგიზ წულაძე:** *„ორგანიზმი ინელებს საკუთარ თავს, ანუ იმ ცილებს, რომელიც მას არ მიეწოდება გარედან, ორგანოების დაშლისა და კუნთების დაშლის საშუალებით იღებს. შესაბამისად, კუნთოვანი მასა მკვეთრად მცირდება ამ დროს და მდგომარეობა ამიტომაა გაუარესებული. ჩვენი აზრით, ამ მდგომარეობის მიზეზი შეიძლება, იყოს რეზისტენტული პოსტტრავმული სტრესული აშლილობა, დეპრესია, რამაც მოგვცა საბოლოოდ ანორექსია“.*

მოკლედ, ყველაფერი ნათელია — **უკვდავ მიშჩეის,** რომელიც აქამდე ბევრჯერ კვდებოდა და ახლა კიდევ ერთხელ კვდება, ციხე არ მოსწონს და ისე მიზეზობს, როგორც ქალი ორსულობის დროს ან განებივრებული ბავშვი, რომელსაც ცხოვრებაში პირველად უთხრეს უარი სათამაშოსა თუ ნაყინის ყიდვაზე.

ცხადზე უცხადესია ისიც, რომ სააკაშვილის საზღვარგარეთ სამკურნალოდ გაშვების მოთხოვნა, რეალურად, მისი ციხიდან გათავისუფლების მოთხოვნაა, რომელსაც ნაცები, საერთაშორისო საზოგადოებისა და საქართველოს არანაცი ან პოლიტიკურად ნეიტრალური მოქალაქეების გასაგონად, ჰუმანისტური ლოზუნგით ნიღბავენ — **კაცი კვდება და როგორი დამნაშავეც არ უნდა იყოს, მკურნალობისა და სიცოცხლის უფლება კანონით აქვს გარანტირებულიო!**

სინამდვილეში, **უკვდავი მიშჩეი,** რომელიც უკვე მერამდენედ კვდება, არც ამჯერად მოკვდება, რადგან მის ჯანმრთელობაზე არამხოლოდ პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტი, არამედ საქართველოს მთელი ჯანდაცვის სისტემა ზრუნავს. ეს ადამიანის უფლებების ევროპულმა სასამართლომაც დაადასტურა, როცა არასათანადო მოპყრობასა და არასრულფასოვან მკურნალობასთან დაკავშირებით სააკაშვილის საჩივარი განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამოიღო.

აღსანიშნავია, რომ **სააკაშვილის დედამ, მამამ და ძმებმა** საქართველოს ხელისუფლებას ულტიმატუმი წაუყენეს — **უცხოეთში მიშას სამკურნალოდ გაშვების თაობაზე გადაწყვეტილებას ამა წლის 2 მაისის საღამოს 6 საათამდე თუ არ მიიღებთ, პერმანენტულ და ხალხმრავალ საპროტესტო აქციებს დავიწყებთო!**

რა თქმა უნდა, ეს იმ გეგმის ნაწილია, რომელიც სააკაშვილმა ცოტა ხნის წინათ სასამართლოს დარბაზიდან განაცხადა — **ქუჩაში 200 000 კაცი უნდა გამოვიყვანოთ და ხელისუფლება დავამხოთო!** და როგორ უნდა შეკრიბოს ნაცსექტამ 200 000 ათასი მომიტინგე, **როცა მთელი საქართველოს მასშტაბით 5-6 ათას კაცზე მეტს ვერაფრით აგროვებს ქუჩაში დასაყენებლად?** რასაკვირველია, ნაცებმა განგაში უნდა ატეხონ — **არიქა, ბელადს გვიკლავენ და მისი სიცოცხლის გადასარჩენად გამოდითო! თუმცა, ესეც გატკეპნილი გზაა, რადგან თვით ნაცსექტის მიმდევრებიც კი არაერთხელ დარწმუნდნენ, რომ უკვდავი მიშჩეი რამდენჯერაც არ უნდა კვდებოდეს, ბოლოს მაინც არ კვდება!**

ასე რომ, საქართველოს ხელისუფლებამ უნდა იცოდეს — **თუ ნაცების ულტიმატუმს დააკმაყოფილებს და სააკაშვილს „სამკურნალოდ“ საზღვარგარეთ გაგზავნის, ეს „ქართული ოცნების“ დასასრულის დასაწყისი იქნება,** რადგან ქართველი ხალხი მას მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის მამამთავრის ციხიდან დროზე ადრე გაშვებას არ აპატიებს!

დიახ, **ხელისუფლებავ, არც კი გაბედო სააკაშვილის საზღვარგარეთ „სამკურნალოდ“ გაშვება!** — ეს არის ქართველი ხალხის გადამწყვეტი უმრავლესობის ულტიმატუმი, რომელთან შედარებითაც სააკაშვილის ოჯახის წევრებისა და ნაცსექტანტების ულტიმატუმი მაძღარი კატის მიერ „ჰაერის გაფუჭებას“ ჰგავს!

**უკვდავი მიშჩეი რამდენჯერაც კვდება, იმდენჯერ არ მოკვდება და ამით გულს ვერავის აუჩუყებენ! მან ბოლომდე უნდა ზღოს ყველა დანაშაულისათვის, რაც საქართველოსა და ქართველი ხალხის წინაშე აქვს ჩადენილი!**

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**გურამ მაჭარაშვილი**
*პარლამენტარი*



**სააკაშვილის** ჯანმრთელობა არავის ადარდებს, არც ახლობლებს. **კარგი იქნებოდა, ოჯახის წევრებს და ახლობლებს ასეთი ძლიერი შთაგონება სააკაშვილზე მაშინ მოეხდინათ, როცა დანაშაულებს სჩადიოდა.**

„ინტერპრესნიუსი“

**თეიმურაზ კვირკველია**
*ჟურნალისტი, პუბლიცისტი*



მაქვს წინადადება: **აუხსნან სააკაშვილს,** რომ **ბადრაგი სინამდვილეში მისი პირადი დაცვაა!** რომ **რუსთავის ციხე მისი საკუთარი ციხე-სიმაგრეა! ნიკა გვარამია** სინამდვილეში **ვერა ქობალიაა! სასამართლო დარბაზი** რომ **საქართველოს პარლამენტია და საკანი მისი ტრიბუნაა** — ეს მან ჩემზე კარგად იცის! და ასე შემდეგ... ნუ მინერვიულებთ ამ ოქროსავით კაცს!

**მამუკა გამყრელიძე**
*ყოფილი დეპუტატი*



**ნაციონალურმა მოძრაობამ დამფინანსებელი შეიცვალა** და, შესაბამისად, უფრო სხვანაირი ხდება ეს პარტია, ნაკლებად რადიკალური. მთელი ნაციონალური მოძრაობის **99 პროცენტი არის მიხეილ სააკაშვილის ხმები.** როგორც კი მიშა სააკაშვილი იტყვის, მე აღარ მინდა, რამე საერთო მქონდეს ნაციონალურ მოძრაობასთანო, **იქ დამთავრდება ნაციონალური მოძრაობა** და ოჯახის წევრების გარდა სხვა ხმას ვერ მიიღებს.

„ახალი თაობა“

**გიორგი მარგველაშვილი**
*საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი*



**ნაციონალების თავმჯდომარეობაზე შემოთავაზება კი არა, ხუმრობაც არ ყოფილა.** თავმჯდომარეობა, წევრობა, რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარეობაც და, საერთოდ, **რაც კი ნაციონალურ მოძრაობას შეიძლება უკავშირდებოდეს, ყველაფერი მოგონილია.**

„ახალი თაობა“

# კატის

*ბოლო ხანს თბილისის მცხოვრებთა ერთი ნაწილი დიდად შეაშფოთა და შეაწრიალა სამკუთხათავიანი კატის ფიგურამ, რომელიც მავანმა დედაქალაქის სხვადასხვა წერტილში შენობათა ფასადებზე, მეტროსადგურების ჩასასვლელებთან და საზოგადოებრივი ტუალეტების კედლებზე მიახატა.*





**რუსული საფრთხე და რუსი დივერსანტები არა კედელზე მიხატულ კატაში, არამედ იმ პოლიტიკურ სავირთხეთში უნდა მოვიკითხოთ, რომელსაც ნაციონალური მოძრაობა ჰქვია!**

**— ვინ და რატომ ხატავს კედლებზე კატებს? რას ნიშნავს სამკუთხათავიანი კატის გამოსახულება და მასთან ერთად გაკეთებული ამოუცნობი რუსულენოვანი წარწერა? ხომ არ მოძრაობს თბილისში რუსი დივერსანტების საიდუმლო ჯგუფი, რომელიც სხვადასხვა ობიექტზე სპეციალურ ნიშნებს სვამს, როგორც ეს უკრაინაში ხდებოდა ომის დაწყების წინ?** — წერენ სოციალური ქსელის მომხმარებლები, ხოლო ქართული ტელევიზიები, ძირითადად, ნაციონალურ მოძრაობასთან დაკავშირებული არხები, თბილისური შენობების კედლებზე კატების მიხატვას ვრცელ სიუჟეტებს უძღვნიან.

ის კი არა, **ამა წლის 21 აპრილს მოქალაქეთა ჯგუფმა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურსაც კი მიმართა სპეციალური განცხადებით** — გაარკვიეთ, რას ემსახურება ქალაქში სამკუთხათავიანი კატების ფიგურების ხატვა, რომელიც, ერთი მხრივ, ანიმაციურ პერსონაჟს ჰგავს, თუმცა, მეორე მხრივ, რუსეთის თავდაცვის ძალების სპეცდანიშნულების რაზმის ლოგოს მოგვაგონებსო! **სუს-ში შეტანილ განცხადებაში მოქალაქეთა ჯგუფი იმასაც აღნიშნავდა, რომ თბილისის ქუჩებში კატის გრაფიკული გამოსახულებების მომრავლება დროში ემთხვევა საქართველოში ათეულათასობით რუსი მიგრანტის ჩამოსვლას.**

ჩვენს დედაქალაქში გრაფიკული კატების გამოჩენასთან დაკავშირებით ატეხილი აჟიოტაჟის ფონზე დიდი რუსი მწერლის **მიხეილ ბულგაკოვის** უკვდავი ნაწარმოები **„ოსტატი და მარგარიტა“** გვახსენდება, რომლის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟიც უზარმაზარი კატა გახლავთ — სახელად **„ბეჰემოთი“.** იგი სატანის განსახიერება ვოლანდის ამალის წევრია და ადამიანივით ლაპარაკობს, ადამიანივით ჭამს და სვამს, მგზავრობს ტროლეიბუსით, დადის რესტორანში, ხუმრობს, პისტოლეტიდან ისვრის, აკრობატულ ტრიუკებს აკეთებს და ა.შ. თუმცა, გაზაფხულის ერთ ცხელ დღეს **სატანა ვოლანდის, დემონი აზაზელოს, კაროვიევ-ფაგოტისა და უზარმაზარი მოლაპარაკე კატის სტუმრობასაც კი** არ დაუზაფრავს ისე მოსკოვის მოსახლეობა, როგორც თბილისის მცხოვრებთა ნაწილი დააფრთხო კედლებზე მიხატულმა კატამ.

ამ ამბის ყველაზე საყურადღებო ასპექტი ის არის, რომ **თბილისელ მოქალაქეთა ერთი ჯგუფი და სააკაშვილის სექტის პროპაგანდისტული ორგანოები კატების გრაფიკულ გამოსახულებებში რუსულ კვალს ეძებენ.** საერთოდ, ქართველ საზოგადოებას დიდი ხანია, აღარ უკვირს, რომ ნაცლიბერასტებს ყველგან და ყველაფერში **რუსეთი** ელანდებათ, რადგან მათი სექტანტური იდეოლოგია, რომელსაც გონივრულობის არაფერი სცხია, მხოლოდ ირაციონალურ, სრულიად ისტერიულ რუსოფობიას ემყარება, მაგრამ კედლებზე კატების მიხატვაშიც კი **რუსული კვალის** დანახვა თვით ნაცლიბერასტული სიშლეგის ჩარჩოებშიც აღარ თავსდება.

თანაც, **თბილისში შენობების კედლებზე კატების მიხატვის გამო, ძირითადად, ის ჯგუფები შფოთავენ, რომლებიც რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე საქართველოს ხელისუფლების გონივრულ და ფრთხილ პოლიტიკას „ლაჩრობად“ და „სირცხვილად“ მიიჩნევენ. „არიქა, რუსი დივერსანტები ხომ არ შემოიპარნენ და შენობებზე „მეტკებს“ ხომ არ ადებენ, რათა რუსულ ჯარს საორიენტაციო ნიშნულები გაუმზადონ თბილისის ასაღებად?“** — წერს ფეისბუქში და ლაპარაკობს ნაცტელევიზიების ეთერში, უმეტესწილად, სწორედ ის კატეგორია, ვინც თვლის, რომ საქართველო რუსეთის წინააღმდეგ ეკონომიკურ სანქციებსაც უნდა შეუერთდეს, უკრაინაში მოხალისე „ბოევიკებიც“ უნდა გაგზავნოს და მეორე ფრონტიც უნდა გახსნას სოხუმსა და ცხინვალში! **„რამ შეგაშინათ, თქვე კურდღლებო, აბა, დათვს „ბაბაია“ უნდა დაუძახოთ?“** — უკიჟინებენ ხელისუფლებასაც და საქართველოს ომში ჩათრევის მოწინააღმდეგე თანამემამულეებსაც სწორედ ისინი, ვისაც კედლებზე მიხატული კატის ფიგურა **„რუსული დივერსია“** ჰგონია!

ჰეი, თქვენ, ფეისბუქისა და ტელეეკრანის ლომებო, თუ კედლებზე მიხატული კატების დანახვაზეც კი რუსეთი გელანდებათ და გაკანკალებთ, რას იზამთ და რომელ ტურის ხვრელში დურთავთ თავს, რუსული ჯარი თბილისს მართლა რომ მოადგეს?!

**კლავიატურის კლაუზევიცებო და ბისმარკებო, რა ჰქვია იმას, როცა საქართველოს ხელისუფლებას მშიშარასა და რუსეთუმეს ეძახით, რადგან ქვეყნისათვის ომის არიდებას ცდილობს, თქვენ თვითონ კი კედლებზე მიხატული კატების გეშინიათ და გული წინდებში გეპარებათ – რუსები დივერსიას არ გვიწყობდნენო?!**

გერმანელ მწერალსა და კომპოზიტორს **ერნსტ თეოდორ ამადეუს ჰოფმანს** აქვს ნაწარმოები **„კატა მურის ცხოვრებისეული ფილოსოფია“.** ცნობილია, რომ ლიტერატურული პერსონაჟის — **კატა მურის** რეალური პროტოტიპი თავად ჰოფმანის საყვარელი კატა იყო, რომელიც ხშირად იჯდა მწერლის სამუშაო მაგიდასთან და უჯრებს თათებით აღებდა. როცა ჰოფმანის საყვარელი კატა მოულოდნელად მოკვდა, მწერალმა თავის მეგობრებს სამგლოვიარო ბარათები დაუგზავნა შემდეგი ტექსტით: **„თავისი იმედებით აღსავსე ცხოვრების მეოთხე წელს გარდაიცვალა ჩემი საყვარელი, აღზრდილი კატა მური, რათა ამიერიდან ბინა სასუფეველში დაემკვიდრებინა. ის, ვინც იცნობდა და თვალყურს ადევნებდა პატიოსნებისა და სამართლიანობისათვის მებრძოლი ჭაბუკის განვლილ გზას, უთუოდ გაიზიარებს ჩემს მწუხარებას და დუმილით სცემს პატივს მის ხსოვნას“.**

თუ **კატა მურის ცხოვრებისეული ფილოსოფია** პატიოსნებისა და სამართლიანობისათვის ბრძოლა იყო, რა **ცხოვრებისეული ფილოსოფიით** ხელმძღვანელობს ადამიანთა ის კატეგორია, რომელმაც ვირტუალურ სივრცეში ლამის მოსკოვი დაიპყროს და კრემლის თავზე ქართული დროშა ააფრიალოს, რეალურად კი თბილისში **კედელზე მიხატული კატა** აშინებს და რუსოფობიურ ჰალუცინაციებს აღუძრავს?

ასეთების ცხოვრებისეული ფილოსოფია, ალბათ, **ბნელ ოთახში კატის პოვნაა მაშინაც კი, როცა ბნელ ოთახში კატა არ არის!**

ამის ნათელი მაგალითია თუნდაც გასულ კვირას თბილისში მომხდარი შემთხვევა, როცა რამდენიმე მოქალაქემ ერთი ახალგაზრდა კაცი ქუჩაში კედელზე ხატვის გამო დააკავა და კინაღამ პოლიციას ჩააბარა. კერძოდ, ღამის საათებში მოქალაქეებმა შეამჩნიეს, რომ ზურაბ ჟვანიას სახელობის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე მამაკაცი კედელზე ხატავდა, როგორც ჩანს, იფიქრეს — **კატების იდუმალ მხატვარს** ჩავავლეთო და შორიდან დაუძახეს, მაგრამ სავარაუდო **„რუსი დივერსანტი“** გაიქცა. მოქალაქეები მას გაეკიდნენ, გააჩერეს და კითხვები დააყარეს ***(სტილი დაცულია. რედ.):***

***— სახელი, გვარი?***

*— გიგოლაშვილი გიორგი მე ვარ! — უპასუხა დამტვრეული ქართულით მხატვარმა.*

***— სადაური ხარ?***

*— ახლა ჩამოვედი.*

***— საიდან ჩამოხვედი?***

*— აქ ვცხოვრობდი მე.*

***— საიდან ჩამოხვედი? რეებს ხატავ?***

*— ა, წამოდით, ნახავთ.*

***— არა, რეებს ხატავ? რა „მეტკებს“ აკეთებ?***

*— მე მხატვარი ვარ.*

***— რატომ გარბოდი?***

*— იმიტომ, რომ მეშინია,*










**სატანა ვოლანდის, დემონი აზაზელოს, კაროვიევ-ფაგოტისა და უზარმაზარი მოლაპარაკე კატის სტუმრობასაც კი არ დაუზაფრავს ისე მოსკოვის მოსახლეობა, როგორც თბილისის მცხოვრებთა ნაწილი დააფრთხო კედლებზე მიხატულმა კატამ!**

## კვირგვინოსნები

**დავით უსუფაშვილი**
*„ლელოს“ წევრი*



ესპანელ სტუმარს ესპანური ფეხბურთის მაგალითით ვუთხარი, რა დღეში ვართ — **ორი მთავარი მოთამაშე: „ბარსა“ და „რეალი“ ფეხბურთს ბეისბოლის ჯოხებით თამაშობენ,** ერთმანეთსაც ამტვრევენ და საქართველოსაც უკან ეწევიან.

„ინტერპრესნიუსი“

**გიგი უგულავა**
*ოპოზიციონერი*



პოლიტიკოსებო, **ყოველი ბრიფინგი რუსთავის ციხიდან გავმართოთ** — სულ რომ ამინდზე ან მფრინავ სპილოებზე გვიწევდეს საუბარი, **სააკაშვილის გათავისუფლების მოთხოვნით დავიწყოთ და დავასრულოთ.**

„ინტერპრესნიუსი“

**ანტონიუ გუტერეში**
*გაეროს გენერალური მდივანი*



**ომი არ დასრულდება** შეხვედრებით, **ომი დასრულდება** მაშინ, როდესაც რუსეთი გადაწყვეტს მის დასრულებას.

„რეზონანსი“

**ვლადიმირ პუტინი**
*რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი*



**ვინმე თუ ჩაერევა** მოვლენებში, უნდა იცოდეს, რომ **ჩვენ სწრაფად ვუპასუხებთ.**

„რეზონანსი“

# ფილოსოფია



## რას ნიშნავს თბილისში კედლებზე მიხატული კატა და რატომ ეშინიათ მისი პოლიტიკურ ვირთხებს?

*ის ყვიროდა.*
***— და ხატვის ქუჩაში არ გეშინია?***
*— თქვენ ყვიროდით.*
***— შენ რა, არ იცი, კიევში რომ „მეტკეპს“ სვამდნენ რუსი დივერსანტები?***
*— მე არა, ბატონო.*
***— რას ხატავ, ბიჭო, მთელ თბილისში, რამ გადაგრია?***
*— მე მარტო ერთხელ დავხატე.*
***— რატომ დახატე, რატომ?***
*— იმიტომ, რომ ეს არის კულტურა ეგეთი.*
***— საიდან ჩამოხვედი?***
*— რუსეთიდან.*
***— კაი, პატრული მოვა, გაარკვევს.***

პატრული მართლაც მოვიდა და გაარკვია, რომ **მოქალაქე ბიბოლაშვილს,** რომელიც რუსეთიდან ორი თვის წინათ ჩამოსულა, კედელზე არა — კატა, არამედ ღრუბლის ფორმის ფერადი ფიგურა დაუხატავს. ბუნებრივია, მის ქმედებაში არავითარი დანაშაულის ნიშნები არ იკვეთებოდა და პოლიცია ქუჩის მხატვარს დაეხსნა, შემდეგ კი **„რადიო თავისუფლების“ ქართულ რედაქციასთან** საუბარში **გიორგი ბიბოლაშვილმა** განაცხადა: ***„დავიბადე საქართველოში, თბილისში. ვარ პროფესიონალი არტისტი და გრაფიკული დიზაინერი. განათლება მივიღე ფინეთში, მაგისტრის ხარისხი კი — რუსეთში, სანკტ-პეტერბურგში. ჩემივე ეროვნების ადამიანებს ვძულვარ იმის გამო, რომ არტისტი ვარ. არასოდეს მიგრძნია ამდენი სიძულვილი ადამიანებისაგან. როცა ფინეთში ვიყავი, მეუბნებოდნენ, რომ რუსი ვარ, რუსეთში ქართველი ვიყავი, აქ ჩამოვედი და ხალხის მტერი ვარ“.***

გადაჭრით ვერ ვიტყვით, რომ თბილისელი მოქალაქეები, რომლებსაც **ქუჩის არტისტი ბიბოლაშვილი კატების დამხატავი „რუსი დივერსანტი“** ეგონათ, მაინცდამაინც იმ კატეგორიას განეკუთვნებიან, ვისაც, ნაცლიბერასტული პროპაგანდის გავლენით, ყველგან და ყველაფერში რუსეთი და კრემლი ელანდება, მაგრამ ერთი რამ ფაქტია — **ქართველი ე.წ. სტრით არტისტები, ანუ ხელოვანები, რომლებიც ქუჩის მხატვრობითა და შენობების ფასადებზე გრაფიკული ინსტალაციების შესრულებით არიან დაკავებული, ამიერიდან ფრთხილად უნდა იყვნენ, რადგან რეალური საფრთხე არსებობს, რომ რომელიმე ზომბირებულმა ნაცლიბერასტმა „რუს დივერსანტად“ მიიჩნიოს და იქვე დაესხას თავს ან კიდევ პოლიციასა თუ უშიშროებაში დაასმინოს!**

რაც შეეხება სამკუთხათავიანი კატების მხატვარს, შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ პირის ვინაობა დადგენილია და ადმინისტრაციული სამართალწარმოებაც დაწყებულია, სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები კი მის ქმედებაში არ იკვეთება. არსებული ინფორმაციით, მოქალაქემ სამართალდამცავებს განუმარტა, რომ შენობების კედლებზე **საკუთარ კატას** ხატავდა.

და მაინც, თუ დედაქალაქში **გრაფიკული კატების** მომრავლების უკან მავანის ახირების გარდა კიდევ სხვა რამ უნდა ვეძებოთ, **„რუსული დივერსიის“** შესახებ განგაშის ატეხაზე გაცილებით გონივრული და ლოგიკური იქნებოდა, დავინტერესებულიყავით — **რომელიმე სატანისტურ სექტასთან ხომ არ გვაქვს საქმე და კედლებზე სამკუთხათავიანი კატების გამოსახვა რიტუალური აქტი ხომ არ არის?** მოგეხსენებათ, სატანისტები თავიანთი რიტუალების აღსრულებისას ხშირად იყენებენ **კატას, როგორც ტარიგს,** ანუ ღვთაებისათვის შესაწირ მსხვერპლს, რისი მაგალითებიც საქართველოშიც არაერთი გვქონია. მაგალითად, **2016 წელს რუსთაველის გამზირის მიმდებარე ტერიტორიაზე, ერთ-ერთ მიწისქვეშა გადასასვლელში, სადაც ადრე მორგი ფუნქციონირებდა, სატანისტური სექტის ბუნაგი იქნა აღმოჩენილი, რომელიც ყელგამოჭრილი კატების გვამებით იყო სავსე, კედლები კი აჭრელებული გახლდათ წარწერებით — „666“, „ყველას ჩამოხრჩობა“ და ა.შ.** გაირკვა, რომ სექტა 13-15 წლის გოგო-ბიჭებისაგან შედგებოდა, რომლებიც სატანისტურ რიტუალებს არამხოლოდ **კატების** წამებითა და მოკვლით, არამედ თავიანთი სხეულის დასერვითაც აღასრულებდნენ.

რამდენიმე წლის წინათ სატანისტური სექტის კვალი აღმოაჩინეს დუშეთშიც. პოლიტიკური გაერთიანება „რეფორმატორების“ ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა **ნინო ჩარკვიანმა** 2015 წელს საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა, რომ სექტის წევრები, რომლებსაც სხეულზე ამოტრიალებული ჯვარი და წარწერა — „სიძულვილი“ ჰქონდათ ამოსვირინგებული, დუშეთში სატანისტურ რიტუალებს ღამღამობით სასაფლაოზე ატარებდნენ, სადაც კატებსა და ძაღლებს ხოცავდნენ, მერე კი მსხვერპლშეწირვამ უფრო მძიმე ხასიათიც მიიღო და სექტის წევრი ორი მოზარდი საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა. პოლიტიკური ორგანიზაციის წარმომადგენელმა მაშინ შინაგან საქმეთა მინისტრსაც მოუწოდა, ეს საქმე პირად კონტროლზე აეყვანა, საქართველოს საპატრიარქოსა და ბავშვთა უფლებების დამცველებს კი სთხოვა, საკითხით დაინტერესებულიყვნენ. მსგავსი შემთხვევები დაფიქსირდა მუხათგვერდის სასაფლაოზეც.

მოკლედ, **სამართალდამცავი უწყებების დასადგენია, უკავშირდება თუ არა თბილისის ქუჩებში კატების ხატვა რაიმე სექტასა და სატანისტურ რიტუალს, მაგრამ არც ის იქნება გასაკვირი, თუ დამტკიცდება, რომ პოლიციის მიერ აწ უკვე იდენტიფიცირებული მოქალაქე მართლაც საკუთარ კატას ხატავდა, რადგან ისევე უყვარს იგი, როგორც ერნსტ თეოდორ ამადეუს ჰოფმანი გიჟდებოდა საკუთარ კატაზე, რომელსაც რომანი — „კატა მურის ცხოვრებისეული ფილოსოფია“ მიუძღვნა.**

სხვათაშორის, **ფილოსოფოს კატას** მხოლოდ ჰოფმანის კი არა, **ტარიელ ჭანტურიას** შემოქმედებაშიც ვხვდებით. კერძოდ, ჩვენი თანამედროვე დიდი პოეტის ლექსში, რომელსაც **„ხატაურა“** ჰქვია, ვკითხულობთ: **„დუმს ბუხართან ბრძნულად ჩემი მოფილოსოფოსო ფისო! იზმორება: ამინდია ლოთობის და ბოზობისო!“** ან იქვე: **„რომ ჰგონიათ, არც ისეთი უეშმაკო და უბიწო, დუმს კერასთან ბრძნულად ჩემი მოფილოსოფოსო ფისო“.**

მოკლედ, **თეოდორ ამადეუს ჰოფმანისა** და **ტარიელ ჭანტურიას** მიხედვით, სამყაროში მარტო **კანტის ფილოსოფია** კი არა, **კატის ფილოსოფიაც** არსებობს, რასაც ვერასოდეს ჩასწვდებიან ტვინგამორეცხილი და ზომბირებული ნაცლიბერასტები, რომლებიც, დიდი ხანია, პოლიტიკურ და მორალურ კატასტროფას განიცდიან!

რაც შეეხება რუსულ საფრთხეს და რუს დივერსანტებს, ისინი არა **კედელზე მიხატულ კატაში**, არამედ იმ **პოლიტიკურ სავირთხეთში** უნდა მოვიკითხოთ, რომელსაც ნაციონალური მოძრაობა ჰქვია და რომელიც ყველანაირად ცდილობს, საქართველო კიდევ ერთხელ გახვიოს საომარ **კატა**კლიზმში.

ისე კი, ბუნებრივიც არის, რომ პოლიტიკურ ვირთხებს **კატის** ეშინიათ, თუნდაც იგი მხოლოდ კედელზე ეხატოს!

***ჯაბა ხუბუა***








**ერნსტ თეოდორ ამადეუს ჰოფმანისა და ტარიელ ჭანტურიას მიხედვით, სამყაროში მარტო კანტის ფილოსოფია კი არა, კატის ფილოსოფიაც არსებობს!**

## კვირგვინოსნები

**დიმიტრი ხუნდაძე**
*პარლამენტარი*



დღეს, **ვინც ომში ჩართვისკენ მოუწოდებს საქართველოს**, ქვეყნის შიგნით თუ გარეთ, **მხოლოდ მტერია ამ ქვეყნის...** რას ერჩით ამ ქვეყანას, ნუ გაწირავთ საკუთარი პოლიტიკური ინტერესებისთვის საკუთარი ქვეყნისა და საზოგადოების უსაფრთხოებას და მათ უმთავრეს ინტერესებს!

„ინტერპრესნიუსი“

**ზურაბ ქადაგიძე**
*ანალიტიკოსი*



მგიმოს კურსდამთავრებული **ელენე ხოშტარია** საუბრობს **ბიძინა ივანიშვილის** დასანქცირებაზე. სპიკერად ისეთი ადამიანი მაინც შეარჩიეთ, რუსების ნომრიანი აგენტი არ იყოს. **მიშა აქ ჩამოვიდა იმიტომ, რომ ქვეყანა გაეხვია ომის ქარცეცხლში** და ახლა, ყველა, ვინც მის თავისუფლებას ითხოვს, **ითხოვს ომს ჩვენ ქვეყანაში!**

„იმედინიუსი“

**დავით კირკიტაძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



ჩვენი ხელისუფლების შეცდომა სწორედ ის იყო, რომ **მართლა სათანადოდ არ შევაფასეთ ზვიადის პერიოდი და ის ადამიანები, ვინც ირიბად თუ პირდაპირ გარეული იყვნენ ზვიად გამსახურდიას მკვლელობაში, არ ვამხილეთ** და მთელ საზოგადოებას არ გავაგებინეთ, ვინ არიან ისინი.

„ახალი თაობა“

**ირაკლი ქადაგიშვილი**
*პარლამენტარი*



რა გავაკეთოთ, **რუსეთს ომი გამოვუცხადოთ და ამით ევროკავშირში უფრო სწრაფად შევალთ?** ჩვენი ნომერ პირველი ამოცანაა, რომ **ჩვენს ქვეყანაში რუსეთმა აგრესია ვერ მოახერხოს.** ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობს, ეს არ დაუშვას.

„კვირის პალიტრა“



# გუბაზის კაკანი და ვალერის კანონი

## იმპერატორ ვალერიანეს პორტრეტის ფონზე

**ასლან აბაშიძეს ვალერი გელბახიანი რომ ვალერიანეს მსგავსად ცოცხლად გაეტყავებინა, სააკაშვილი ხელისუფლებაში ვერ მოვიდოდა, ბადრი პატარკაციშვილი ცოცხალი იქნებოდა, აგვისტოს ომი არ მოხდებოდა, ას ორმოცდაათი ქართული სოფელი არ დაიკარგებოდა და უამრავი უდანაშაულო ქართველის სიცოცხლეც არ ჩაქრებოდა.**



*წინა კვირას გუბაზ სანიკიძე რომელიღაც ნაცმიდრეკილი ტელევიზიით გამოვიდა და გვამცნო — ვალერი გელბახიანს კანონპროექტი უკვე დაწერილი აქვს და ხელისუფლებაში მოვალთ თუ არა, ქონებას ყველას ჩამოვართმევთ, ვინც მის წარმომავლობას ვერ დაასაბუთებსო!*





ძვირფასო მკითხველო, თავიდანვე გარკვევით უნდა გითხრათ, რომ წინამდებარე წერილის მიზანი **გუბაზ სანიკიძის** ლაფში ამოთხვრა და განქიქება სრულებითაც არ გახლავთ, რადგან **კაცს, რომელსაც ისედაც მთელი საქართველო აფურთხებს და აგინებს, წიხლის ჩაზელა და თავლაფის დასხმა კიდევ ჩვენგან აღარ უნდა, თავისი გაჭირვება ეყოფა.**

ჩვენ იმ საშიში მოვლენის შესახებ უფრო გვსურს საუბარი, რასაც **„ვალერი გელბახიანობა“** ჰქვია, თორემ არსება — სახელად **ვალერი გელბახიანი** — დიდი ხნის მკვდარია და საშიში აღარ არის!

დავიწყოთ იმით, რომ **ვალერის მიერ დაწერილი კანონებით** ადამიანის ქონებისა და შემოსავლების კანონიერების განსაზღვრა უკვე დიდი ხათაბალა და ცირკია. ეს დაახლოებით იმას ჰგავს, **ნონა მამულაშვილმა** და **კობა ხაბაზმა,** რომელიც 1992 წელს მერაბ კოსტავას ეზოდან გადმოდგა, შარვალი ჩაიხადა და ზვიად გამსახურდიას მომხრეებს სასქესო ორგანო დაუქნია, საჯარო ლექცია წაიკითხონ თემაზე — **„ათასად კაცი დაფასდა, ასიათასად — ზრდილობა!“**

**ვალერი გელბახიანობა** ისეთივე „ჭირია ქართლისა“, როგორც **შადიმანობა, ყორღანასძეობა და ფარსადანობა...** ეს არ გახლავთ ჩვენი ამოჩემება და კაპრიზი, ამას ამტკიცებს ვალერი გელბახიანის მიერ განვლილი გზა, რომელიც მის მიერ ნაღალატევი და განწირული ადამიანების გვამებითაა მოფენილი.

**ერთადერთი, ვინც ვალერი გელბახიანმა ვერ გაასაღა, ასლან აბაშიძე გახლავთ, რომელიც საშინელ განზრახვას დროზე ადრე მიუხვდა და ბათუმიდან დაიფრინა.** მაშინ ასლანი მართლაც სასწაულებრივად გადარჩა, მაგრამ

**საშინელ სამსჯავროს გადაურჩა ვალერი გელბახიანიც, რომელიც ცოტაც და შუა ბათუმში, „ერას“ მოედანზე, იმპერატორ ვალერიანეს ბედს გაიზიარებდა.**

მოგეხსენებათ, 260 წლის გაზაფხულზე რომის იმპერატორი ვალერიანე სასანიდური სპარსეთის შაჰმა შაპურ პირველმა ედესის მახლობლად დაამარცხა და დაატყვევა. **შაჰი ვალერიანეს სკამად იყენებდა და ცხენზე ასვლის დროს ზურგზე ფეხებით შედგებოდახოლმე. ბოლოს შაჰმა ვალერიანე ცოცხლად გაატყავა და დამარცხებულ იმპერატორს საშინელი ტანჯვა-წამებით მოუღო ბოლო.**

სწორედ **იმპერატორ ვალერიანეს** ბედი ელოდა ვალერის, მაგრამ პატრონებმა უშველეს და აჭარას დროზე გამოარიდეს!

უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, **ვალერი გელბახიანმა და გუბაზ სანიკიძემ** ყველა უბედურებასთან ერთად თვით ღალატის ცოდვაც კი დაამახინჯეს. მაგალითად, მთელმა საქართველომ ნახა, თუ როგორი განმარტება „გამოუძებნა“ გუბაზ სანიკიძემ ცნება **„ღალატს“** და მას **„ჯარიმა“** უწოდა.

ე.ი. ყველა ის დიდი ქართველი ფეხბურთელი, რომელმაც სამშობლო ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით ასახელა, მაგრამ სტადიონზე ერთხელ მაინც „დაჯარიმდა“, **„მოღალატე“** ყოფილა, ხოლო ვალერი გელბახიანი, რომელიც ბადრი პატარკაციშვილის „არკადიაში“ საბედისწერო მისიით შეგზავნეს — მამულიშვილი, პატრიოტი და, რაც ყველაზე მთავარია, კანონმდებელი და პროკურატორი! უფრო მეტიც, ვალერი გელბახიანმა „არკადიაში“ თვითგამოცხადებული ჟურნალისტი **ელისტრაკო კილაძეც** შეიყოლა და მერაბიშვილ-სააკაშვილ-ახალაიების დავალებაც პირნათლად შეასრულა — **ბადრი პატარკაციშვილის** წყალგაღმა გასტუმრების შემდეგ საეჭვო ვითარებაში გარდაცვლილ **ბორის ბერეზოვსკისაც** კი ფულს სთხოვდა და საქვეყნოდ აცხადებდა — ბერეზოვსკის ჩემი 7 მილიონი დოლარი მართებს და არ მაძლევსო! ანუ ვალერიმ მკვდრის გაძარცვაც კი მოინდომა, მაგრამ ამ საქმეში ფეხი არ ჩაუვიდა, რადგან უბედურ ბერეზოვსკის ფული აღარ დარჩა.

აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, თუ როგორ უჭახუნებდა ბადრი პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი **ვალერი გელბახიანი** ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობის დამკვეთ მიხეილ სააკაშვილს შამპანურით სავსე ფუჟერს კიევში და ამ ყველაფერს როგორ დაქოთქოთებდა **გუბაზ სანიკიძე,** რომელმაც **ლევან სანიკიძე** საიქიოშიც მოკლა!

**სოლონი და ლიკურგე,** როგორც უძველესი კანონმდებლები, გამორჩეული ზნეობის ადამიანები იყვნენ. ვალერი გელბახიანი კი კანონმდებელი ვერ გახდება და **სოლონთან და ლიკურგესთან** წილნაყარი დიდებით ვერასოდეს იცხოვრებს. კიდევ ერთხელ ვიმეორებთ: **ერთადერთი, რასაც მოღალატე ვალერი ალალად იმსახურებს, სპარსელების მიერ დატყვევებული ვალერიანეს სასჯელია, რომელიც ცოცხლად გაატყავეს!**

საკითხავი ის არის, ღირს კი გელბახიანის ცოცხლად გატყავება და ამ გაზაფხულზე ატმისა და ვარდის სურნელით შეზავებული ჰაერის წაბილწვა?

**ისე კი, ვის უპირებთ ქონების წართმევას, თქვე ქაჯებო!**

**ერთადერთი, რასაც მოღალატე ვალერი ალალად იმსახურებს, სპარსელების მიერ დატყვევებული ვალერიანეს სასჯელია, რომელიც ცოცხლად გაატყავეს!**

*დიტო ჩუბინიძე*



## კვირგვინოსნები

**თამარ ჩერგოლეიშვილი**
*გამოცემა „ტაბულას“ დამფუძნებელი*



მიშა, **არ მჯერა, რომ კვდები,** როგორც არც ის მჯეროდა, რომ შიმშილობდი.

„აიპრესი“

**ლევან ნიკოლეიშვილი**
*ექსპერტი*



**სააკაშვილი ციხის გარეთ ავტომატურად ახალ ომს ნიშნავს რუსეთთან,** და ეს არაერთხელ აღნიშნეს **უკრაინის ხელისუფლების** წარმომადგენლებმა.

„იმედინიუსი“

**იაგო ხვიჩია**
*„გირჩის“ ერთ-ერთი ლიდერი*



ქვეყნის დასავლური მომავალი წყდება და ჩვენ ვარკვევთ, **მიხეილ სააკაშვილი ავად არის თუ კარგად** — სისხლში ჰემოგლობინი კარგი აქვს თუ არა.

„ინტერპრესნიუსი“

**ანზორ მელია**
*ექიმი*



როგორ შეიძლება **სააკაშვილის** ბედის ანაბარა მიტოვება, **ეს დიდი დანაშაულია** — დავდგეთ ერთად და ვუთხრათ მთავრობას: **გადაიყვანეთ სამკურნალო დაწესებულებაში, გადავარჩინოთ სიკვდილს.**

„ინტერპრესნიუსი“

# კაცი, რომელიც სიძულვილსაც არ იმსახურებს!

*გურამ დოჩანაშვილისაგან* ***ვიცით*** *კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა!* ***ვიქტორ ჰიუგოსაგან ვიცით*** *კაცი, რომელიც იცინის!* ***წინამდებარე წერილი კი ეხება*** *კაცს, რომელიც სიძულვილსაც არ იმსახურებს!*





**კაცი, რომელიც სიძულვილსაც არ იმსახურებს,** საქართველოს მეოთხე პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი** გახლავთ!

ზოგადად, სიძულვილი ისეთივე ძალმოსილი გრძნობაა, როგორიც — სიყვარული და ამიტომაც წარმოადგენს მის საპირწონეს! ამიტომაც ითვლება სიძულვილი სიყვარულის სრულფასოვან და თანაზომად მეტოქედ!

კონკრეტულად, **სახალხო სიყვარულის** მოხვეჭაზე თუ ვისაუბრებთ, ამისათვის კაცმა დიდი საქმეები უნდა გააკეთოს, **სახალხო სიძულვილის** მოსამკელად კი დიდი საქმეების გაფუჭებაა საჭირო, მაგრამ მარგველაშვილს თავისი პრეზიდენტობის განმავლობაში არც დიდი და მნიშვნელოვანი საქმეები გაუკეთებია და არც დიდი და მნიშვნელოვანი საქმეები გაუფუჭებია, არც სიკეთე დაუთესავს და არც — ბოროტება, მხოლოდ კარტოფილს თესავდა დუშეთში!

## მარგველაშვილს არც სიკეთე დაუთესავს და არც — ბოროტება, მხოლოდ კარტოფილს თესავდა!

მოკლედ რომ მოვჭრათ, **მარგველაშვილი პრეზიდენტობის დროსაც პოლიტიკური არარაობა იყო, პრეზიდენტობის შემდეგ კი უფრო დიდ არარაობად იქცა, რომელმაც ქართველი ხალხისაგან ვერც სიყვარული დაიმსახურა და ვერც — სიძულვილი.**

## მარგველაშვილის, როგორც პოლიტიკოსის, ტრაგიკულობაც და კომიკურობაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან ქართველი ხალხისაგან არათუ სიყვარული, არამედ სიძულვილიც ვერ დაიმსახურა.

არადა, თუ პოლიტიკოსი არ უყვართ, უნდა სძულდეთ მაინც, თორემ აქტუალობას დაკარგავს და პოლიტიკური ველიდან უკვალოდ გაქრება. კონკრეტული მაგალითი თუ გნებავთ, აგერ არის მარგველაშვილის ძველი მეგობარი **ბიძა ბოკერია,** რომელიც ქართული პოლიტიკის ზედაპირზე ტივტივს სწორედ იმის ხარჯზე ახერხებს, რომ საქართველოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს სძულს.

დიახ, **პოლიტიკოსი აქტუალური და საინტერესოა მანამ, სანამ იგი უყვართ ან სძულთ, ხოლო, როცა არც უყვართ და არც სძულთ, პოლიტიკოსი, უბრალოდ, ლეშია!** შესაბამისად, **გიორგი მარგველაშვილიც,** რომელიც ხალხს არც უყვარს და არც სძულს, **პოლიტიკური ლეში** გახლავთ და სულაც არ არის საინტერესო, გახდება თუ არა ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე. არადა, როგორც ტელეკომპანია „რუსთავი-2" საკუთარ კონფიდენციალურ წყაროზე დაყრდნობით იუწყება, მარგველაშვილს ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარეობა პირადად პატიმარმა სააკაშვილმა შესთავაზა.

**საერთოდ, დიდი ხანია, დადის ხმები იმის შესახებ, რომ სააკაშვილსა და ნაცმოძრაობის ლიდერშიპის ნაწილს პარტიის თავმჯდომარეობიდან ნიკანორ მელიას გადაყენება სურთ, რადგან მიაჩნიათ, რომ არასაკმარის რადიკალიზმს იჩენს და ბელადის ციხიდან დასახსნელად ნემსის ყუნწში არ ძვრება. აქედან გამომდინარე, სულაც არ უნდა გაგვიკვირდეს, მელია პარტიის თავმჯდომარეობიდან რომ დაიფრინონ, მის ადგილას კი აწ უკვე ნაცებთან ჩახუტებული თუ პლასტილინივით მიწებებული მარგველაშვილი დადონ.** ეს სააკაშვილისა და ნაცების მხრიდან ერთგვარი პიარ-სვლა იქნება, რომლითაც საზოგადოებას მიანიშნებენ — ისე შევიცვალეთ და გამოვსწორდით, ისეთი პოლიტიკური კათარზისი განვიცადეთ, რომ პარტიის თავმჯდომარეობაზე თვით **ყოფილი პრეზიდენტი მარგველაშვილი** დაგვთანხმდა, რომელიც წლების განმავლობაში გვაკრიტიკებდა და გვებრძოდაო!

ნაცმოძრაობის თავმჯდომარედ **მარგველაშვილის** გამწესება გზავნილი იქნება საერთაშორისო საზოგადოებისთვისაც — **როცა საქართველოს მესამე პრეზიდენტი „პოლიტიკურ პატიმრობაში" იმყოფება, ჩვენს პარტიას სათავეში საქართველოს მეოთხე პრეზიდენტი ჩაუდგაო!**

მოკლედ, **მარგველაშვილს,** თუ იგი ნაცმოძრაობის თავმჯდომარედ მართლა დააყენეს, **მკვდარზე „ვენოკის"** ფუნქცია ექნება, ქართველი საზოგადოების დიდ ნაწილში კი არც ნაცმოძრაობისადმი დამოკიდებულება შეიცვლება და არც — მარგველაშვილის მიმართ არსებული განწყობა: **ქართველ ხალხს სააკაშვილის დანაშაულებრივი და სისხლიანი სექტა ისევ ისე ეძულება, როგორც მარგველაშვილის თავმჯდომარეობამდე სძულდა, ხოლო მარგველაშვილი ქართველი ხალხის სიძულვილს ვერც მას შემდეგ დაიმსახურებს, რაც სააკაშვილის დანაშაულებრივი და სისხლიანი სექტის თავმჯდომარე გახდება!**

ამ დროისათვის მარგველაშვილი უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს სააკაშვილმა ნაცმოძრაობის თავმჯდომარეობა შესთავაზა, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ **„პლასტილინას"** კვირაში ცხრა პარასკევი აქვს, არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება, მით უფრო, მას შემდეგ, რაც იგი კიევში სწორედ ნაციონალური მოძრაობის დელეგაციასთან ერთად გაემგზავრა და განაცხადა — **მე და მიშამ მოვილაპარაკეთ, რომ აქ ერთად წამოვსულიყავითო!**

კარგად გვახსოვს, რომ მარგველაშვილი სააკაშვილის მიერ ავლაბარში აშენებულ საპრეზიდენტო რეზიდენციას კალიგულას სასახლესა და „ბოროტების ბუდეს" ეძახდა — **პრეზიდენტად არჩევის შემდეგ იქ ფეხის შემდგმელი არ ვარო,** მაგრამ გაპრეზიდენტებიდან სულ ცოტა ხანში სწორედ იმ ბოროტებისა და გარყვნილების ბუდეში დაიდო ბინა!



## მარგველაშვილი ნაცმოძრაობაში ჯერ კიდევ მაშინ შევიდა, როცა სააკაშვილის მიერ აგებულ ავლაბრის რეზიდენციაში შევიდა!

პრინციპში, მარგველაშვილი ნაციონალურ მოძრაობაში სწორედ მაშინ **შევიდა,** როცა სააკაშვილის მიერ აგებულ ავლაბრის რეზიდენციაში **შევიდა!**

## მარგველაშვილი ნაციონალური მოძრაობის წევრი ჯერ კიდევ მაშინ გახდა, როცა სააკაშვილის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან 9 მილიონი ლარის გაფლანგვის დამადასტურებელი დოკუმენტებისათვის საიდუმლო გრიფის მოხსნაზე უარი განაცხადა და „ქართულ ოცნებას" ვეტოებით გამოუცხადა ბრძოლა!

**მარგველაშვილი იდეოლოგიურ ნაცად ჯერ კიდევ მაშინ გაფორმდა, როცა პრეზიდენტის რანგში საქვეყნოდ განაცხადა — ჩემი მდიდარი სექსუალური ცხოვრებით ვამაყობო!**

ასე რომ, სააკაშვილის მიერ ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარედ მარგველაშვილის დანიშვნა არც არავის გააოცებს და არც არავის აღაშფოთებს, რადგან **ქართველი ხალხისათვის მარგველაშვილი სულერთია!**

ამდენად, კაცს, რომელიც **ქართველი ხალხისაგან სიძულვილსაც არ იმსახურებს,** თავისუფლად შეუძლია, გახდეს **იმ პარტიის თავმჯდომარე, რომელიც ქართველი ხალხისაგან დიდ სიძულვილს იმსახურებს!**

ეს საქართველოს რეალობაში ვერც ვერაფერს გამოასწორებს და ვერც ვერაფერს გააფუჭებს!

**ჯაბა ხუბუა**

## კვირგვინოსნები

**გიული ალასანია**
*მიხეილ სააკაშვილის დედა*



მიკვირს ზოგიერთი ადამიანის გულუბრყვილობა, იმდენად ყოვლისშემძლე და სასწაულმოქმედი ჰგონიათ **მიხეილ სააკაშვილი,** ჰგონიათ, რომ უკვდავია, არაფერი არ შეეხება. **ვითხოვ მიხეილ სააკაშვილის დაუყოვნებლივ გაყვანას ამ ქვეყნიდან** და შესაფერის კლინიკაში მოთავსებას.

„პირველი არხი"

**ვახტანგ ძაბირაძე**
*პოლიტოლოგი*



**ოპოზიცია ქუჩაში 200 ათას კაცს ვერ გამოიყვანს,** ამის რესურსი არ აქვს, ამიტომ პატარა პარტიებმა აქედანვე უნდა დაიწყონ მშვიდი, მეთოდური პოზიციური ბრძოლა **2024 წლის არჩევნებში** გამარჯვებისთვის.

„რეზონანსი"

**ირაკლი ზარქუა**
*პარლამენტარი*



**სააკაშვილი ჩამოვიდა არეულობის მოსაწყობად,** რაც ვერ შედგა. სააკაშვილის ჯანმრთელობას მოიგონებენ თუ სხვა რამეს, **ეს კინო უკვე ნანახი გვაქვს.**

„პირველი არხი"

**სოსო ცინცაძე**
*პოლიტოლოგი*



**სააკაშვილს** საზღვარგარეთ თუ გაუშვებენ, **„ქართული ოცნება"** სახეს შეინარჩუნებს.

„ახალი თაობა"

**მირიან მირიანაშვილი**
*პოლიტიკური ორგანიზაცია „ერის" თავმჯდომარე*



ნაცმოძრაობამ იპოვა მფარველი უკრაინაში **არახამიას სახით** და გახსნა **შიდაპოლიტიკური ფრონტი** საქართველოში.

„ახალი თაობა"

*ამ ათი დღის წინათ ბაკურიანში არაძალადობრივი რევოლუციის თემაზე ლექციების წასაკითხად და, საბოლოო ჯამში, რევოლუციის მოსაწყობად ჩამოსული პიტერ აკერმანი მოულოდნელად გარდაიცვალა. უფლებადამცველი და საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი* **დიმიტრი ლორთქიფანიძე** *აცხადებს, რომ მას შემდეგ, რაც ბაკურიანის შეკრების შესახებ ინფორმაციამ გაჟონა, შესაძლოა, იგი მოკლეს:*



## დიმიტრი ლორთქიფანიძე:

# პიტერ აკერმანის სიკვდილი მის პატრონებსაც სურდათ და მსმენელებსაც, რომლებსაც ბაკურიანში ლექციას უტარებდა!

— როდესაც ნაცმოძრაობა თავისი გამონაძენით — **15 გეი-პარტიით და მომყოლი არასამთავრობო ორგანიზაციებით** ბაკურიანში **პიტერ აკერმანის** ხელის აქნევაზე შეიკრიბა, ეს უკვე აშკარა სიგნალი იყო იმისა, რომ ხელისუფლებას და ქვეყნის სტაბილურობას სერიოზული საფრთხე დაემუქრა. პიტერ აკერმანის გარდაცვალებამ მართლაც უამრავი კითხვა გააჩინა, ამიტომ ხაზგასმით ვაცხადებ: **აკერმანი იყო ძალიან სერიოზული და გავლენიანი პიროვნება, რომელსაც პირდაპირი მონაწილეობა აქვს მიღებული სლობოდან მილოშევიჩის დამხობაში.** მაქვს საფუძველი, ვიფიქრო, რომ ასეთი პიროვნებები შემთხვევით არ კვდებიან!

**— ბატონო დიმიტრი, ვიდრე აკერმანის გარდაცვალების შესახებ ცნობა გავრცელდებოდა, „ქართული ოცნების“ ლიდერმა ირაკლი კობახიძემ განაცხადა — ორგანიზაცია „კიბერ-კმარას“ ევტუშენკოვისა და ბიძინა ივანიშვილის სავარაუდო სატელეფონო საუბრის ჩანაწერი ან რუსეთის სპეცსამსახურებმა მიაწოდეს, ანდა აკერმანმაო!**

— გეთანხმებით, ხელისუფლება ითხოვს წყაროს დასახელებას, კერძოდ, იმის გამხელას, თუ ვინ მიაწოდა კმარელებს ეს ჩანაწერი; **სუს**-ში ბაკურიანში მომხდარ შეკრებასთან დაკავშირებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე; ერთ-ერთ ვერსიად განიხილავენ, რომ ჩანაწერი სწორედ პიტერ აკერმანმა ჩამოიტანა... **აი, ასეთ ვითარებაში ყველასათვის მოულოდნელად აკერმანი მოკვდა!** არადა, იგი არ იყო მხოლოდ „ფრიდომჰაუსის“ დირექტორი ან მხოლოდ „საერთაშორისო ურთიერთობათა საბჭოს“ ყოფილი თანათავმჯდომარე, აკერმანი გახლდათ გაცილებით სერიოზული ფიგურა და ყოფილ სოციალისტურ სივრცეში დაგეგმილი ფერადი რევოლუციების კონცეფციის ავტორი! აკერმანი ყირგიზეთსა და ბელარუსში აგორებული რევოლუციური პროცესების უკანაც იდგა და საქართველოში ჩამოვიდა, როგორც „აირექსის“, ანუ „არაძალადობრივი კონფლიქტების საერთაშორისო ცენტრის“ ხელმძღვანელი.

**ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ აკერმანი ბაკურიანში შეხვდა მხოლოდ გეი-პარტიებს,** რომლებმაც 2021 წლის 4 მაისს **შარლ მიშელსა** და **კელი დეგნანს** ხელი მოუწერეს შეთანხმებაზე და პირობა დადეს, რომ ხელისუფლებაში მოვლენ თუ არა, „ლგბტ“ საზოგადოების დასაცავად საკანონმდებლო ინიციატივებს განავითარებენ!

**ბუნებრივად, დაისმის კითხვა — რა უნდა გააკეთოს ასეთ სიტუაციაში სახელმწიფომ?** პასუხი ერთმნიშვნელოვანია: სახელმწიფომ დაუყოვნებლივ უნდა გაარკვიოს, თუ ვინ დგას სინამდვილეში ე.წ. „კიბერ-კმარას“ ექაუნთის უკან, რომელმაც, სავარაუდოდ, **ივანიშვილ-ევტუშენკოვის** საუბრის ჩანაწერი გაასაჯაროვა!

**— რა მიზანს ემსახურებოდა ამ ჩანაწერის გავრცელება?**

— მიზანი ერთადერთი იყო — გაემართლებინათ **ზელენსკის, არესტოვიჩის, არახამიას, პოდოლიაკის,** აგრეთვე **კიევში თავშეყრილი ნაცსექტანტებისა და მათი მოკავშირეების** გამუდმებული პრეტენზიები იმის შესახებ, თითქოს საქართველო რუსეთს სანქციების გვერდის ავლაში მართლაც ეხმარება! **როგორც ჩანს, ეს სატელეფონო საუბარი ძალიან მაღალტექნოლოგიური საშუალებებით არის ჩაწერილი.** სააკაშვილის ჯიბის ჟურნალისტის **ნოდარ მელაძის** განცხადებით, ეს გააკეთა ესტონეთის სპეცსამსახურმა, რომელიც დაკავშირებულია პენტაგონთან, ამერიკულ „ცერეუსთან“ და მსგავსი ინფორმაციების მოპოვების თვალსაზრისით, მთელ აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილ საბჭოთა სივრცეში წარმოადგენს ფლაგმანს. არ ვიცი, ამ განცხადების ავტორი ხუმრობდა თუ არა, მაგრამ, როგორც ჩანს, საქართველოს ხელისუფლებას, პირდაპირ თუ ირიბად, რაღაც ძალები მართლაც აფრთხილებენ!

**— ამ ყველაფერთან პიტერ აკერმანის უეცარი სიკვდილი რა კავშირშია?**

— ფაქტია, რომ აკერმანი მოულოდნელად გარდაიცვალა და მისი სიკვდილის მიზეზებზე დღემდე არავითარი ინფორმაცია არ ქვეყნდება.

**როცა კობახიძე აცხადებს, რომ სავარაუდო**


ლიტერატურა და ცხოვრება

# ეკერმანი ვაიმარში და

მეტი სინათლე!

# აკერმანი ბაკურიანში

მეტი სიბნელე!












**„ცხონებული გურამ შარაძე, ზურაბ ჟვანია, ბადრი პატარკაციშვილი, ბონდო შალიკიანი და ეროსი კიწმარიშვილი სააკაშვილისა და მისი ხროვის საქმიანობის შესახებ ფას-დაუდებელ ცნობებსა და მაკომპრომეტირებელ მასალებს ფლობდნენ. ამიტომ ყველა ერთმანეთის მიყოლებით წავიდა!“**

## კვირგვინოსნები

**თამთა მეგრელიშვილი**
*საჯარო მმართველობის დოქტორი*



სასამართლოს გადაწყვეტილებით **დეკლარირებულ თაღლითს, მევახშეს** და ადამიანების გამაუბედურებელ **ბადრი ჯაფარიძეს** უთქვამს, **ირაკლი კობახიძე** სამკურნალო არისო. **ბადრი, ჯიგარო — ცხადია, შენთვის ყველა სამკურნალოა, ვინც ან არ თაღლითობს, ან არ ასახლებს, ან არ იტყუება.** აი, ამიტომ გაქვს 1 პროცენტი შენი ლელოიანად და ამიტომ ეზიზღები ხალხს.

„იმედინიუსი“

**ბორის ჯონსონი**
*დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი*



**როგორ შეიძლება ნიანგთან მოლაპარაკება,** როდესაც მას შენი ფეხი ყბაში აქვს. **ეს არის სირთულე, რომლის წინაშე უკრაინელები დგანან.** ძალიან ძნელია იმის დანახვა, თუ როგორ შეუძლიათ უკრაინელებს მოლაპარაკება **პუტინთან.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**რამაზ საყვარელიძე**
*ფსიქოლოგი, ანალიტიკოსი*



**ხალხს არ სურს,** აჰყვეს იმ პოლიტიკურ ძალას, რომელიც დღეს ოპოზიციის ავანგარდშია, **ხალხს არ დავიწყებია,** აგვისტოს ომის დროს **ხუთ დღეში რომ გამოიქცა ნაციონალური ელიტა.**

„კვირის პალიტრა“

**გია ვოლსკი**
*პარლამენტარი*



**მარგველაშვილის** ნაცმოძრაობის თავმჯდომარედ დანიშვნას შეიძლება **„კლოუნადა“** დავარქვა.

„ახალი თაობა“

**თეა წულუკიანი**
*კულტურის მინისტრი*



**ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ამ ქვეყანაში ტყვია არ გავარდეს.**

„რეზონანსი“




## „აკერმანი იყო ძალიან სერიოზული და გავლენიანი პიროვნება, რომელსაც პირდაპირი მონაწილეობა აქვს მილებული სლობოდან მილოშევიჩის დამხობაში!“

**სატელეფონო საუბრის ამსახველი ჩანაწერი შესაძლოა, პიტერ აკერმანმა ჩამოიტანა, ეს არის ძალიან სერიოზული ბრალდება. შთაბეჭდილება მრჩება, რომ ირაკლი კობახიძემ უფრო მეტი იცის, ვიდრე ლაპარაკობს, ამიტომ ეს ამბავი მან ბოლომდე უნდა გაშიფროს!**

მე ერთი რამ ვიცი, მიხეილ სააკაშვილი, სავარაუდოდ, გაუსწორდა ყველა იმ პიროვნებას, რომელსაც მის შესახებ სერიოზული კომპრომატები ჰქონდა.



ცხონებული **ბადრი პატარკაციშვილი, ბონდო შალიკიანი და ეროსი კიწმარიშვილი** – ცხონებული **გურამ შარაძე, ზურაბ ჟვანია, ბადრი პატარკაციშვილი, ბონდო შალიკიანი და ეროსი კიწმარიშვილი** სააკაშვილისა და მისი ხროვის საქმიანობის შესახებ ფასდაუდებელ ცნობებსა და მაკომპრომეტირებელ მასალებს ფლობდნენ. ამიტომ ყველა ერთმანეთის მიყოლებით წავიდა! მას შემდეგ, რაც ქართულმა სპეცსამსახურებმა **პიტერ აკერმანის** მისიის შესახებ შეიტყვეს და საქმე გასკდა, არ გამოვრიცხავ, შეშინებულმა პატრონებმა იმისათვის, რომ აკერმანს ვინმესკენ თითი არ გაეშვირა და რაღაცები არ „დაეფქვა“, მიიღეს მისი ლიკვიდაციის გადაწყვეტილება!

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ პიტერ აკერმანის უეცარი სიკვდილის უკან სააკაშვილი და მისი ხროვა დგანან?**

— მას შემდეგ, რაც **სუს**-ში გამოძიება დაიწყო, პიტერ აკერმანის სიკვდილი მის პატრონებსაც სურდათ და მსმენელებსაც, რომლებსაც ბაკურიანში ლექციას უტარებდა! აქედან გამომდინარე, ირაკლი კობახიძის განცხადების ფონზე, აქაოდა, ჩანაწერი აკერმანმა ჩამოიტანაო, შესაძლოა, მისტერ პიტერი გაწირეს, რადგან ამ საქმის ბოლომდე გაქექვის შეეშინდათ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: **ეს ჩემი ვარაუდია, მაგრამ სააკაშვილსა და მის ხროვას ასეთ მკვლელობებში დიდი გამოცდილება დაუგროვდათ და აქედან გამომდინარე, არაფერს გამოვრიცხავ!**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***



# ალარა ჭამსო!

***საქართველოში დაიწყო ნაცსპეცოპერაცია „მიშას არ მოგაკვლევინებთ“! თუმცა, ტუსაღ სააკაშვილთან დაკავშირებული ყველა წინა „რევოლუციური ჭინთვების“ მსგავსად, ამანაც სასაცილოდ სამარცხვინო და ჯამბაზური ხასიათი მიიღო!***

სახალხო დამცველის ნინო ლომჯარიას ფრთებქვეშ შეკრებილ ექიმთა კონსილიუმმა სააკაშვილის მდგომარეობა უკიდურესად მძიმედ შეაფასა და მისთვის დაუყოვნებლივი მკურნალობის დასკვნა გამოაცხო! **ლომჯარიას ექიმებმა ნაცთა ტუსაღ ფიურერს ეგრეთ წოდებული „პოსტტრავმული სინდრომი“ დაუდგინეს:** ანუ სააკაშვილს საპატიმროში ისეთი მძიმე ფსიქოლოგიური პრობლემა განუვითარდა, რომ „ცილოვანი შიმშილი“ დაეწყო და ამიტომ სასწრაფოდ სჭირდება, ამ გარემოს მოშორდესო!

უფრო მარტივად რომ ვთქვათ, **ამ ექიმების დასკვნით, სააკაშვილი ბადრაგის შემხედვარე ისე ითრგუნება, რომ მადა დაეკარგა!** ლომჯარიას ნაცმიდრეკილობაზე ბევრი რომ აღარ ვილაპარაკოთ, ეს ყველაფერი იმისთვის კეთდება, რომ სააკაშვილი პატიმრობიდან დაიხსნან! და ლომჯარიაც **(თავის საექიმო კონსილიუმთან ერთად)** ამ ნაცსპეცოპერაციის ერთ-ერთი აქტიორია!

ახლა, მოდით, ვნახოთ, რა **„ცილოვანი შიმშილი“** აქვს სააკაშვილს:

გასულ კვირას, როდესაც



მან ერთ დღეს ვერ მიიღო „პასილკა“, სანაცეთში და მათი ჯიბის ტელევიზიებში ერთი გნიასი ატყდა — **სააკაშვილს ისე აწამებენ, რომ ამანათებიც შეუწყვიტეს, რათა სათანადოდ არ იკვებოს და მხოლოდ ციხის სამზარეულოზე იყოს დამოკიდებულიო!** ჰოდა, სწორედ ამ გნიასისას გაირკვა, რომ სააკაშვილს სპეცკვება ჰქონია და მასთან ლამის ყოველდღიურად შეჰქონდათ „პასილკები!“

**ნიკუშა ზგარამიამ** პირდაპირ „ჩაუშვა“ ფიურერი: **აქამდე მიშასთან უცხიმო სულგუნი და კიტრი შეგვქონდა და ახლა ესეც აუკრძალეს მწამებლებმაო!**

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი, რომელიც ააშკარავებს სააკაშვილისეულ ვირეშმაკობას: **სპეციალური პენიტენციური სამსახური სიცრუეს უწოდებს ლომჯარიას ექიმთა კონსილიუმის განცხადებებს, თითქოს ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ადეკვატური სამედიცინო დახმარება არ მიეწოდება!**



## *თამარ ჩერგოლეიშვილი:* არ მჯერა, რომ კვდები, როგორც არ მჯეროდა, რომ შიმშილობდი!

ოფიციალური განცხადებით, **პენიტენციური სამსახური სრულად უზრუნველყოფს მიხეილ სააკაშვილს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისი მედიკამენტებით! თუმცა, ტუსაღი, „სამედიცინო პერსონალის რეკომენდაციის მიუხედავად, საკუთარი გადაწყვეტილებით არ იღებს მისთვის გათვალისწინებული პრეპარატების გარკვეულ ნაწილს“,** ანუ სააკაშვილი თავად ამბობს უარს საპყრობილის სამედიცინო სამსახურის მიერ მიწოდებულ წამლებზე!

გარდა ამისა, სააკაშვილი რუსთავის საპყრობილეში უზრუნველყოფილია **სამჯერადი კვებით** და დამატებით შესაძლებლობა აქვს, შეიძინოს პენიტენციური დაწესებულების მაღაზიაში არსებული ფართო ჩამონათვალიდან კვების ნებისმიერი პროდუქტი! **და რაც მთავარია, პენიტენციური სამსახურიც აცხადებს, რომ სააკაშვილი რეგულარულად იღებს ამანათებს „სულგუნის დიეტის“ წარმატებული დაგვირგვინებისათვის. მოკლედ, მსჯავრდებულისთვის სრულად ხელმისაწვდომია საკვების მრავალფეროვანი რაციონი!**

ბარემ, იმასაც შევეხოთ, სააკაშვილს კუნთების განლევა აქვსო!

### ადამიანი, მნიშვნელობა არა აქვს, დემოკრატიის შუქურა იქნება თუ მეორე ჯორჯ ვაშინგტონი, ლეშივით თუ ეგდება და არ იმოძრავებს, კუნთებიც გაელევა და ტვინიც!

მოკლედ, სააკაშვილს ციხეში არ უნდა, დედიკოსთან უნდა! აი, ეს არის მისი რეალური დიაგნოზი! და ყველაზე ზუსტად „სააკაშვილის კვდომა“ მისმა ძველმა თანამებრძოლმა — **ბოკერიას ჩერგოლეიშვილმა** შეაფასა!

თავის ღია წერილში მან ნაცთა ფიურერს პირდაპირ უთხრა: **მიშა, არ მჯერა, რომ კვდები, როგორც არ მჯეროდა, რომ შიმშილობდი და თუ გინდა, გადარჩე, შეეგუე ხანგრძლივ პატიმრობას!**

ოქროს სიტყვებია!

***გიორგი გიგაური***

## კვირგვინოსნები

**არჩილ გამზარდია**
*ანალიტიკოსი*



არჩევნებზე **5-პროცენტიანი ბარიერის** შემთხვევაში „ქართული ოცნება“ მოდის **არათუ უმრავლესობით,** არამედ შესაძლოა, **საკონსტიტუციო უმრავლესობითაც** კი.

„იმედინიუსი“

**თაკო ჩარკვიანი**
*„კანონი და სამართლის“ ლიდერი*



**მოგებული ომი წაგვაგებინეს** და აქ ურევია ნაციონალური მოძრაობის სუსტი თავმჯდომარის **ნიკანორ მელიას** ხელი, **ნიკანორ მელიამ** დააძინა პროცესი.

„TV პირველი“

**ხავიერ კოლომინა**
*ნატოს გენერალური მდივნის თანაშემწე*



**ნატო-საქართველოს** ძალიან კარგი ურთიერთობა აქვთ — **თქვენს განკარგულებაშია ნატო-ს ყველა ინსტრუმენტი,** რომელიც გაგვაჩნია.

„აიპრესი“

**გიორგი ვაშაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი*



გზა, რომლითაც „ოცნება“ მიდის, **არც ნატოში** მიგვიყვანს და **არც — ევროკავშირში.** დღეს ის მოცემულობა არ არის, რომ **ვადამდელ არჩევნებზე** ვიფიქროთ.

„კვირის პალიტრა“

**მამუკა მამულაშვილი**
*ქართული ლეგიონის ხელმძღვანელი*



ხალხში ისეთი განწყობაა, შეიძლება, ომი **რუსეთის ტერიტორიაზე კონტრშეტევით** დამთავრდეს.

„კვირის პალიტრა“

**ვასილ მაღლაფერიძე**
*თავდაცვის ექსპერტი*



**ატომური აფეთქება** არ იქნება, მაგრამ ევროპას **რადიოაქტიური მოწამვლა** გარანტირებული აქვს.

„კვირის პალიტრა“



# ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲜᲐᲮᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲭᲘᲠᲘ

## ᲠᲐᲣᲚ ᲩᲘᲚᲐᲩᲐᲕᲐ:

## ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲒᲐᲜᲕᲘᲪᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲓᲐᲣᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲧᲕᲔᲓᲣᲠᲔᲑᲘ ᲘᲡᲛᲘᲡ! ᲩᲕᲔᲜ ᲐᲛ ᲡᲐᲧᲕᲔᲓᲣᲠᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐᲡ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲕᲘᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲗ!

***ცნობილი პოეტი, მწერალი, მთარგმნელი და რუსთაველის პრემიის ლაურეატი რაულ ჩილაჩავა ათეული წლებია, უკრაინაში დიდ ქართულ საქმეს აკეთებს. ომის ხანძარს საქართველოში გამორიდებული შემოქმედი იმ წინააღმდეგობებზე გვესაუბრება, რომელმაც საქართველო-უკრაინის ურთიერთობაში ბოლო ხანს იჩინა თავი:***

— **„ქართლის ჭირი“**, რომელსაც დავით გურამიშვილი ასე ხატოვნად აღწერს, სწორედ უკრაინიდან გახლავთ დანახული, სადაც თავისი ცხოვრების ბოლო წლები გაატარა. ცხადია, დავით გურამიშვილს არ ვედრები, მაგრამ მეც აქედან წასული კაცი ვარ და მეც აქედან მიმყვება ის დიდი ტრაგედია, რომელსაც „ქართლის ჭირი“ ჰქვია და რომელიც უკრაინიდანაც კარგად ჩანს. **ჩვენ ბევრი ჭირი გვჭირს, მაგრამ საქართველოს მთავარი მტერი მაინც შუღლი და გაუტანლობაა, რომელიც ჟამითი ჟამად ყოველთვის ხდებოდა ჩვენი ეროვნული კატასტროფისა და დამარცხების მიზეზი.**

**— ბატონო რაულ, მაინც როგორია უკრაინიდან დანახული „ქართლის ჭირი“?**

— უკანასკნელი ოცდაათი წლის განმავლობაში ჩვენ დავამხეთ და მოვკალით პირველი პრეზიდენტი, რვაგზის ავიკელით და გადავბუგეთ სამეგრელო, ვხოცეთ და ვძარცვეთ ერთურთი, გავაღატაკეთ მოსახლეობა, გავანადგურეთ ეკონომიკა, დავკარგეთ აფხაზეთი და სამაჩაბლო, ხოლო „ნაცებად“, „ქოცებად“ თუ „შუაშისტებად“ დაყოფილ ქვეყანაში ყველას დაგვავიწყდა საქართველოს ეროვნული ინტერესები!

**— ვიცი, რომ თქვენთვის, როგორც უკრაინის მოქალაქისა და დიპლომატისათვის, რომელიც ლატვიაში უკრაინის ელჩი იყო, ამ თემაზე საუბარი ძნელია, მაგრამ მაინც უნდა გკითხოთ, რადგან უკრაინიდან საქართველოსადმი საყვედურები მაინც ისმის! პრეზიდენტ ზელენსკისთვის გასაგებია ის, რომ აზერბაიჯანს ყარაბაღის პრობლემა აქვს და ამიტომაც უკრაინას იარაღით ვერ ეხმარება, მაგრამ იმავე ზელენსკისთვის რატომ არის გაუგებარი საქართველოს პოზიცია, მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანის მსგავსად საქართველოსაც რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის პრობლემა აქვს და 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ თბილისიდან 30 კილომეტრში რუსეთის ტანკები დგას?**

— ძალიან განვიცდი, რომ უკრაინიდან საქართველოს მისამართით ასეთი დაუმსახურებელი საყვედურები ისმის! ჩვენ ამ საყვედურებსა და კრიტიკას ნამდვილად არ ვიმსახურებთ. მართლაც, შე დალოცვილო, თუ იცი, რომ აზერბაიჯანს ყარაბაღის პრობლემა აქვს და ეს სიტუაცია გესმის, **ᲛᲐᲨᲘᲜ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠ ᲒᲔᲡᲛᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲪ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲐᲩᲐᲑᲚᲝᲪ ᲠᲣᲡᲔᲗᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲬᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲠᲔᲛᲚᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲨᲔᲛᲝᲭᲠᲐᲪ ᲐᲠ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲐᲥ ᲐᲠᲘᲡ?!** როგორც ჩანს, ამ საშინელ ომში საქართველოს ჩათრევა ნაციონალურ მოძრაობაზე უფრო გავლენიან ძალებს სურთ.

**— თქვენს უკრაინელ ნაცნობ-მეგობრებს იმ მძიმე და დაუმსახურებელ ბრალდებებზე რომ ელაპარაკებით, რაც ჩვენი მისამართით კიევიდან ისმის, რას გეუბნებიან?**

— უკრაინელ პოლიტიკოსებთან არც მისაუბრია და ამის არც სურვილი მაქვს, რადგან ახლა ისინი სხვა საქმით არიან დაკავებული. ამ თემაზე ძირითადად ველაპარაკები ჩემს მეგობარ უკრაინელ მწერლებსა და პოეტებს, რომლებიც გაოგნებისგან მხრებს იჩეჩენ. მართლაც, არ ვიმსახურებთ ამ საყვედურებს. **ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲓᲠᲝᲨᲘᲡ ᲤᲔᲠᲔᲑᲨᲘᲐ ᲛᲝᲠᲗᲣᲚᲘ, ᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲓᲔᲕᲜᲘᲚᲘ ᲛᲘᲕᲘᲚᲔᲗ, ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲣᲚᲘ ᲡᲙᲝᲚᲐ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲓᲐᲜ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ ᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲘᲒᲖᲐᲕᲜᲔᲑᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐᲨᲘ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲓᲠᲝᲨᲐ ᲤᲠᲘᲐᲚᲔᲑᲡ, ᲥᲣᲩᲔᲑᲨᲘ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲛᲭᲔᲠᲘ ᲑᲐᲜᲔᲠᲔᲑᲘᲐ.** კარგად მახსოვს აფხაზეთის ომი, მაშინ უკრაინაში მიგრაციის სამინისტროში ვმუშაობდი და აფხაზეთიდან წამოსული ქართველი დევნილების დაბინავება ჩემი პირდაპირი მოვალეობა იყო... კი, უკრაინამ მაშინ საქართველოსთვის ბევრი გააკეთა, მაგრამ, რასაც დღეს საქართველო უკრაინისთვის აკეთებს, ამას ვერაფერი შეედრება.

### ᲛᲐᲨᲘᲜ ᲙᲘᲔᲕᲨᲘ ᲐᲠᲪ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲔᲑᲘ ᲛᲘᲜᲐᲮᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲛᲭᲔᲠᲘ ᲑᲐᲜᲔᲠᲔᲑᲘ!

**— საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას უკრაინასთან და უკრაინელ ხალხთან რამე შეეშალა?**

— ჩემი აზრით, საქართველოს ხელისუფლება ვერ აპიარებს იმ დიდ საქმეებს, რასაც უკრაინისთვის აკეთებს! პირდაპირ ითხოვენ ჩვენგან სანქციებსა და მეორე ფრონტს, რასაც კატეგორიულად არ ვეთანხმები, რადგან, თუ ამას გავაკეთებთ, ქვეყანა დაგვეღუპება! რატომ მოიცალეს ამ გარჩევებისთვის ახლა, რატომ უჩიჩინებენ საქართველოს? ომში ხარ და, თუ სხვა ქვეყანა დაგეხმარა, მადლობელი იყავი!

ახლა ზელენსკის განცხადებაა — საქართველოში ელჩს მაშინ დავაბრუნებ, როცა ხელისუფლება შეიცვლებაო! არ ვარ ამ ხელისუფლების ადვოკატი, მაგრამ ჩემი სამშობლოს ადვოკატობა მევალება და ამიტომაც ხმამაღლა ვაცხადებ — უკრაინის ხელისუფლებისგან ასეთი ლაპარაკი და ულტიმატუმები კატეგორიულად მიუღებელია!

**— რას ეტყვით საქართველოს, უკრაინას და რუსეთს?**

— **ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲕᲔᲢᲧᲕᲘ ᲘᲛᲐᲡ,** რომ ფრთხილად იყოს, რათა ომში არ ჩაითრიონ და საქართველოს ხელისუფლებამ სრულად წარმოაჩინოს ის სიკეთე, რასაც უკრაინისთვის აკეთებს! მერწმუნეთ, უკრაინაში ამ სიკეთის შესახებ ბევრმა არაფერი იცის. **ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲡ ᲕᲔᲢᲧᲕᲘ ᲘᲛᲐᲡ,** რომ ამ ომში აუცილებლად უნდა გაიმარჯვოს! ხოლო რუსეთს რა ვუთხრა იმაზე მეტი, რაც 2010 წელს რიგაში **ᲔᲕᲒᲔᲜᲘ ᲔᲕᲢᲣᲨᲔᲜᲙᲝᲛ** მითხრა? ვიწრო წრეში შევხვდით ერთმანეთს და მაშინ ვკითხე — **ᲔᲕᲒᲔᲜᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲝᲕᲘᲩ, ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠ ᲛᲝᲰᲙᲘᲗᲮᲐᲕᲗ ᲞᲣᲢᲘᲜᲡ ᲘᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲠᲐ ᲓᲦᲔᲨᲘᲪ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲩᲐᲐᲒᲓᲝ-ᲛᲔᲗᲥᲘ?** ევტუშენკომ მაშინ მიპასუხა — **ᲔᲰ, ᲩᲔᲛᲝ ᲠᲐᲣᲚ, ᲙᲠᲔᲛᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲔ ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲕᲐᲠ, ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲙᲠᲔᲛᲚᲨᲘ ᲐᲠ ᲭᲠᲘᲡᲝ!** რუსეთს მაინც ამას ვეტყვი — **ᲨᲔᲩᲔᲠᲓᲘᲗ, ᲐᲥᲐᲛᲓᲔ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲡ ᲜᲔᲚ-ᲜᲔᲚᲐ ᲙᲐᲠᲒᲐᲕᲓᲘᲗ, ᲮᲝᲚᲝ ᲐᲮᲚᲐ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝᲓ ᲙᲐᲠᲒᲐᲕᲗ!**

**— დასასრულ, ბატონო რაულ, როგორ შეეგუა საქართველოს თქვენი ძაღლი ჩაპა, რომელიც უკრაინიდან წამოიყვანეთ?**

— ჩაპა ახლაც ფეხებთან მიზის, თავს მშვენივრად გრძნობს და ძალიან გახარებულია, რადგან ხვალ სამეგრელოში მივდივართ! *(იცინის).*

***ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲕ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲰᲮᲕᲐᲚ?***

**საქართველოვ,
ვიდრე ჰხვალ,
საით მიემართები,
რას ფიქრობენ
მერმისზე
კოლხნი, სვანნი,
ქართები?
ხომ არ დაშინებულხარ
მოძალადის მუქარით,
როგორა გყავს
თბილისი,
ნათურქ-
ნასელჯუკარი?
ბინდგადაკრულ
ხატებთან
მისხალ-მისხალ,
ჩუმ-ჩუმად,
საუკუნის ნაღველი
ხრჩოლავს,
როგორც წუმწუმა.
ვიღაც გადამთიელი
ქართულ ჩოხას
იფერებს,
ყურძნის წურვას
ასწავლის
კოლხებსა
და იბერებს.
ცოტაც მოითმინეთო,
გვამუნათებს სპონსორი,
ერთი მხედრის
მაგივრად ექაჩება
პონს ორი.
ვიდრე, ვიდრე,
ვიდრე ჰხვალ,
საქართველოვ ბებერო,
ის ტაიჭი რა იქნა,
დიდი დავით მეფე რო
აგრიალა ნიკოფსის
ბჭიდან დარუბანდამდე,
მისთა ფლოქვთა
თქარუნი
თან დამყვება,
თან დამდევს.
საქართველოვ,
რა გითხრა გულის
მოსაფონები,
შენს თავლაში რაშებად
იზრდებიან პონები.**



*ესაუბრა*
***ᲓᲘᲢᲝ ᲩᲣᲑᲘᲜᲘᲫᲔ***

## ᲙᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲝᲡᲜᲔᲑᲘ

**ᲗᲔᲛᲣᲠ ᲩᲮᲔᲘᲫᲔ**
*რეჟისორი*



მახსოვს, **მოსკოვში ვარ.** სალაროსთან ვდგავარ, ერთი ჩემი მეგობრის სპექტაკლზე უნდა შევიდე. რამდენიმე კაცი დგას სალაროსთან და ამ დროს ისე, რომ სხვებსაც გაეგონათ, ერთი კაცი მეუბნება: **„ბატონო ჩხეიძე, რას ერჩით ამ საწყალ აფხაზებს. თქვენ, ქართველებმა...“** და გააგრძელა. ცოტა გაუგებარი რეაქცია მქონდა. მას შემდეგ სულ ვფიქრობ, ნეტავი სად არის ახლა ის კაცი, რომ ვუთხრა: **„რას ერჩით ამ საწყალ უკრაინელებს, რას ერჩით, კაცო, ეს რა ქენით?!**

„ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ“

**ᲙᲝᲑᲐ ᲐᲠᲐᲑᲣᲚᲘ**
*მწერალი, ეთნოგრაფი, მკვლევარი*



თუ ქართველები გმირებს მივბაძავთ, თუ ვაჟკაცურ სულისკვეთებას გავაღვივებთ, მაშინ იმ ხალხის ადგილი აღარ იქნება, **ვისაც სურს, ვაჟკაცობა და მტერთან ბრძოლა ჩვენი დაპყრობილი ტერიტორიების საზღვარზე შარვლის ჩახდითა და უკანალის ტელევიზიებში ჩვენებით ჩაანაცვლოს.** ჩვენ ქვეყანას ვერ დავუთმობთ **მარიხუანით გაბრუებულ ადამიანებს,** ვერც ახალგაზრდობას და ვერც ძველგაზრდობას, რომელთაც სახე დაკარგეს!

„ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ“

**ᲓᲛᲘᲢᲠᲝ ᲙᲣᲚᲔᲑᲐ**
*უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი*



**საკმარისია ბოდიშები და ნახევრად მიღებული ზომები,** როცა უკრაინელებს ბომბავენ, კლავენ, აწამებენ და აუპატიურებენ — **რუსული ნავთობი სავსეა უკრაინული სისხლით.**

„ᲠᲔᲖᲝᲜᲐᲜᲡᲘ“

**ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲑᲝᲭᲝᲭᲐᲫᲔ**
*თბილისის საკრებულოს წევრი*



**ჰალსტუხიჭამიას დაფრთიანებული,** ოკუპანტის ენაზე მოლაპარაკე **ᲐᲠᲐᲮᲐᲛᲘᲐ** რომ საქართველოს და არამხოლოდ „ქართულ ოცნებას“ ებრძვის, ეს ჩანაწერითაც დასტურდება.

„ᲘᲛᲔᲓᲘᲜᲘᲣᲡᲘ“

**ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲫᲔ**
*ომბუდსმენის მიერ შექმნილი სამედიცინო კონსილიუმის წევრი, ექიმი*



**მე სააკაშვილის საზღვარგარეთ გადაყვანის რეკომენდაციას ვერ გავცემ,** ვაკეთებ ფაქტის კონსტატაციას, რომ ადამიანს აქვს **ცილოვანი შიმშილი.**

„ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲜᲘᲣᲡᲘ“

# ებრაელი ზელენსკი ბანდერას რომ ძეგლს დაუდგამს, ამაზე დიდი ღალატი რა შეიძლება, იყოს?!

## ჯონდი ბაღათურია:



„ეს იგივეა, ქართველმა კაცმა ჯალალედინსა და შაჰ აბასს დაუდგას ძეგლი!“

***მას შემდეგ, რაც ხელისუფლებას პოზიცია ვერ შეაცვლევინეს — ვერც მეორე ფრონტი გაიხსნა და სააკაშვილიც ციხის გალიაში რჩება, მთელი სანაცეთი ულტიმატუმის ენაზე ალაპარაკდა და შანტაჟის აპრობირებულ ხერხს მიმართა. როგორც „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია აცხადებს, ამ პროცესებს ერთი ძალა მართავს და ხელისუფლების რეაქცია ადეკვატური უნდა იყოს:***

— როგორც გენიალურ ნაწარმოებშია ნათქვამი — **ეს ყველაფერი ერთი კაცის მოფიქრებულია!** ამ პროცესს ერთი ავტორი ჰყავს. სააკაშვილიც და ზელენსკიც ზნეობითაც და მორალითაც ერთნაირები არიან, ამიტომაც მღერიან ერთსა და იმავე სიმღერას, ამიტომაც მიდის ორკესტრირებული შეტევა არა საქართველოს მთავრობის, არამედ საქართველოს წინააღმდეგ! იმას, რაც დღეს უკრაინაში ხდება, მტერსაც არ ვუსურვებ. **ზელენსკი, არესტოვიჩი და მათ უკან მდგომი მთელი ბანდა,** მათ შორის, ქართული გვარებით, ამ საშინელების დატრიალებას ცდილობენ ჩვენს ქვეყანაშიც!

**— ერთია, რასაც საკუთარი თვალით ტელეეკრანებიდან ვხედავთ და მეორეა ის პოლიტიკა, რომელიც კადრებს მიღმა უნდა ამოვიკითხოთ. ვინ არის ის მთავარი ძალა და რა უნდა?**

— **მიმდინარეობს სამხედრო შეტაკება ნატოსა და რუსეთს შორის,** ოღონდ ჯერჯერობით უკრაინის ტერიტორიაზე, ანუ დაახლოებით იგივე ხდება, რაც 2014-15-16 წლებში სირიაში მოხდა. **ე.წ. კოლექტიური დასავლეთისთვის უკრაინა არის საშუალება იმისათვის, რომ ომი კონტინენტური ევროპის ტერიტორიაზე გაჩაღდეს.** თუ ეს მოხერხდება, კიდევ ერთხელ მოხდება ევროპის სრული გაკოტრება და გაძარცვა, როგორც ეს პირველი და მეორე მსოფლიო ომების დროს მოხდა. **ევროპული კაპიტალი და ფული მთლიანად შეერთებულ შტატებში გადაინაცვლებს. ქარხნებს, რაც ახლა ევროპაში მუშაობს, ჩათვალეთ, ყუთებში ჩაალაგებენ და გემებით გადაიტანენ შტატებში, რომელიც, თავის მხრივ, თავს დააღწევს ეკონომიკურ კრიზისს. რუსეთიო, რომ გაიძახიან, შეერთებულ შტატებში სერიოზული ეკონომიკური კრიზისია, მათმა შიდა თუ გარე ვალებმა 30 ტრილიონს გადააჭარბა.**

შეერთებულმა შტატებმა მოახერხა, რომ 1950-ანი წლებიდან მთელ მსოფლიოში გადახდის მთავარი საშუალება **დოლარი** ყოფილიყო. დღეს ურთიერთობის ეს წესი იცვლება, ქვეყნები საკუთარი ვალუტით ვაჭრობაზე გადადიან, ანუ ხდება მსოფლიო გლობალური ეკონომიკის დაშლა რეგიონალურ ეკონომიკურ ზონებად. ეს მტკივნეული პროცესია, განსაკუთრებით შტატებისთვის, რომელიც აქამდე ჰეგემონი გახლდათ. **შეერთებული შტატები მიხვდა, რომ ამ პროცესის შეჩერება შეუძლებელია და ახლა ცდილობს, მისი სავალუტო ზონა რაც შეიძლება დიდი იყოს.**

**— თუ ამ ლოგიკას გავყვებით, გამოდის, რუსეთ-უკრაინის ომში მხოლოდ რუსეთის, როგორც ბოროტების იმპერიის პოლიტიკური ზრახვები არ არის?!**

— იმპერიალისტური ზრახვები აქვს რუსეთსაც, ჩინეთსაც, შეერთებულ შტატებსაც, საფრანგეთსაც, ბოლო დროს საკმაოდ გაუღრმავდა ამბიციები ინდოეთსაც, ერთი სიტყვით, ყველა დიდ სახელმწიფოს აქვს იმპერიალისტური ზრახვები, მაგრამ ეს არ არის ომის დაწყების ერთადერთი მიზეზი. კიდევ ერთხელ ვამბობ — **ახლა მიმდინარეობს ბრძოლა გეოპოლიტიკური გავლენების გადანაწილებისთვის.** მსოფლიოში ყველა ომი ფულის გამო დაიწყო. **ერთადერთი ტროას ომია ისტორიაში ცნობილი, რომლის მიზეზიც ქალი იყო, თუმცა, ელენე მხოლოდ საბაბი გახლდათ, სინამდვილეში აქაც ეკონომიკური მხარე იყო მთავარი.**

რუსეთიც, შეერთებული შტატებიც და ჩინეთიც ცდილობენ, რაც შეიძლება დიდი ტერიტორია შემოღობონ თავიანთი სავალუტო ეკონომიკური ზონისათვის. ახლა ბრძოლა ევროპისთვის მიდის, ვის რა ადგილი დარჩება აქედან. ამ სიტუაციაში კიდევ ვინმე რომ გამოვა და იტყვის, საქართველო საომარ მოქმედებებში უნდა ჩაერთოსო, არის ქვეყნის გამოკვეთილი მტერი!

**— ეს მოწოდებები დღესაც გაისმის, მათ შორის, უკრაინის ხელისუფლების ოფიციალური პირების მხრიდან. სულ ახლახან არესტოვიჩმა „ბაჭიებიც“ კი გვიწოდა...**

— **არესტოვიჩი** საეჭვო პიროვნებაა და არასერიოზულ შთაბეჭდილებას ტოვებს. არ ღირს მასზე ძვირფასი დროის დახარჯვა.




### საქართველოში მეორე ფრონტის გახსნა იმ სახელმწიფოებს სჭირდებათ, ვის ინტერესებსაც ემსახურებიან ზელენსკები და სააკაშვილები.

მათი წარმოდგენით მეორე ფრონტის გახსნა რუსეთის გამოფიტვას მოახდენს. ეს ხომ სასაცილოა?! რუსეთს არმიის შემოყვანაც არ დასჭირდება, ჩრდილო კავკასიაში რომელიმე ბაზიდან კლავიატურაზე ერთი თითის დაჭერით დაამთავრებს ყველაფერს!

ზელენსკიმ მიზანმიმართულად გააკეთა, რომ დაპირისპირება, რომელიც რუსეთსა და კოლექტიურ დასავლეთს შორის მწიფდებოდა, მის ტერიტორიაზე გამართულიყო. ეს მისი არჩევანია. ჩვენ არ გვაწყობს ნატოსა და რუსეთს შორის ომის გაჩაღება საქართველოს ტერიტორიაზე და ეს არის დანაშაული?!

**— მიხეილ სააკაშვილმა ახლახან დააკონკრეტა — როგორ შეიძლება მინდოდეს მეორე ფრონტის გახსნა, როცა საქართველოში ჩემი შვილები ცხოვრობენო?!**

— მისი ერთი სიტყვისაც არ მჯერა, რაც სჭირდება, იმას ამბობს, ხუთ წუთში კი შეიძლება, თავდაყირა დააყენოს ყველაფერი. ვერც იმას ვიჯერებ, ცუდად არის და კვდებაო... ვშიმშილობო — რომ ამბობდა, ხბოს ღვიძლს მიირთმევდა, ეს ხომ საკუთარი თვალით ვნახეთ?! სააკაშვილი არის თავის თავზე უზომოდ შეყვარებული და თავისი ქვეყნის მოძულე ადამიანი! ტყუილად არ ზის ციხეში და იმაზე გაცილებით მსუბუქი მუხლები აქვს წაყენებული, ვიდრე ეკუთვნის! პირველ რიგში, მისთვისვე ჯობს, წყნარად იყოს. მისი შეწყალებაც გამორიცხულია! კაცი ამბობს, ყველაფერს სწორად ვაკეთებდიო. სისხლი რომ დაიღვარა და არაერთი ოჯახი განადგურდა მისი პოხონდრიების გამო, ეს, თურმე, არაფერია! იმის ვაჟკაცობაც არ ჰყოფნის, ბოდიში მოიხადოს!

**— ზელენსკის მიმართ რამდენად სამართლიანია საზოგადოების განწყობა?**

— ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მის ფიგურას მინიჭებული, სინამდვილეში ჩვეულებრივი მასხარაა, თავისი ერის მოღალატე! **ეთნიკური ებრაელია და, პირველ რიგში, ებრაელებს უღალატა. ებრაელი კაცი რომ ბანდერას ძეგლს დაუდგამს, ამაზე დიდი ღალატი რა შეიძლება, იყოს?!** მართალია, ბანდერას ძეგლი, პირდაპირი მნიშვნელობით, უკრაინაში ზელენსკის გაპრეზიდენტებამდე დაიდგა, მაგრამ იგი, ფიგურალურად რომ ვთქვათ, თავისი პოლიტიკით ყოველდღე უდგამს ძეგლს ბანდერას. ეს იგივეა, ქართველმა კაცმა ჯალალედინსა და შაჰ აბასს დაუდგას ძეგლი.

პატივს ვცემ ყველა პოლიტიკურ პოზიციას, მათ შორის, განსხვავებულსაც, მაგრამ არსებობს პოლიტიკური პოზა, რაღაცის სანაცვლოდ რომ იქცევი ასე. ეს სამარცხვინოა! ჩვენი ოპოზიციის დიდი ნაწილი არის პოლიტიკურ პოზაში. რადგანაც ხელისუფლება ამბობს, ე.ი. უკვე არასწორია!

**— თავად რას ფიქრობთ, ამ პოლიტიკურ რეალობაში სწორად იქცევა ხელისუფლება?**

— შეიძლება, ხელისუფლება ბევრ საკითხში არის გასაკრიტიკებელი, მაგრამ ამ შემთხვევაში **ირაკლი ღარიბაშვილის** და, ზოგადად, „ქართული ოცნების“ პოზიცია არის გამართლებული, თანაც ერთადერთი! „ასავალ-დასავალიდან“ მივმართავ ყველას — დღეს ხელისუფლებას საღად მოაზროვნე პოლიტიკოსებისა და საზოგადოების აქტიური მხარდაჭერა სჭირდება. პირადად მე ამ მხარდაჭერას ღიად ვაცხადებ.

თუ ხელისუფლება გატყდა და აღებულ კურსს გადაუხვია, საქართველოშიც იგივე მოხდება, რაც ახლა უკრაინაში ხდება!

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***



## „ჩვენ არ გვაწყობს ნატოსა და რუსეთს შორის ომის გაჩაღება საქართველოს ტერიტორიაზე და ეს არის დანაშაული?!“

## კვირგვინოსნები

**მიხეილ ყაველაშვილი**
*პარლამენტარი*



დაასვენეთ ეს ადამიანი — **ბიძინა ივანიშვილი** — წასულია პოლიტიკიდან და აგრძელებს თავის ქველმოქმედებას. **შეეშვით და გვესაუბრეთ ჩვენ — „ქართულ ოცნებას“.**

„აიპრესი“

**ბიძინა გიორგობიანი**
*თბილისის მერიის გამწვანების სამსახურის ყოფილი უფროსი*



ნავთობით მდიდარი **აზერბაიჯანის** რომ კარგად ესმის **ზელენსკის** და რუსეთთან 3-ჯერ ომში დამარცხებული **საქართველოსი** — არა, ცენზურა როგორ დავიცვათ?

„აიპრესი“

**გედევან ფოფხაძე**
*ყოფილი პარლამენტარი*



**როგორც ვიშის მთავრობა გასამართლდა** და ციხეში წავიდა პეტენი, **ისე წავა ივანიშვილი და მისი გარემოცვა ციხეში** — ამ ხალხმა ჩვენს ისტორიას ხაზი გადაუსვა.

„ინტერპრესნიუსი“

**ალეკო ელისაშვილი**
*საპარლამენტო პოლიტიკური ჯგუფ „მოქალაქეების“ თავმჯდომარე*



ომის შემთხვევაში **მარტო ჯარის ანაბარად არ უნდა ვიყოთ,** ნებისმიერ მტერს უნდა დახვდეს საქართველოში **ეროვნული წინააღმდეგობა.**

„პირველი არხი“

**პეტრე მამრაძე**
*ექსპერტი*



ხელისუფლება შეიძლება არ მოგწონდეს, მაგრამ **დღეს ხალხში არ არის ის განწყობა, რომ ქუჩაში გამოვიდეს** და თქვას, უნდა დამთავრდეს ეს „ოცნებაო“.

„რეზონანსი“

# ფიქრები ჯვრის მონასტრის გადმოსახედიდან

## ათასის წლის შემდეგ

*წარმოშობით შოტლანდიელმა, მაგრამ სულით ხორცამდე რუსმა პოეტმა მიხეილ ლერმონტოვმა მტკვრისა და არაგვის შესართავთან ზეაღმართული ჯვრის მონასტრიდან სამოთხეს რომ გადმოხედა, სხვა ვერაფერი გაიხსენა, თუ არა სოფელ წინანდალზე ჩრდილოკავკასიელი ველურების დაცემა და პოემაში „დემონი“ დაწერა:*



„Бежали робкие грузины!“

ხოლო პოემაში „მწირი“ **ლერმონტოვმა** იმავე ჯვრის მონასტრიდან დანახული ჩვენი წარსული ისტორია მევახშე მიკირტუმასავით დაახურდავა და, ფაქტობრივად, დაგვცინა, როცა ნართაულად გვითხრა:

„Такой-то царь, в такой-то год, вручал России свой народ!“

**ეს ფრაზა სახელოვანი ერეკ-**

### ლაშა ნადარეიშვილი

## ერო ჩემო, მცხეთის კართან გამოდი!!!

მაგ სუფრიდან
არაფერი აიღო!
მაგ სუფრასთან
წუხელ გასცეს უფალი!
ქრისტეს მცნება
ვინაც ყურად არ იღო,
არ ასცდება
იუდას ნასუფრალი!

ზოგი მამლის
ყივილამდე გიგანებს!
ზოგი ისევ
ამჯობინებს ავაზაკს!
მე კი მხიბლავს
შენი ზვრების სიგანე,
სიცოცხლე რომ
ასე გამილამაზა!

გაიცინე,
როცა გიმზერს ჯალათი!
გაიცინე,
როცა უმზერ არქიფოს!
არაფერი
დაიჯერო ამათი!
ოცდაათი ვერცხლიც
ამათ ათქვლიფონ!

როგორ ახლოს
მოფრენილან სვავები!
ეს კანკელიც
შინაურმა დალეწა!
რატომ იტანს
ფილაქანი სამების
ღვთის ტაძარში
შემოპარულ გარეწარს?

ბუღა-თურქიც
უნდა მკერდით გათელო,
თუ ცრემლები
საქართველოს გამო გდის!
ეს მსტოვრებიც
მოინელე, ქართველო!
ერო ჩემო,
მცხეთის კართან გამოდი!!!

**ლე მეფის გარდაცვალებიდან ორმოცი წლის შემდეგ მის საფლავზე ნასროლი კენჭი იყო და ამას ამბობდა დიდი რუსეთის იმპერიის დღეგრძელობისთვის დამაშვრალი, თუმცა, ბუნებით მაინც მეამბოხე ლერმონტოვი, რომლისთვისაც საქართველო ყოველთვის რომანოვების იმპერიის განუყოფელი ნაწილი გახლდათ!** ამას წერდა ევროპის ჟანდარმად ქცეული ძლევამოსილი იმპერიის შვილი, რომელსაც ისევე, როგორც **პუშკინს**, კრინტი არ დასცდენია იმ სიველურეზე, რასაც რუსი სალდაფონები კავკასიის ავტოქტონი და, რაც მთავარია, მაღალი კულტურის მქონე ერების გასანადგურებლად იჩენდნენ. **სხვათაშორის,**

**დეკაბრისტები რუსეთის საუკეთესო შვილები იყვნენ, მაგრამ კავკასიელების მიმართ უბოროტესი გეგმები ჰქონდათ და ციმბირში გვიპირებდნენ გადასახლებას.**

უბოროტესი კაცია პუტინის პირად პატიმრად შერაცხილი **ალექსანდრე ნავალნიც,** რომელმაც პირველად **„განავალნი“** მაშინ მიირთვა, როცა გამოაცხადა — **აფხაზეთი და ცხინვალი რუსეთიაო!** ამდენად, ნავალნი პუტინის ციხეში იჯდება თუ ჰაიდ-პარკში, ამას საქართველოსთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს!

ლერმონტოვს ვერც შევედრებით და არც თავს გავუყადრებთ, მაგრამ **დიდი რუსი პოეტისგან განსხვავებით, ჩვენ მცხეთის ჯვრიდან იმ სახელოვან წარსულს ვხედავთ, რომლის ქრონიკებიც ათასი წლის წინანდელ საქართველოსა და კიევის რუსეთში თითქმის ერთდროულად დაიწერა.**

**ათასის წლის წინათ, 1022 წელს,** მართალია, საქართველოს ჯერ კიდევ არ დაესრულებინა **სვეტიცხოვლის წმინდა ტაძრის** მშენებლობა, მაგრამ **დავითისა და თამარის „ოქროს ხანის“** ცხელი სუნთქვა უკვე ყურის ძირთან ისმოდა. **ათასის წლის წინათ** ხარახოებში ჩაფლულ სვეტიცხოველსა და უკვე **ოთხასწლოვან ჯვარს** ცამეტი ასურელი მამიდან ერთ-ერთის — **იოანე ზედაზნელის** მიერ მეექვსე საუკუნეში დაარსებული ზედაზნის წმინდა ლავრიდან ნეტარი მამების ლოცვა და გალობა ეფინებოდა!



**ათასის წლის წინათ ხარახოებში ჩაფლულ სვეტიცხოველსა და უკვე ოთხასწლოვან ჯვარს ცამეტი ასურელი მამიდან ერთ-ერთის – იოანე ზედაზნელის მიერ მეექვსე საუკუნეში დაარსებული ზედაზნის წმინდა ლავრიდან ნეტარი მამების ლოცვა და გალობა ეფინებოდა!**

**ათასის წლის წინათ** ქვეყანას ჰყოფნიდა იმის გაბედულობა და ძალგულოვნობა, ბასიანს გადაღმა ქვეყნებისა და, უპირველესად, ტაოს დასაბრუნებლად **ბიზანტიის იმპერიას სოფელ შირიმნთან შერკინებოდა და საარაკო ომი გაემართა.** მართალია, ამ ომში დავმარცხდით და 1022 წელს ჭრილობებს ვიშუშებდით, მაგრამ მომავალი დიდი საქართველოს ოქროთი მოვარაყებული კონტურები უკვე ხელის ერთ გაწვდენაზე ბრწყინავდა.

**ათასის წლის წინათ, 1022 წელს,** დიდი და სახელოვანი **იაროსლავ ბრძენის** გვირგვინქვეშ შენდებოდა და ყვაოდა **კიევის რუსეთი,** ხოლო კიევ-პეჩორის სამონასტრო კომ-

პლექსის დაარსებამდე, რომელსაც 1051 წელს სწორედ იაროსლავ ბრძენმა ჩაუყარა საფუძველი, ჯერ კიდევ 29 წელი იყო დარჩენილი, მაგრამ ახლად გაქრისტიანებულ რუსეთს უკვე მოესწრო მიტროპოლიტად რუსი მღვდლის — **ილარიონის** დადგენა, რომელიც კონსტანტინოპოლის დიქტატისგან გათავისუფლებას და რუსეთის ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვებას ცდილობდა.

1022 წელს **კიევის რუსეთს** უკვე განადგურებული ჰყავდა ისეთი ველური და დამანგრეველი ძალა, როგორიც **ხაზართა ხაკანატი** გახლდათ. **იაროსლავ ბრძენმა კიევის რუსეთის საერთაშორისო ავტორიტეტი მაღლა ასწია და მთელ მაშინდელ ევროპას დაუნათესავდა.** მისმა ვაჟმა **ვსევოლოდმა** ცოლად შეირთო **ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე მეცხრე მონომახის** ქალიშვილი. სწორედ ამ ქორწინებიდან დაიბადა **ვლადიმერ მონომახი.** იაროსლავის ერთი ქალიშვილი — **ელიზავეტა** ნორვეგიის მეფე **ჰარალდ მკაცრს** გააყოლეს ცოლად; **ანასტასია** უნგრეთის მეფე **ანდრაშ პირველზე** დაქორწინდა, ხოლო **ანა** საფრანგეთის მეფე **ჰენრი პირველმა** შეირთო.

სამკაპი — ჯადოსნური ფრინველის სქემატური გამოსახულება, რომელიც დღევანდელი უკრაინის სახელმწიფო გერბზეა აღბეჭდილი, სწორედ **იაროსლავ ბრძენის ბეჭედი** გახლდათ.

## მიკვირს და ვერაფრით ამიხსნია, რატომ თქვა რუსეთის იმპერიამ უარი თავისი სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთ უძველეს და უმთავრეს ატრიბუტზე, რატომ „დაუთმო“ იაროსლავ ბრძენის „ზღაპრული ფრინველი“ - სამკაპი უკრაინას და რატომ იწონებს კრემლი თავს ნაქურდალი ორთავიანი არწივით, რომელიც ოდითგანვე ბიზანტიის იმპერიის გერბი იყო და მოსკოვის სამთავრომ მეთხუთმეტე საუკუნეში ივანე მესამის დროს მიითვისა?

**ათასის წლის წინათ, 1022 წელს,** კიევის რუსეთში შენდებოდა **წმინდა სოფიას ტაძარი და „ოქროს ჭიშკარი“,** ეკლესიები და ხიდები, ბრწყინვალე სასახლეები და ციხე-კოშკები. როგორც მემატიანე გვეუბნება, 1240 წელს, როცა **ბათო-ხანის** ურდოებმა კიევს შეუტიეს და აიღეს, ქალაქში არსებული 400-დე ეკლესია პირწმინდად გადაბუგეს და გაანადგურეს. **თუმცა, ვიდრე მონღოლები გამოჩნდებოდნენ, მანამდე სამოცდაათი წლით ადრე, 1169 წელს, დიდი და სახელოვანი თამარ მეფის მაზლმა მსტისლავ ანდრეის ძე ბოგოლიუბსკიმ მთელი დუჟინა შეკრიბა და კიევი აიღო.** სამი დღე ძარცვავდნენ რუსები კიევის რუსეთის დედაქალაქს და როცა ამ მოვლენას აღწერენ, ყველა სერიოზული რუსი ისტორიკოსი და, მათ შორის, **კლიუჩევსკიც,** გაოგნებას ვერ მალავენ — ალბათ, რუსებს დაავიწყდათ, რომ კიევშიც რუსები ცხოვრობდნენო!

**ამ ამბიდან 853 წლის შემდეგ, როცა მთელი უკრაინა და კიევის შემოგარენი ცეცხლის ალშია გახვეული, რუსების მიერ კიევის აკლებისა და გადაბუგვის ისტორია ზუსტად ეხმიანება რუსეთ-უკრაინას შორის დანთხეულ სისხლს, რომელიც ლამის მესამე მსოფლიო ომის მაცნე გახდა.** სხვათაშორის, ცნობილი მეცნიერი **ლევ გუმილიოვი** რუსების მიერ 1169 წელს კიევის აოხრების ფაქტს რომ აანალიზებდა, მიიჩნევდა, რომ კიევსა და დანარჩენ რუსეთს შორის თვითიდენტიფიცირების პროცესი უკვე ძალიან შორს იყო წასული და რუსები ამ თავდასხმის დროს კიეველებს უყურებდნენ არა როგორც ძმებს — რუსებს, არამედ როგორც გერმანელებს, რომლებსაც, როგორც წესი, ისტორიულად ებრძოდნენ.

**1022 წელს,** იაროსლავ ბრძენის ბრძნული პოლიტიკით, კიევის რუსეთი შენდებოდა, მაგრამ საქართველო უკვე აშენებული იყო... ოშკი თუ ოპიზა, ხანძთა თუ პარხალი, შატბერდი თუ იშხანი, მოქვი თუ ბანა, ბედია თუ დოლისყანა, სვეტიცხოველი თუ ოთხთა ეკლესია, ნიკორწმინდა თუ ბაგრატი, ალავერდი თუ უბისა, რითიც თავს სამართლიანად ვიწონებთ, დამშვენებული იყო დიდოსტატთა მარჯვენით და ცის შარავანდედით.

**ათასის წლის წინათ, 1022 წელს,** ჯერ კიდევ არსად ჩანდა **მოსკოვი,** რომლის პირველი ხსენებაც **იური დოლგორუკის დროს, კერძოდ, 1147 წლიდან** ისმის. სხვათაშორის, **იური დოლგორუკმა,** რომელიც **ვლადიმერ მონომახის** შვილი იყო, მესამე მცდელობის ჟამს, 1155 წელს, როგორც იქნა დაიკავა კიევი და კიევის დიდი მთავარი გახდა, **ანუ კაცი, რომელმაც მოსკოვი დააარსა, მოსკოვში არ გაჩერდა და ესწრაფოდა კიევს — „ყველა რუსული ქალაქის დედას“, სადაც ტახტი დაიდგა კიდეც!**

## 1022 წელს არც სანქტ-პეტერბურგი ჩანდა მზისქვეშეთში და არც მისი დამაარსებელი პეტრე დიდი... სამაგიეროდ, ჩანდა დიდი ქართული კულტურა ფაზისის აკადემიით დაწყებული, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებითა და ადიშის სახარებით დამთავრებული.

აღარაფერს ვამბობთ **ფსევდოდიონისე არეოპაგელის** შესახებ, რომლის იდენტიფიცირებაც ქართველმა **შალვა ნუცუბიძემ** და გერმანელმა **ჰონიგმანმა** ქართველ უფლისწულ **პეტრე იბერთან** მოახდინეს და დაამტკიცეს, რომ **უფლისწული მურვანოსი, დიონისე არეოპაგელი და პეტრე იბერი** ერთი და იგივე პიროვნებაა!

ჯვრის მონასტრის გადმოსახედიდან ქართველთა სიმხდალესა და გამყიდველობას კი არა, იმ უდიდეს სიქველეს ვხედავ, რომელიც **1798 წლის 21 თებერვალს, სახელოვანი ერეკლე მეფის დაკრძალვის დღეს,** სწორედ მცხეთის ჯვრის ძირას, მტკვრისა და არაგვის შესართავთან გათამაშდა და ამ გმირობის ავტორი იყო ისევ და ისევ უბრალო ქართველობა, რომელზეც ლერმონტოვმა დაწერა — „Бежали робкие грузины!“-ო.

მოგეხსენებათ, **იმ ყინულიან და ჯანღიან დღეს, 1798 წლის 21 თებერვალს, სამეფო ოჯახის წევრებმა სვეტიცხოველში შესვლაზე უარი თქვეს, რადგან ტაძარი შავი ჭირით დაავადებულებით იყო სავსე და ინფექციის გადადების საფრთხე რეალური გახლდათ.** პროცესია, რომელიც თელავიდან მცხეთამდე სამი დღე-ღამის განმავლობაში მოდიოდა, რათა სახელოვანი ქართველი ხელმწიფე საქართველოს უპირველეს ტაძარში — სვეტიცხოველში დაეკრძალათ, თბილისში არ შემოვიდა, მახათას მთას გვერდი აუქცია და სწორედ ჯვრის მონასტრიდან ხელის ერთ გაწვდენაზე, სვეტიცხოვლის მოპირდაპირე მხარეს შეჩერდა... **არაგვთან მცხეთელები მიეგებნენ უსაყვარლესი მეფის ცხედარს და შეაბრძანეს სვეტიცხოველში.** როგორც საქვეყნოდ ცნობილია, სამეფო კარის მოძღვარმა **მამა ქრისტეფორე ბადრიძე-კეჟერაშვილმა** სიცოცხლის რისკის ფასად წესი აუგო გმირთაგმირ მეფეს და ყველა ქრისტიანული წესის დაცვით მისი ცხედარი სვეტიცხოვლის სავანეს მიაბარა.

**ლერმონტოვისა და მისი ნათესავების გასაგონად, რომლებიც დღეს საქართველოსა და ქართველებს კიევიდან ენას უყოფენ, მცხეთის ჯვრიდან ერთს ვიტყვი:** იმ პროცესიის რიგით წევრობას არ ვისურვებდი, რომელმაც ერეკლე მეფის ცხედარი ავჭალასთან მიატოვა და შავი ჭირის შიშით უკან გაბრუნდა, მაგრამ მთელი ჩემი ცხოვრება ვიამაყებდი, თუ იმ რიგითი ქართველების მარაქაში მომიწევდა გარევა, რომელიც მარადისობაში გარდასულ ხელმწიფეს არაგვის პირას დაუხვდა და პატარა კახის კუბო სვეტიცხოვლის წმინდა ტაძარში შეაბრძანა!

**სამწუხაროდ, მიხეილ ლერმონტოვმა მტკვრისა და არაგვის შესართავთან ასეთი ქართველები ვერ შენიშნა, თუმცა, ამაში უჩვეულო არაფერია — მისმა სამშობლომ სტალინი და ბაგრატიონი ვერ შენიშნა, ერთხანს მათი საფლავები ნაგვით აავსო და რა გასაკვირია, მტკვრისა და არაგვის შესართავთან მიხეილ ლერმონტოვს მღვდელ ქრისტეფორე ბადრიძისა და იმ ვაჟკაცების გმირობა ვერ დაენახა, რომლებმაც საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი მეფე უკანასკნელ გზაზე გააცილეს?**

მცხეთის ჯვრიდან საქართველოს სახელოვანი ისტორიის გარდა, უსახელო და გარყვნილი კაცების ისტორიაც კარგად ჩანს! ასე, მაგალითად, გულს მისივებს, სიცოცხლეს მიმწარებს და შავბნელ ფიქრებს აღმიძრავს **სააკაშვილისა და მისი ცრუქაქუნა გენერლების მიერ მცხეთის კართან და თბილისის შესასვლელთან გარდიგარდმო მთებზე მოწყობილი სამხედრო ბლინდაჟები, რომლებსაც უფშვიტინე და მოღალატე სააკაშვილის განცხადების თანახმად, თურმე, მინიმუმ ექვსი თვის განმავლობაში შეეძლო თბილისის დაცვა!**

ღვთის შეწევნით, მცხეთის ჯვრისა და სვეტიცხოვლის მადლით, საქართველო კიდევ კარგად გადარჩა და სულელი სააკაშვილი ვირის აბანოშია გამწესებული!

**საინტერესოა, დღეს რომ ცოცხალი იყოს, რას დაწერდა დიდი მიხეილ ლერმონტოვი მიხეილ სააკაშვილზე, რომელიც მთელი საქართველოს თვალწინ ჩაიქცა, გაიქცა და წაიქცა?!**

***დიტო ჩუბინიძე***



კიევ-პეჩორის ლავრა

**ათასის წლის წინათ, 1022 წელს, დიდი და სახელოვანი იაროსლავ ბრძენის გვირგვინქვეშ შენდებოდა და ყვაოდა კიევის რუსეთი, ხოლო კიევ-პეჩორის სამონასტრო კომპლექსის დაარსებამდე, რომელსაც 1051 წელს სწორედ იაროსლავ ბრძენმა ჩაუყარა საფუძველი, ჯერ კიდევ 29 წელი იყო დარჩენილი!**





**საინტერესოა, დღეს რომ ცოცხალი იყოს, რას დაწერდა დიდი მიხეილ ლერმონტოვი მიხეილ სააკაშვილზე, რომელიც მთელი საქართველოს თვალწინ ჩაიქცა, გაიქცა და წაიქცა?!**

# «ბორჯომის» ქარხნები გაჩერდა!

***„ასავალ-დასავალმა“ ერთი თვის წინათ დაარისხა განგაშის ზარები ჩვენი ეროვნული სიმდიდრის — „ბორჯომის“ სასწრაფო გადარჩენის თაობაზე. მაშინ ამაზე არავინ ლაპარაკობდა, დღეს კი, როდესაც „ბორჯომის“ წარმოება უკვე შეწყდა, მთელი საქართველო საგონებელშია ჩავარდნილი!***










კომპანია **„ბორჯომი საქართველო“** იძულებული გახდა, 29 აპრილიდან დროებით შეეჩერებინა „ბორჯომის“ ჩამომსხმელ ორივე ქარხანაში წარმოების პროცესი! მიზეზი ის არის, რომ „ბორჯომის“ მფლობელი რუსი ოლიგარქი, მილიარდერი **მიხეილ ფრიდმანი,** რომელიც ლონდონის სასახლიდან გააპანღურეს და ანგარიშები გაუყინეს, სანქცირებულია და მის კომპანიებს სავალუტო ოპერაციები აკრძალული აქვს! **ჰოდა, ეს დღე რომ არ დამდგარიყო, ამიტომაც გამოვიტანეთ საქვეყნო სამსჯავროზე „ბორჯომის“ გადარჩენის საკითხი ამ ერთი თვის წინათ!**

რუსეთისთვის დაწესებული დასავლური სანქციები იმდენად მასშტაბურია, რომ, სხვადასხვა მონაცემით, უკვე დაახლოებით, ტრილიონი დოლარით შემცირა სახელმწიფოს და ოლიგარქების ქონება! **ამ ვითარებაში კი გაჩნდა შანსი, ჩვენი სიამაყე — „ბორჯომის“ მინერალური წყლები დავიბრუნოთ!**

შეიძლება, ბევრმა აქამდე არც იცოდა, რომ „ბორჯომი“ საქართველოს აღარ ეკუთვნის! **ყაჩაღ-ბანკირ ხაზარაძის** მიერ შევარდნაძის მმართველობისას ხელში ჩაგდებული ეს ეროვნული სიმდიდრე რამდენჯერმე გადაიყიდა და ბოლოს რუსი მილიარდერის **მიხეილ ფრიდმანის** ხელში აღმოჩნდა!

**უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ დასავლურ მედიაში პირველად „ბორჯომის“ თემამ სწორედ ამ ერთი თვის წინათ გაიჟღერა, როდესაც მსოფლიოში ცნობილი ეს მინერალური წყალი ესტონეთსა და ლიტვაში სუპერმარკეტების სავაჭრო ქსელიდან ამოიღეს!** მიზეზი ბანალური იყო: **ბალტიისპირელებმა დასავლური სანქციების კვალდაკვალ, საკუთარი დახლებიდან რუსული პროდუქცია გააქრეს! „ბორჯომი“ კი სწორედ „რუსულ პროდუქციად“ განიხილება, რადგან მისი მეპატრონე რუსი მილიარდერი მიხეილ ფრიდმანია!**

როგორც ცნობილია, რუსეთისთვის დაწესებული სანქციების პარალელურად, პერსონალური სანქციები კრემლთან დაახლოებულ რუს მილიარდერებსაც დაუწესეს! მათ ჩამოართვეს მრავალმილიონიანი ვილები და იახტები, ასევე გაუყინეს საბანკო ანგარიშები! შესაბამისად, რუსი მილიარდერების კუთვნილი კომპანიების აქციებმა დასავლეთის საფონდო ბირჟებზე კატასტროფული ვარდნა განიცადეს!

წარმოდგენა რომ შეგვექმნას, რა უმძიმეს ფინანსურ მდგომარეობაშიც აღმოჩნდა ეს **მიხეილ ფრიდმანი,** თვითონ მისი სიტყვებიდანაც ნათლად ჩანს! საერთაშორისო მედიაგიგანტ „ბლუმბერგთან“ ინტერვიუში **მიხეილ ფრიდმანმა** ღიად დაიჩივლა, რომ დამლაგებლისთვისაც კი ვეღარ ახერხებს ხელფასის გადახდას! **არადა, რუსეთის უკრაინაში შეჭრამდე ფრიდმანის ქონება 14 მილიარდ დოლარს შეადგენდა! სანქციების შედეგად მისი ქონების ღირებულება „ქაღალდზე“ 10 მილიარდია! ანუ მან რამდენიმე დღეში 4 მილიარდი დაკარგა, მაგრამ დარჩენილი 10 მილიარდიც თითქოს აქვს, მაგრამ ხელი არ მიუწვდება!**

„ალბათ, აჯობებს, თავად დავალაგო სახლი. კარგია, რომ როდესაც სტუდენტი ვიყავი, საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობდი და ერთ ოთახს ოთხ სტუდენტთან ვიყოფდი. ეს გამოცდილება 35 წლის შემდეგ მოულოდნელად გამომადგა“, — **ამბობს ფრიდმანი და სასოწარკვეთილი ამატებს: „არ ვიცი, როგორ უნდა ვიცხოვრო ამის შემდეგ, მართლა არ ვიცი“!**

არადა, **მიხეილ ფრიდმანმა** ის კი ზუსტად იცის, რომ სასწრაფოდ უნდა გაყიდოს დარჩენილი ქონება! და, რა თქმა უნდა, **„ბორჯომიც“,** რადგან ამ მინერალური წყლით ვაჭრობას და ფულის მოგებას უკვე ვეღარ შეძლებს! რუსმა მილიარდერმა ამის შესახებ პირდაპირ განაცხადა კიდეც: **„ბორჯომის“ საკონტროლო პაკეტს ვემშვიდობებიო!**




**ჰოდა, ამიტომაც მივმართეთ ბატონ ბიძინას, საქართველოს მთავრობას, საპარტნიორო ფონდს თუ ყველას, ვისაც ეს ხელეწიფება, დაუბრუნეთ ჩვენი ეროვნული სიამაყე საქართველოს!**

ნამდვილად ვერ გეტყვით, ეს **„თანამონაწილეობის ფონდით“** მოხდება, პირდაპირი გამოსყიდვით თუ **„აწარმოე საქართველოში“** ცნობილი პროგრამით, მაგრამ ის კი ცხადზე უცხადესია, რომ **„ბორჯომი“ საქართველოს უნდა ეკუთვნოდეს და ვერავითარმა ხაზარ-ბანკირმა და ჩარჩ-ვაჭარმა ვეღარ უნდა შეძლოს მსოფლიოში ცნობილი ქართული ბრენდის მოღალატეობრივად განიავება და მისით ჯიბის გასქელება!**

მე პირადად ხაზარაძისაგან კარგა ხანია, აღარაფერი მიკვირს, მაგრამ მაინც გამაოგნა მისმა ცინიზმმა და ნიანგის ცრემლების ნთხევით გაკეთებულმა განცხადებამ — **გადავარჩინოთ „ბორჯომიო“! „ბორჯომმა“ წარმოება შეაჩერა. საფრთხის წინაშეა „ბორჯომის“ ბრენდი, მისი მომავალი, ექსპორტი, ათასობით სამუშაო ადგილი, შემოსავლები ბიუჯეტში“.** — აი, ამას ამბობს არსება, რომელმაც საქართველოს და ქართველ ხალხს „ბორჯომი“ აწაპნა!

***გიორგი გიგაური***

# ვიმეორებთ:

# სასწრაფოდ დაუბრუნეთ ხაზარაძის მიერ გაყიდული „ბორჯომი“ საქართველოს!

## კვირგვინოსნები

**ნიკა მელია**
*ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე*



სანქციების ჭურვები **ბიძინა ივანიშვილთან** სულ უფრო ახლოს ეცემა.

„ახალი თაობა“

**გიორგი ცუცქირიძე**
*ეკონომისტი*



**ანაკლიის პორტის ჩავარდნა** არა ხელისუფლების, არამედ კონსორციუმის, იგივე **ხაზარაძის** პრობლემა იყო.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**დევიდ სისილინი**
*კონგრესმენი*



**დიდი მადლობა საქართველოს, რომ იდგა აშშ-ის გვერდით** მაშინ, როცა კენჭი უყარეს **გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს წევრობიდან რუსეთის გაძევებას.**

„რეზონანსი“

**მევლუთ ჩავუშოღლუ**
*თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი*



ნატოს შიგნით არიან ქვეყნები, რომლებსაც **უკრაინაში ომის გაგრძელება სურთ,** რადგან ომის გაგრძელებაში რუსეთის დასუსტებას ხედავენ და **დიდად არ აწუხებთ უკრაინაში სიტუაცია.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**იგორ კვესელავა**
*პოლიტოლოგი*



**ოპოზიცია იმდენად სუსტია,** ძალაუფლება ქუჩაში რომც ეგდოს, მის აღებას **ვერ შეძლებენ.**

„რეზონანსი“

**ზაალ ანჯაფარიძე**
*ანალიტიკოსი*



ალბათ, ბევრმა შეამჩნია, რომ **მელია ნაცმოძრაობაში ისნიკა მელია აღარაა,** რაც ერთი ან ერთნახევარი წლის წინათ იყო. **დღეს იგი ფორმალური თავმჯდომარეა.**

„რეზონანსი“

# საააკაშვილის ოჯახობა სააკაშვილის პარტიას აღარ ენდობა!

***სააკაშვილის ავადმყოფობის სპექტაკლი ფინალისკენ მიექანება და მეტი დრამატულობისთვის ამ ბალაგანში წინა პლანზე მისი მთელი ოჯახობა წამოსწიეს: დედა, მამა, ძმები... და, რაც მთავარია, ლიზა იასკო უკრაინული რეზერვიდან.***



მოკლედ, სააკაშვილის ოჯახობამ რუსთავის საპყრობილესთან საგანგებო ბრიფინგი გამართა და **დედა-სპიკერის გიული ალასანიას პირით** საქართველოს მთავრობის მიმართ ულტიმატუმი გააჟღერა: **თუ ორშაბათამდე, 2 მაისამდე, საქართველოს ხელისუფლება არ გადაწყვეტს პატიმარ მიხეილ სააკაშვილის ციხიდან გამოშვების საკითხს** (ამნისტიით ან უცხოეთში სამკურნალოდ გაშვების გზით), **მაშინ პატიმრის ოჯახი მასობრივი საპროტესტო გამოსვლებით იმუქრება!**

პარალელურად, ნაცთა ფიურერის ძმა **დავით სააკაშვილი** სრულიად საქართველოში პრეზიდენტყოფილის პატიმრობიდან გათავისუფლების მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვებას იწყებს!

საგულისხმო ფაქტია, რომ გიული ალასანიას ულტიმატუმამდე ერთი კვირის განმავლობაში, ამერიკულმა სოციოლოგიურმა სამსახურებმა **ენდიაიმ** და **აირაიმ** ერთმანეთის მიყოლებით გამოაქვეყნეს კვლევის შედეგები: **ენდიაის კვლევით, ნაცმოს რეიტინგი 7 პროცენტია, აირაის კვლევით კი — 16!** ანუ ნაცბანდისადმი აშკარა სიმპათიით განწყობილი ამ კვლევითი ორგანიზაციების მონაცემებითაც კი, ნაცმოძრაობას, როგორც იტყვიან, დედა აღარა ჰყავს!

**ამ ორი ამერიკული ორგანიზაციის კვლევა რომ გავასაშუალოოთ, საქართველოში ნაცხროვასა და მის ფიურერს მხარს უჭერს ათი ზრდასრული საარჩევნო ხმის მქონე საქართველოს მოქალაქიდან მხოლოდ ერთი!** და როგორც სააკაშვილის „სასიკვდილო შიმშილობების“ დროს ფიურერის გასათავისუფლებლად ქუჩაში საპროტესტოდ გამოსულთა რაოდენობიდან გამოჩნდა, ამ ათიდან ერთი კი არა, ნახევარი კაციც არ გამოქომაგებია **„მიხეილ თავდადებულს“!**

ერთხელ იყო, ათი ათასამდე კაცი რომ გამოიყვანეს რუსთაველის გამზირზე და მაშინაც **ნახევარზე მეტი რაიონებიდან ჩამოზიდეს 20-ლარიან ტურისტებად!** ჰოდა, რა მასობრივ პროტესტებზე ლაპარაკობს გიული და მისი რაზმი?!

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თავად ის ფაქტი, რომ სააკაშვილის ოჯახობის მიერ რუსთავის საპყრობილის წინ გამართულ საგანგებო ბრიფინგზე მათ გვერდით არცერთი ნაცი **მინი-ფიურერი** არ იდგა, ერთ რამეს ნიშნავს: **სააკაშვილის ოჯახობა სააკაშვილის პარტიას აღარ ენდობა!**

მეტიც, ამ საგანგებო ბრიფინგზე ნაცების ბოსების არყოფნა და ასე უნაცოდ გაკეთებული გიულის ულტიმატუმი პირდაპირ ამას მეტყველებს: **სააკაშვილის ოჯახობამ სააკაშვილის პარტია „ჩარეცხა!“ და ვერავითარ მასობრივ საპროტესტო გამოსვლებს ვერ მოაწყობენ!**

ტუსაღმა სააკაშვილმა რაც არ უნდა მოიმკვდარუნოს თავი, ესენი ხალხს ქუჩაში ვერ გამოიყვანენ! მაგრამ გამოსავალი მაინც არსებობს! აი, ბატონო, უფასოდ და უანგაროდ ვთავაზობ სრულიად უიმედოდ ტუსაღფიურერიან სანაცეთს: **სწორედ ამ სეზონზე კომპანია Went Pants Denim-მა გამოუშვა ჯინსების ახალი კოლექცია სველი ეფექტით ყველაზე გაბედული მომხმარებლებისთვის!**

მწარმოებელთა განმარტებით, ეს შარვალი იძლევა განცდას, რომ ვისაც ეს აცვია, დიდი გაბედულება აქვს, რადგან მეტად უხერხულ მდგომარეობაშიც კი არ იტეხს გულს!

**„შეხედე სველს, იგრძენი მშრალი“** — სწორედ ასეთი დევიზით მოიხსენიებენ შემქმნელები თავიანთ დიზაინს და იმასაც აღნიშნავენ, რომ ჯინსი ძალიან ინდივიდუალურია, რადგან ყველა ვერ გაბედავს მის შეძენას!

**ფასი 50 დოლარიდან 300 დოლარამდე მერყეობს და, მე თუ მკითხავთ, სავსებით ნორმალურია: რიგით ნაცებს 50-დოლარიანი ჯინსი დახატავთ, ბოსებს კი 300-დოლარიანი პირდაპირ დააკვდებათ!**

სააკაშვილის პარტიას აშკარად განახლება, სიახლე სჭირდება და ნაცმოძრაობის რებრენდინგის უკეთეს ვარიანტზე ოცნებაც კი წარმოუდგენელია!

***გიორგი გიგაური***

## გიულის ულტიმატუმი „მიხეილ თავდადებულის“ გადასარჩენად







**დიზაინერებმა ნაცებისთვის საეცპარტიული ბრენდი „ჩასველებული შარვალი“ შექმნეს!**

## კვირგვინოსნები

**ვახტანგ მაისაია**
*ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში*



**ამერიკასა და რუსეთს საკმარისზე მეტი შეიარაღება გააჩნიათ და ორივეს შეუძლია, ერთმანეთი გაანადგუროს.** ნატოსა და რუსეთს შორის ჰიბრიდული ომი მიმდინარეობს. **პუტინის რეჟიმი არავის ეპუება** და დასავლეთზე ალერგია აქვს.

„ახალი თაობა“

**გიორგი გობრონიძე**
*საერთაშორისო საკითხების ექსპერტი*



**ჩვენი შეიარაღებული ძალები ნატოს ცალკეული წევრების ჯარებს ბევრად აღემატება.** ავღანეთში ოპერაციების ჩატარებაზე თუ მიდგება საქმე, **გერმანელ ჯარისკაცებს არც დაესიზმრებათ, ისეთ ოპერაციებს ატარებდნენ ქართველები.**

„კვირის პალიტრა“

**თამაზ მოლაშვილი**
*სულხან მოლაშვილის მამა*



**მიშა სააკაშვილზე თქმა იმისა, რომ პოლიტპატიმარია, სირცხვილია!**

„TV იმედი“

**ნათია მეზვრიშვილი**
*პარტია „საქართველოსთვის“ წევრი*



**კობახიძის** ფანტაზიამ ისეთ მასშტაბებს მიაღწია, თამამად შეიძლება ვუწოდოთ **ჭორბიუროს თავმჯდომარე** — ეს ბოდვები გააგრძელეთ და ვიდრე უკან მოიხედავთ, **ოპოზიციაში აღმოჩნდებით.**

„ინტერპრესნიუსი“

**პეტრე ცისკარიშვილი**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



საკნის გასაღები **ივანიშვილს** ჯიბეში უდევს, ის უნდა ამოვაცალოთ, **უნდა ვაიძულოთ, რომ გახსნას კარი და გაუშვას მიხეილ სააკაშვილი** ევროპაში სამკურნალოდ.

„ინტერპრესნიუსი“

# 70 წლის წინათ სტალინისათვის

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

**კომუნისტი**

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

ხუთშაბათი, 1 მაისი, 1952 წ. № 104 (9264). ფასი 20 კაპ.



მავზოლეუმის ტრიბუნა. სტალინი 1952 წლის 1 მაისობაზე






## მოწოდებანი

1952 წელი. სტალინის უკანასკნელი მაისი

## საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა 1952 წლის 1 მაისისათვის



გაუმარჯოს 1 მაისს – მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს, ყველა ქვეყნის მუშათა ძმობის დღეს! დიდება დიდ სტალინს!

# 2022 წლის 1 მაისის მოწოდებანი ნაცებისა და ქოცებისათვის

## ამხანაგი ნაცების გასაგონად:

***1.*** ამხანაგო ნაცებო! დროა, ერთხელ და სამუდამოდ შეიგნოთ, რომ **2012 წელს ქართველმა ხალხმა პოლიტიკური მოუსავლეთის ბილეთი გამოგიწერათ და ხელისუფლებაში აღარასოდეს დაგაბრუნებთ.** შესაბამისად, თქვენი ყოველი მცდელობა, მშრომელი მასების ეგზალტაციისა და სახალხო მღელვარების გამოწვევის გზით დაიბრუნოთ ძალაუფლება, ჩანასახშივე კრახისათვის არის განწირული. **ჯობს, შეწყვიტოთ არეულობისა და დესტაბილიზაციის უპერსპექტივო მცდელობანი და ხელი არ შეუშალოთ სამშობლო ქვეყნისა და მშობელი ხალხის წინსვლასა და განვითარებას!**

***2.*** ამხანაგო ნაცებო! თქვენი ბოლოდროინდელი ქმედებანი, რომლებიც მიმართულია რუსეთ-უკრაინის ომში საქართველოს ჩათრევისაკენ, კიდევ ერთხელ წარმოგაჩენთ როგორც ხალხის მტრებს, მავნებლებსა და სახელმწიფოსათვის ძირის გამომთხრის მოსურნეებს! **საქართველოს მშრომელი მასებისა და მოწინავე ინტელიგენციის უდიდესი ნაწილის სახელით მოგიწოდებთ, დაუყოვნებლივ შეწყვიტოთ მილიტარისტული რიტორიკა და დისკრედიტაცია იმ სამშვიდობო პოლიტიკისა, რომელსაც ჩვენი სახელმწიფოს ხელმძღვანელი მუშაკები მიჰყვებიან!**

***3.*** ამხანაგო ნაცებო! მოგიწოდებთ, **პირადად მოუწოდოთ თქვენს პარტიულ ამხანაგებს მოძმე უკრაინის ხელისუფლებაში** — ხელი აიღონ სუვერენული საქართველოს შიდა პოლიტიკურ საქმეებში ჩარევაზე და შეცდომით აშკარად არაკეთილმოსურნე, არამეგობრული განცხადებები ჩვენი სახელმწიფოს ხელმძღვანელ მუშაკთა მისამართით! **შთააგონეთ ამხანაგ ზელენსკის, ამხანაგ არესტოვიჩს, ამხანაგ პოდოლიაკს, ამხანაგ არახამიასა და სხვებს,** რომ თავიანთი რიტორიკით ნუ ამღვრევენ წყალს ორ მეგობარ რესპუბლიკას — საქართველოსა და უკრაინას შორის, ნუ უქმნიან საფრთხეს ქართველი და უკრაინელი მშრომელი მასების მეგობრობას, რომელიც მრავალი ათწლეულის განმავლობაში ჩამოყალიბდა და განმტკიცდა!

***4.*** **ამხანაგო ნაცებო! დაარწმუნეთ მსჯავრდებული ამხანაგი სააკაშვილი, შეწყვიტოს უნიჭო სანახაობათა დადგმა მოსი ჯანმრთელობის ვითომდა კრიტიკული მდგომარეობის შესახებ, რადგან საქართველოს გონიერი მშრომელები ძალიან კარგად ხვდებიან, რომ ამხანაგ მიხეილ ნიკოლოზის ძეს არავითარი სასიკვდილო საფრთხე არ ემუქრება და უცხოეთში სამკურნალოდ გადაყვანას მხოლოდ სასჯელის მოხდის დაწესებულებიდან თავის დასაღწევად ითხოვს!** ურჩიეთ მას, მოიკრიბოს უკანასკნელი შინაგანი ძალა და ის უმცირესი სასჯელი მაინც, რაც მართლმსაჯულების ორგანოებმა აკმარეს, ღირსეულად მოიხადოს!

***5.*** ამხანაგო ნაცებო! პარტიულ ამხანაგებს, ვინც ნაციონალურ მოძრაობაში 2012 წლის შემდეგ გაწევრიანდით და უშუალო მონაწილეობა არ მიგიღიათ იმ სისხლიან რეპრესიებსა და დანაშაულებში, რომელთა შემოქმედიც **ამხანაგ სააკაშვილის რეჟიმი** გახლავთ, **ჯერ კიდევ გაქვთ შანსი, დატოვოთ პარტიის რიგები, ზურგი აქციოთ მის შავბნელ წარსულს და გადაირჩინოთ საკუთარი პოლიტიკური მომავალი, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოგიწევთ, პოლიტიკურ სამარეში ჩაჰყვეთ ამხანაგ სააკაშვილს, ამხანაგ კეზერაშვილს, ამხანაგ ბარამიძესა და სხვებს, რომლებიც, საქართველოს მშრომელთა მიერ გამოტანილი ულმობელი განაჩენის წყალობით ვეღარასოდეს ეღირსებიან პოლიტიკურ წარმატებას.** ამაზე განსაკუთრებით ამხანაგ **ნიკანორ მელიას** მართებს დაფიქრება, რომელსაც თავისი პარტიული ამხანაგები ისედაც უპირებენ თავმჯდომარის პოსტიდან გადაყენებას. მას აქვს შანსი,„დაასწროს დარტყმა“ და თავად გაერიდოს ხალხის მტრების ბუდეს!

საქართველოს სახელმწიფო დროშად გამოცხადებული საააკაშვილის პარტიული ალმით, **წინ პოლიტიკური მოუსავლეთისაკენ!**



*„კომუნისტი“, 1952 წლის 4 მაისი*

**საპირველმაისო პარადი და თბილისის მშრომელთა დემონსტრაცია ლ.პ. ბერიას სახელობის მოედანზე. ტრიბუნაზე** (მარცხნიდან მარჯვნივ) **კ. ბუჩიაშვილი, კ. ციმაკურიძე, ვ. ბუჩიაშვილი, რ. კვირკველია, ნ. რუხაძე, ვ. ცხოვრებაშვილი, ზ. კეცხოველი, ა. მგელაძე, ა. ანტონოვი, ზ. ჩხუბიანიშვილი, ვ. ბაქრაძე.**

*ფოტო ვლ. გინზბურგისა და მ. კვირიკაშვილისა*

# ბოლო პირველი მაისი გათენდა!



## ამხანაგი ქოცების გასაგონად:

**1.** ამხანაგო ქოცებო! საქართველოს მშრომელი მასები სათანადოდ აფასებენ თქვენს ძალისხმევას, რომელიც სადღეისოდ შექმნილ ურთულეს გეოპოლიტიკურ ვითარებაში მიმართულია იქითკენ, რომ ქვეყანაში შეინარჩუნოთ მშვიდობა და მშობელ ხალხს აარიდოთ ომი და ბომბების წვიმა, რასაც, სამწუხაროდ, ადგილი აქვს უკრაინის ტერიტორიაზე! **ჩვენი ქვეყნის გონიერი მოსახლეობა იმას ხედავს, რომ საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელ მუშაკებს ურთულესი პოლიტიკურ-პროპაგანდისტული იერიშების მოგერიება უწევთ შინაური თუ საგარეო მტრული ელემენტების მხრიდან, რომლებიც მოწადინებული არიან, რუსეთის ფედერაციას საქართველოდან მეორე ფრონტი გაუხსნან! ამიტომაც, „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელ პარტიულ ამხანაგებს მოგიწოდებთ — მტკიცედ იდექით არჩეულ გზაზე, არ მოექცეთ პოლიტიკური ზეწოლისა თუ შანტაჟის ქვეშ და არ დაუშვათ, რომ საქართველო ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის საომარ პოლიგონად გადაიქცეს!**

**2.** ამხანაგო ქოცებო! დროა, ქვეყნის ომში ჩათრევისა და შიდა არეულობის მოწყობის მსურველების მიმართ მკაცრი რიტორიკიდან მკაცრ ქმედებებზე გადახვიდეთ და დაიწყოთ სისხლისსამართლებრივი დევნა ყველა იმ ელემენტის მიმართ, რომელიც სასამართლო დარბაზიდან თუ ტელეეკრანებიდან ღიად აკეთებს სახელმწიფო გადატრიალებისა და ხელისუფლების დამხობის მოწოდებებს!

**3.** ამხანაგო ქოცებო! **არავითარ შემთხვევაში არ დაჰყვეთ ამხანაგი ნაცების ულტიმატუმს და არ გაგზავნოთ საზღვარგარეთ სამკურნალოდ ამხანაგი მიხეილ ნიკოლოზის ძე სააკაშვილი,** რადგან ყველამ კარგად იცის, რომ ეს მისი „სამკურნალოდ გაშვება“ კი არა, ციხიდან გაშვება იქნება, რაც მშრომელი მასების უდიდეს უკმაყოფილებასა და მღელვარებას გამოიწვევს!

**4.** ამხანაგო ქოცებო! **დროა, უმკაცრესი პასუხი გასცეთ და ადეკვატური შეფასება მისცეთ უკრაინის სახელმწიფოს ხელმძღვანელ მუშაკთა აღვირახსნილ და შეურაცხმყოფელ განცხადებებს ქართული სახელმწიფოს მისამართით!** დაარქვით ყველაფერს თავისი სახელი და აღიარეთ, რომ უკრაინის ხელისუფლებაში საქართველოს მტრები სხედან, რომლებსაც სურთ, ჩვენს ქვეყანაში ქართული ბუჩა, ქართული მარიუპოლი და ქართული ირპინი გაჩნდეს! **დაიცავით ქართული სახელმწიფოსა და ქართველ მშრომელთა ეროვნული ღირსება, ნუ მოითმენთ ამდენ თავლაფის დასხმას ამხანაგი ზელენსკისა და მისი ამქრის მხრიდან!**

## 5 და 4+1 შეგონება

**4+1.** ამხანაგო ქოცებო! **ნაკლები დრო დაუთმეთ ამხანაგ ნაცებთან კინკლაობას და მეტი დრო და ენერგია მოახმარეთ საქართველოში ადგილობრივი წარმოების განვითარებას, ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობასა და ეროვნული ეკონომიკის ფუნდამენტური დარგების აღორძინებას,** რათა შეწყდეს საქართველოდან შრომისუნარიანი მუშახელის გადინება და ქართველ მშრომელთა პოტენციალი მოხმარდეს არა უცხო ქვეყნებში დოვლათის შექმნას, არამედ სამშობლო მიწის აყვავებასა და ცხოვრების დონის ამაღლებას!

**ყველანაირი ხელშეწყობა პატიოსან ქართველ მშრომელებს!**

**კანონისა და დემოკრატიის ფარგლებში, არავითარი დანდობა ხალხის მტრებსა და მავნე ელემენტებს!**

სახელმწიფო დროშად გამოცხადებული სააკაშვილის პარტიული ალმის გარეშე, **წინ ერთიანი საქართველოსაკენ!**

*მშრომელი მასების საპირველმაისო გულისთქმა პუნქტებად გაწერა*
***ჯაბა ხუბუამ***

# ასე ახლოვდებოდა დიადი გამარჯვება!

## დოკუმენტები ღაღადებენ...



### პრემიერ ი.ბ. სტალინის პირადი და საიდუმლო წერილი პრემიერ-მინისტრს ბ-ნ უ. ჩერჩილს

გმადლობთ 25 აპრილის თქვენი ცნობისათვის ჰიმლერის განზრახვის შესახებ, დანებდეს დასავლეთის ფრონტზე.

თქვენი წინადადება, წაუყენოთ ჰიმლერს მოთხოვნა უსიტყვო კაპიტულაციის შესახებ ყველა ფრონტზე, ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებად მიმაჩნია. გიცნობთ რა თქვენ, ეჭვი არ მეპარებოდა, რომ სწორედ ასე იმოქმედებდით. გთხოვთ, იმოქმედოთ თქვენი წინადადების სულისკვეთებით, წითელი არმია კი შეუტევს ბერლინს ჩვენი საერთო საქმის ინტერესებისათვის.

გაცნობებთ, რომ ანალოგიური პასუხი გავუგზავნე პრეზიდენტ ტრუმენსაც, რომელმაც აგრეთვე მომმართა იგივე შეკითხვით.

*1945 წლის 25 აპრილი*

### ბ-ნ ჩერჩილის პირადი და საიდუმლო წერილი მარშალ სტალინს

... კაპიტულაციის შესახებ ხელმოწერილი დოკუმენტის არარსებობის შემთხვევაში ოთხმა სახელმწიფომ უნდა გამოსცეს დეკლარაცია, რომელიც დაადგენს გერმანიის დამარცხებასა და უსიტყვო კაპიტულაციას და ოთხი სახელმწიფოს მიერ უმაღლესი ხელისუფლების ხელში აღებას გერმანიაში. ასეთი დეკლარაციის ტექსტის პროექტი განსახილველად აქვს ევროპის საკონსულტაციო კომისიას და გთხოვთ, სასწრაფო მითითება მისცეთ თქვენს წარმომადგენელს კომისიაში, რათა შესაძლებელი იყოს, დაუყოვნებლივ შევიმუშაოთ საბოლოო ტექსტი.

*1945 წლის 28 აპრილი*

### მარშალ სტალინის პირადი და საიდუმლო წერილი პრემიერ ბ-ნ უ. ჩერჩილს

28 აპრილის თქვენი წერილი მივიღე. მე არა ვარ თქვენი წინადადების წინააღმდეგი, რომ ოთხი სახელმწიფოს სახელით გამოქვეყნდეს დეკლარაცია, რომელიც გერმანიის დამარცხებისა და უსიტყვო კაპიტულაციის მაუწყებელი იქნება იმ შემთხვევისათვის, თუ გერმანიაში არ აღმოჩნდება ორგანიზებულად მოქმედი ცენტრალური ხელისუფლება.

საბჭოთა წარმომადგენელს ევროპის საკონსულტაციო კომისიაში მიეცა მითითება, შეიტანოს დეკლარაციის პრეამბულაში, რომლის პროექტიც ბრიტანეთის დელეგაციამ წარმოადგინა, გერმანიის შეიარაღებული ძალების უსიტყვო კაპიტულაციის პრინციპის მაფიქსირებელი დამატება.

*1945 წლის 30 აპრილი*

<u>**პირადად და საიდუმლოდ**</u>

### პრემიერი ი.ბ.სტალინი პრემიერ-მინისტრ ბ-ნ უ. ჩერჩილს

მივიღე 29 და 30 აპრილის თქვენი წერილები იტალიაში გერმანელთა უსიტყვო კაპიტულაციის თაობაზე.

გმადლობთ ინფორმაციისათვის. მე არა ვარ იმის წინააღმდეგი, რომ ცნობა იტალიაში გერმანელთა კაპიტულაციის შესახებ ფელდმარშალმა ალექსანდერმა პირველმა გამოაცხადოს.

*1945 წლის 2 მაისი*

### ბ-ნ ჩერჩილის პირადი და საიდუმლო წერილი მარშალ სტალინს

**1.** პრეზიდენტმა ტრუმენმა მაცნობა, რომ გამოგიგზავნათ წერილი თხოვნით იმის შესახებ, რომ სინქრონულად გამოვაქვეყნოთ ჩვენი განცხადებები ევროპაში გამარჯვების დღის თაობაზე. სავსებით ვეთანხმები მას.

**2.** ჩემთვის ყველაზე მოსახერხებელი დრო შუადღე იქნება და ჩემი განცხადება გერმანიაზე გამარჯვების შესახებ მხოლოდ სამ ან ოთხ წუთს დაიკავებს. თუ მხედველობაში მივიღებთ ბრიტანეთის ზაფხულის დროს, ეს თქვენი დროით ნაშუადღევის 1 საათი იქნება. მაგრამ მაშინ პრეზიდენტ ტრუმენის განცხადება ვაშინგტონში დილის 6 საათზე უნდა გადაიცეს, რაც, ალბათ, არც პრეზიდენტისათვის იქნება მოსახერხებელი და არც შეერთებული შტატების ხალხისათვის. ამიტომ გთავაზობთ, დავეთანხმოთ ამერიკის აზრს და მე ვნიშნავ ნაშუადღევის 3 საათს ბრიტანეთის ზაფხულის დროით, რაც თქვენი ახლანდელი დროით ნაშუადღევის 4 საათს ნიშნავს. ეს საშუალებას მისცემს პრეზიდენტს, გადასცეს თავისი განცხადება დილის 9 საათზე ვაშინგტონის დროით.

**3.** გთხოვთ, გვაცნობოთ პრეზიდენტსა და მე რაც შეიძლება მალე, თანახმა ხართ თუ არა.

*1945 წლის 5 მაისი*

### პრემიერ ი.ბ. სტალინის პირადი და საიდუმლო წერილი დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს ბ-ნ უ. ჩერჩილს

5 მაისის თქვენი წერილი ევროპაში გამარჯვების დღის გამოცხადების დროის თაობაზე მივიღე 6 მაისს.

წინააღმდეგი არა ვარ თქვენი წინადადებისა 3 საათის შესახებ ბრიტანეთის ზაფხულის დროით, რაც მოსკოვის დროით ნაშუადღევის 4 საათს შეესაბამება. პრეზიდენტ ბ-ნ ტრუმენსაც ვაცნობე ამის შესახებ.

*1945 წლის 6 მაისი*

### ბ-ნ ჩერჩილის პირადი და საიდუმლო წერილი მარშალ სტალინს

პრეზიდენტი თანახმაა, ევროპაში გამარჯვების დღის შესახებ გამოაცხადოს რადიოთი დილის 9 საათზე ვაშინგტონის დროით, რაც დღის 3 საათს ნიშნავს ლონდონში და 4 საათს — მოსკოვში. ეს სამივესათვის ერთი და იგივე მომენტია იმის წყალობით, რომ დედამიწა მრგვალია. იმედი მაქვს, დეპეშით გვაცნობებთ თქვენს თანხმობას მეც და მასაც.

დასახული დღეა სამშაბათი, 8 მაისი, მაგრამ, ორშაბათის განმავლობაში, 7 მაისს დაგიდასტურებთ, შეიძლება თუ არა ეს დღე სამშაბათი იყოს, თუ იგი უნდა გადავდოთ ოთხშაბათისათვის, 9 მაისისათვის.

*1945 წლის 7 მაისი*

### ბ-ნ ჩერჩილის პირადი და საიდუმლო წერილი მარშალ სტალინს

გამოქვეყნების უფრო ადრინდელ დროზე შეთანხმებასთან დაკავშირებული სიძნელეების გამო დიდი დანანებით გადავწყვიტე, გადამედო რადიოთი ჩემი განცხადების გადაცემა იმ დრომდე, რომელზეც თავდაპირველად შევთანხმდით, ე. ი. ხვალამდე — სამშაბათს ნაშუადღევის 3 საათამდე, რაც მოსკოვის დროით ნაშუადღევის 4 საათს შეესაბამება.

პრესისათვის მიცემულია ცნობა, რომელშიც ნათქვამია, თუ როდის გადაიცემა ხვალ განცხადება და აღნიშნულია, რომ ხვალინდელი დღე, სამშაბათი, მიიჩნევა როგორც გამარჯვების დღე ევროპაში და ანგარიში უნდა გავუწიოთ მშრომელი მოსახლეობის მასებს.

პრეზიდენტი ტრუმენი ინფორმირებულია.

*1945 წლის 7 მაისი*

<u>**პირადი და საიდუმლო წერილი**</u>

### მარშალი ი.ბ. სტალინი პრემიერ-მინისტრს ბ-ნ უ. ჩერჩილს

7 მაისის თქვენი წერილი გერმანიის კაპიტულაციის გამოცხადების შესახებ მივიღე.

წითელი არმიის უმაღლესი სარდლობა დარწმუნებული არაა, რომ გერმანიის მთავარი სარდლობის ბრძანებას უსიტყვოდ კაპიტულაციის შესახებ გერმანელთა ჯარები აღმოსავლეთის ფრონტზე შეასრულებენ. ამიტომ ვშიშობთ, რომ დღეს სსრ კავშირის მთავრობის მიერ გერმანიის კაპიტულაციის გამოცხადების შემთხვევაში უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით და შეცდომაში შევიყვანთ საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივ აზრს. მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ გერმანელთა ჯარების წინააღმდეგობა აღმოსავლეთის ფრონტზე კი არ სუსტდება, არამედ, თუ მათი რადიოთი გადაცემების მიხედვით ვიმსჯელებთ, გერმანელთა ჯარების მნიშვნელოვანი ჯგუფი პირდაპირ აცხადებს, რომ განზრახული აქვს, განაგრძოს წინააღმდეგობა და არ დაემორჩილოს დენიცის ბრძანებას კაპიტულაციის შესახებ.

ამიტომ საბჭოთა ჯარების სარდლობას სურს, მოიცადოს იმ მომენტამდე, ვიდრე გერმანელთა ჯარების კაპიტულაცია ძალაში არ შევა და, ამრიგად, გერმანელთა კაპიტულაციის შესახებ მთავრობათა განცხადება გადაიდოს 9 მაისის 7 საათამდე მოსკოვის დროით.

*1945 წლის 7 მაისი*

**წიგნიდან „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მიმოწერა აშშ-ის პრეზიდენტებთან და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრებთან 1941-1945 წლების დიდი სამამულო ომის დროს“.**

*როგორც საქართველოს, ისე მსოფლიოს ისტორიაში ბევრია ისეთი ფაქტი და მოვლენა, რომლის შესახებაც ფართო საზოგადოება ან ნაკლებად ინფორმირებულია, ანდა თითქმის არაფერი იცის. ახალ რუბრიკაში — „ის, რაც ისტორიიდან არ ვიცით“, პროფესორი* ***სვიმონ მასხარაშვილი*** *სწორედ ასეთ საინტერესო და თითქმის უცნობ თემებზე ისაუბრებს:*



# სვიმონ მასხარაშვილი:

# 1089 წლის აღდგომას, როგორც კი 16 წლის დავით აღმაშენებელი ტახტზე ავიდა, საქართველოში 365-დღიანი გაუთავებელი მიწისძვრა უმალ შეწყდა!



— **1088 წლის აღდგომა დღეს** საქართველოში გრანდიოზული მიწისძვრა მოხდა. ეს ამბავი მაინცდამაინც კარგ ნიშნად არ მიიჩნიეს. ყველაზე უფრო შემაძრწუნებელი ის იყო, რომ მიწისძვრა და ნგრევა გაგრძელდა მთელი ერთი წლის განმავლობაში და არცერთი დღე არ შეწყვეტილა. შექმნილი მდგომარეობის გამო საქართველოს მესვეურები შეიკრიბნენ და დიდი სჯა-ბაასი გამართეს. საქართველოში ჩამოვიდნენ მაშინდელი მსოფლიო ფილოსოფიური და თეოლოგიური აზრის უდიდესი ქართველი ავტორიტეტები — **იოანე პეტრიწი და არსენ იყალთოელი.** სხდომას ასევე ესწრებოდნენ კათალიკოსი **იოანე** და, სავარაუდოდ, **ნიკოლოზ გულაბერიძის ბიძა სვიმონ გულაბერიძეც,** რომელიც სწორედ კათალიკოს იოანეს მერე გახდა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის საჭეთმპყრობელი. დიდი ალბათობით, ამ სხდომას ასევე ესწრებოდა **ბაგრატ მეოთხის ქალიშვილი და მეფის და, ბიზანტიის იმპერატრიცა, დედოფალი მართა-მარიამიც.**

მოგეხსენებათ, საქართველოს მეფე მაშინ გახლდათ დაახლოებით 35 წლის **გიორგი მეორე.** კრებულმა იმარხულა, ილოცა და დაასკვნა — მთელი საქართველო მიწისძვრის გამო ყოველდღიურად იმიტომ ირყეოდა, რომ მეფე **გიორგი მეორეს,** სავარაუდოდ, ჰქონდა რაღაც პირადი მსჯავრი, ამიტომაც ტახტიდან გადაყენებულად გამოცხადდა, ოღონდ გარკვეული პირობებით. კერძოდ, მან მიიღო **„მეფეთმეფის“ ტიტული,** რაც კარგად ჩანს რუის-ურბნისის საეკლესიო კრების „ძეგლისწერაშიც“, სადაც ხელმომწერთა შორის **გიორგი მეორე** უფრო აღმატებულად და წინ არის მოხსენიებული, ვიდრე **დავით აღმაშენებელი** და ასევე მას დარჩა ბიზანტიის იმპერიის კესაროსის ტიტული. ცნობისათვის, კესაროსის, ანუ ბიზანტიის კეისრის თანამმართველის ტიტულს **გიორგი მეორე** ჯერ კიდევ მეთერთმეტე საუკუნის 70-ანი ან, უკიდურეს შემთხვევაში, 80-ანი წლების დასაწყისიდან ატარებდა, როცა მისმა დამ, **დედოფალმა მართა-მარიამმა** 1078 და 1081 წლებში ბიზანტიაში ორჯერ მოაწყო სახელმწიფო გადატრიალება.

**— ბატონო სვიმონ, კიდევ რა პირობა უსწრებდა წინ გიორგი მეორის გადადგომას?**

— უმთავრესი პირობა ასეთი იყო — გადადგომის შემდეგ გიორგი მეორე არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩარეულიყო პოლიტიკაში! ყველაზე უფრო საინტერესო ის გახლავთ, რომ მან ეს გადაწყვეტილება მიიღო 1089 წლის აღდგომის წინა დღეს. მეორე დღეს, **1089 წლის აღდგომას,** როგორც კი 16 წლის დავით აღმაშენებელი ტახტზე ავიდა, საქართველოში 365-დღიანი გაუთავებელი მიწისძვრა უმალ შეწყდა!

ამ დღიდან მთელი 36 წლის განმავლობაში, დავით აღმაშენებლის გარდაცვალებამდე, საქართველოში არანაირი მიწისძვრა ბიძგი არ დაფიქსირებულა!

საერთოდ, საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიაში არის მოვლენები, რომელთა ახსნაც ამ 40-50 წლის წინათ ყოვლად შეუძლებელი იყო. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ვგულისხმობ დედამიწაზე კლიმატის ცვლილების ისტორიას, რომელსაც გლობალური პოლიტიკური კატაკლიზმები უკავშირდება. ცნობისათვის, დედამიწაზე ყოველ 400-500 წელიწადში ან გლობალური დათბობა ან აცივება იწყება. **ახალი წელთაღრიცხვის მე-4 საუკუნემდე დედამიწაზე ის კლიმატი იყო, რაც დღეს გვაქვს, მაგრამ მე-4 საუკუნიდან დაიწყო გლობალური აცივება, რომელიც მე-9 საუკუნის ბოლომდე გაგრძელდა.** ანალოგიურ პროცესს ადგილი ჰქონდა მე-15 საუკუნიდან მე-19 საუკუნის ჩათვლით.

**— შეგიძლიათ, ამ თემაზე უფრო კონკრეტულად ისაუბროთ და მაგალითები მოიყვანოთ?**

— მაგალითად, პირველი აცივების დროს, მე-4-8 საუკუნეებში საფრანგეთში ვენახი არ იზრდებოდა, ხოლო ფრანკთა იმპერატორმა კარლოს დიდმა აახენში თავისი რეზიდენცია არა ქვითკირისგან, არამედ ხისგან ააშენა, რათა არ გაყინულიყო. მე-16-19 საუკუნეებში ძალიან ხშირად პარიზის ქუჩებში მგლები დარბოდნენ, ხოლო ბოსფორის სრუტე იყინებოდა. თბილისში ხშირად იყინებოდა მტკვარიც. სამაგიეროდ, მე-10 საუკუნის მიწურულიდან დაიწყო ისეთი გლობალური დათბობა, რომლის მსგავსიც კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს. ეს პროცესი გაგრძელდა მე-13 საუკუნის მიწურულამდე. მაგალითად, თუ მე-6-7 საუკუნეებში არაბეთის ნახევარკუნძული და შუა აზია ბაღ-ვენახებსა და სიმწვანეში იყო ჩაფლული, ხოლო დღევანდელი ლიბია მსოფლიოს პურით ამარაგებდა, როგორც კი გლობალური დათბობა დაიწყო, მსოფლიო პოლიტიკური სურათი მაშინვე რადიკალურად შეიცვალა. კერძოდ, ის სელჩუკური ტომები, რომლებიც ცენტრალური აზიის გარკვეულ ნაწილში საძოვრებს ფლობდნენ, გლობალური დათბობის შედეგად დარჩნენ საძოვრების გარეშე და დაიძრნენ სამხრეთ-დასავლეთით, ირანის ზეგნისკენ, სადაც მაღალმთიანი გარემო ცხვრის საბალახოდ, ასე თუ ისე, ნორმალურ პირობებს ქმნიდა. ჩრდილოეთით, დღევანდელი რუსეთის ტრამალებისკენ ისინი ვერ წავიდოდნენ, რადგან მართალია, გლობალურმა დათბობამ რუსეთის ჩრდილოეთი ტერიტორიები მწვანეში ჩაფლო, მაგრამ, სამაგიეროდ, უზარმაზარი მიწები დააჭაობა, რაც ცხვრის გამოსაკვებად აბსოლუტურად უვარგისი იყო. პარალელურად, ანატოლიისა და ირანის ზეგნის უძველესი ქალაქები მოსახლეობისგან დაიცალა, რადგან არზრუმის, ყაზვინისა და სხვა უმნიშვნელოვანესი ქალაქების მოსახლეობას შემოაკლდა ის საკვები პროდუქტები, რომლითაც გლობალური დათბობის დაწყებამდე საზრდოობდა.

**— ამ ქალაქების მოსახლეობა საითკენ დაიძრა?**

— ამ ქალაქების მოსახლეობა დაიძრა მაღალი მთებისკენ, ანდა ზღვისპირეთისკენ. სწორედ ამიტომ იყო, რომ სომხეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი კილიკიაში, დღევანდელი ანტალიის მიმდებარე ტერიტორიაზე გადასახლდა. დაახლოებით ამავე პერიოდში, კერძოდ, 1087 წელს, წმინდა ნიკოლოზის ნაწილები მცირე აზიის ქალაქ მირონ-ლუკიიდან გადააბრძანეს იტალიის სამხრეთით, ქალაქ ბარიში, რადგან იმ მოსახლეობამ, რომელიც წმინდა ნიკოლოზს ეთაყვანებოდა, გლობალური დათბობის გამო ქალაქი დატოვა და იტალიის ზღვისპირეთს მიაშურა.

**— ანუ თქვენ აცხადებთ, რომ გლობალური დათბობის შედეგად მცირე აზიიდან ავტოქტონი მოსახლეობა წავიდა და თურქები შემოვიდნენ?**

— არავითარი დიდი თურქული მასა ამ ტერიტორიაზე არ შემოსულა. **დნმ**-ის მონაცემებმა ცხადყო, რომ დღევანდელი თურქეთის მოსახლეობის მხოლოდ 1 პროცენტია თურქულ-მონღოლური ჰაპლოჯგუფის Q-ს მატარებელი, თორემ დაახლოებით 45 პროცენტი ქართულ-კავკასიური G ჰაპლოჯგუფის მატარებელია, ხოლო 25 პროცენტი ატარებს ჰაპლოჯგუფს „R-1“, რომელიც არიელებისთვის არის დამახასიათებელი და ეს ჰაპლოჯგუფი საქართველოს მოსახლეობის 10 პროცენტშიც გვხვდება.

თურქები მცირე აზიაში მე-10 საუკუნის მიწურულს რომ შემოვიდნენ, მთლად ცარიელი ტერიტორიები არ დახვედრიათ. აქ სახლობდნენ ბიზანტიის იმპერიის მოქალაქე ლაზები, მესხები, ბერძნები, სომხები და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები, რომლებიც ყაჩაღობასა და მეცხვარეობას მისდევდნენ. ყველაზე დიდი თურქი ექსპანსიონისტის **თოღრულ-ბეგის** მამაც და ბიძაც ქრისტიანები იყვნენ. მეტიც, თურქ-სელჩუკთა შორის მთავარი საურთიერთობო ენა არა თურქული, არამედ სპარსული იყო. ასე, მაგალითად, რუმის თურქულ სასულთნოში უდიდესი პოეტი **ჯალალ-ედ-დინ რუმი** ლექსებს წერდა არა თურქულად, არამედ სპარსულად!

**— კი მაგრამ, საქართველოს არ შეეხო ეს გლობალური დათბობა და აცივება? ანუ თუ ანატოლიისა და ირანის ზეგანზე მდებარე უძველესი და უმდიდრესი ქალაქები გლობალური დათბობის შედეგად დაიცალა, საქართველო ავტოქტონმა ქართველობამ რატომ არ მიატოვა? მეურნეობის ტრადიციული და უძველესი დარგები საქართველოში როგორ და რა გზებით შენარჩუნდა?**

— საქართველოს გარემო იდეალურია კლიმატის გლობალური ცვლილების ნებისმიერი რიტმისთვის, რაც ჩვენი ვერტიკალური სარტყლურობის დიდი დამსახურებაა. ჩვენთან მცირე ტერიტორიებზე იმდენად დიდია გეოგრაფიულ პუნქტებს შორის დონეთა სხვაობა, ქართველ კაცს ეძლევა უნიკალური შანსი, **გლობალური დათბობის პირობებში,** ძირითადი საცხოვრისის მიტოვების გარეშე, მაგალითად, ნუცუბიძის პლატოზე ან ლისზე მიიღოს ზუსტად იგივე მოსავალი, რასაც **გლობალური აცივების პირობებში,** დავუშვათ, რიყეზე ან დავით აღმაშენებლის გამზირზე მიიღებდა. ასეა მთელ საქართველოში და სწორედ ამან გადაგვარჩინა. აქედან გამომდინარე, **საქართველოს ტერიტორიის ძალიან მაღალმა გეოგრაფიულმა სარტყლურობამ განაპირობა ის, რომ იმ სავაჭრო გზებმა, რომლებიც საქართველოს სამხრეთით გადიოდა, გლობალური დათბობის შემდეგ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე გადმოინაცვლა.**

ეს ის პერიოდია, როცა ქალაქი **ანტიოქია,** ფაქტობრივად, განადგურებულია, ხოლო **ბაღდადი,** რომელიც მე-8-9 საუკუნეებში დღევანდელი ნიუიორკისხელა იყო, მე-10 საუკუნის მიწურულიდან ნელ-ნელა უდაბურდება. 1064 და 1068 წლებში თურქთა სულთანი **ალფ-არსლანი** საქართველოს სწორედ იმიტომ შემოესია, რომ ცხოვრება, ვაჭრობა და ეკონომიკა ჩვენთან დუღდა და ამ უზარმაზარ შემოსავალში უნდოდა

# „დედამიწაზე კლიმატის ცვლილების ისტორიას გლობალური პოლიტიკური კატაკლიზმები უკავშირდება!“

## კვირგვინოსნები

**ჯონი ჯანაშია**
*ექიმი*



სასურველი ფორმის განათების მისაღებად წამლის შეფუთვაც გამომიყენებია. სავარცხლისგან მაქვს გაკეთებული ჩემი სახლის აივნები. **გალანტერიისა და მაქმანების მაღაზიაში უკვე კარგად მიცნობენ. რომ შევდივარ და ღილებსა და მძივებს ვარჩევ, შეიძლება, ვინმეს ჩემს კაცობაში ეჭვი შეეპაროს,** მაგრამ უკვე იციან, რისთვისაც მჭირდება და ალმაცერად არ მიყურებენ.

„თბილისელები“

**გუგა ქაშიბაძე**
*საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ექსპერტი პლასტიკურ ქირურგიაში*



მახსოვს **ორი რუსი მფრინავი, რომლებიც ჩვენებმა ჩამოყარეს.** ისინი ღუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრში იწვნენ. **წარმოიდგინეთ, იმ რუსების მკურნალობა გვიწევდა, რომლებიც გორს ბომბავდნენ!** ბუნებრივია, ამ ყველაფერს ცივი გონებით ვერ უყურებ, მაგრამ **ექიმის პასუხისმგებლობა და მორალი** არ გაძლევს სხვაგვარად მოქცევის უფლებას.

„კვირის პალიტრა“

**სოსო არჩვაძე**
*ეკონომიკის პროფესორი*



შარშანდელთან შედარებით **წლეულს ფასების ზრდა ნაკლები იქნება.** ბიუჯეტში საკმაოდ მაღალია აქციზური შემოსავლის წილი. **2021 წელს 700 მილიონ ლარზე მეტი შემოვიდა თამბაქოს ხაზით** და ეს თითქმის 80 პროცენტით მეტია ნავთობპროდუქტების აქციზიდან მიღებულ შემოსავალზე!

„კვირის პალიტრა“

**ცუცა კაკანაძე**
*მსახიობი*



წამყვანი რომ ზის ეთერში, იგინება და შეურაცხყოფას აყენებს ყველა ადამიანს, რომელიც მას არ ეთანხმება, **ეს არის მთელი საზოგადოებისთვის ლაფის დასხმა.** ჩემთვის ეს არ არის თავისუფლება. **ამერიკაში ბილწსიტყვაობის გამო პრეზიდენტებსაც კი ბოდიშს ახდევინებენ.**

„სარკე“



მეფე გიორგი მეორის ფრესკა გელათის მონასტერში

# „გიორგი მეორის დამ ბიზანტიაში ორჯერ მოაწყო სამხედრო გადატრიალება!“

თავისი წილიც ჰქონოდა. წყაროებში პირდაპირ წერია — **თუ სადმე ქონება და დოვლათი იქმნებოდა, ეს გურჯისტანი იყო და სულთანი ქრისტიანებს სწორედ ამიტომ შემოესიაო!**

ბევრი მიიჩნევს, რომ 1071 წელს, როცა ბიზანტია მანასკერტის ბრძოლაში თურქებთან დამარცხდა, ამით დაიწყო იმპერიის დაცემა, რადგან მას მცირე აზიაში ფეხი ამოეკვეთა. არადა, მხოლოდ სამხედრო მარცხი არ ყოფილა ანატოლიიდან ბიზანტიის იმპერიის გაძევების მიზეზი.

**— აბა, კიდევ რა იყო ამის მიზეზი?**

— ამის უმთავრესი მიზეზი იყო ის, რომ ბიზანტია თავად აღარ ცდილობდა ამ ტერიტორიის დაცვას, რადგან მისი შრომისუნარიანი და მატერიალური დოვლათის შემქმნელი მოსახლეობა — ვაჭრები და ხელოსნები — უკვე მე-10 საუკუნის მიწურულიდან ამ მხარიდან აყრილი იყო. სხვათაშორის, მანასკერტის ბრძოლაში ბიზანტიის იმპერატორი **რომან მეოთხე დიოგენი,** რომელსაც თურქსელჩუკებზე ბევრად უფრო მრავალრიცხოვანი არმია ჰყავდა, მოღალატეებმა და კონკურენტებმა ჩააბარეს თურქებს. ტყვეობიდან გათავისუფლებული იმპერატორი ალფ-არსლანის მემკვიდრე სულთან მალიქ-შაჰთან გარიგებაშიც კი შევიდა და მას ვანის ტბის დასავლეთით მდებარე მიწები გადასცა. სწორედ ამავე პერიოდში ბიზანტიის იმპერატორი გახდა ალექსი კომნენოსი და ბიზანტიის იმპერიის დიდმა დომესტიკოსმა, ქართველმა **გრიგოლ ბაკურიანის ძემ** საქართველოს მეფე **გიორგი მეორეს** აჩუქა თავისი ორი ქალაქი — **კარი,** ანუ დღევანდელი **ყარსი და კარნუ-ქალაქი,** ანუ დღევანდელი **არზრუმი.** რატომ? იმიტომ, რომ ეს ქალაქები ბიზანტიისთვის უკვე გამოუსადეგარი და მოსახლეობისგან დაცლილი იყო. თურქები რომ შემოვიდნენ, დახვდათ მხოლოდ ყაჩაღები და მეჯოგეები, თორემ დოვლათის შემქმნელი მოსახლეობა უკვე კარგა ხნის გადასახლებული იყო. **სწორედ ამ კრიმინალური ელემენტების — მომხდურებისა და დამხდურების შერწყმის შედეგად შეიქმნა ის აგრესიული მოსახლეობა, რომელიც მერე ანატოლიაში დაფუძნდა და ასე გამოიკვეთა თურქული იმპერიის კონტურები.**

**— თქვენ უდიდესი ბიზანტიელი სარდალი, პეტრიწონის მონასტრის დამაარსებელი, ეროვნებით ქართველი გრიგოლ ბაკურიანის ძე ახსენეთ... სომხები ამტკიცებენ, რომ ბიზანტიის იმპერიის დიდი დომესტიკოსი გრიგოლ ბაკურიანის ძე ეროვნებით სომეხი იყო!**

— (*იცინის*) კი, გრიგოლ ბაკურიანის ძე „სომეხი“ იყო და ამიტომ ბულგარეთში, ბაჩკოვოში დააარსა **პეტრიწონის ქართული მონასტერი,** რომელსაც ტიპიკონიც ქართულად დაუწერა და დაუწესა! ამ ბოროტებისა და ღვარძლიანი ცნობის ავტორი და ამ საქმეში მთავარი მავნებელი არის არა რომელიმე სომეხი ისტორიკოსი, რომლებსაც ცაში აჰყავთ დავით აღმაშენებელი, არამედ ბიზანტიის იმპერატორის **ალექსი პირველი კომნენოსის ქალიშვილი, ცნობილი ისტორიკოსი ანა კომნენოსი,** რომელსაც ქართველები სძულდა.

**— რატომ?**

— ამაში მას პიროვნული მიზეზები ჰქონდა. საქმე ის გახლავთ, რომ მამამისის **ალექსი კომნენოსის** გამეფებაში უდიდესი როლი ითამაშა ორმა ქართველმა — **ბაგრატ მეოთხის ასულმა მართა-მარიამ ბაგრატიონმა,** რომელიც — ჯერ იმპერატორ **მიხეილ მეშვიდე დუკას,** ხოლო შემდეგ **ნიკიფორე მესამის ცოლი** გახლდათ და ბიზანტიის იმპერიის დასავლეთ პროვინციების დომესტიკოსმა **გრიგოლ ბაკურიანის ძემ.** როცა მარიამ ბაგრატიონი გრიგოლ ბაკურიანის ძესთან ერთად 1081 წლის შეთქმულებაში ჩაერთო, რათა **ალექსი კომნენოსი** გაემეფებინათ, მან ოთხი წლით უფროსი ალექსი შვილად აიყვანა და პირობა ჩამოართვა, რომ ალექსის შემდეგ მეფე უნდა გამხდარიყო მარიამის ერთადერთი ვაჟი **კონსტანტინე დუკა.** გარდა ამისა, არსებობდა შეთანხმება, რომ კონსტანტინე დუკას უნდა შეერთო ალექსის ქალიშვილი **ანა კომნენოსი.** ეს ქორწინება ჩაიშალა. აი, ამის გამო გაბოროტებული ანა კომნენოსი, როცა „ალექსიადას“ იწყებს, იქ ჩააგდებს ორ ბოროტ მარცვალს — მართა (მარიამ) ბაგრატიონს უწოდებს **„მარიამ ალანს“,** ხოლო გრიგოლ ბაკურიანის ძეს — **„ტომით არმენს“.** მართა (მარიამ) ბაგრატიონს მართლაც ჰყავდა ოსი დედა. ბაგრატ მეოთხის ცოლი, საქართველოს დედოფალი **ბორენა** ნამდვილად იყო ოსთა მეფის ასული, მაგრამ მართა გახლდათ ულამაზესი ქართველი პრინცესა და ამდენად მისთვის „ალანის“ მიკერება სრულიად უადგილოა. აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ ბიზანტიელი ისტორიკოსი **მიხეილ ფსელოსი** და სხვებიც ერთხმად აღნიშნავენ, რომ **გრიგოლ ბაკურიანის ძე** იყო ქართველი. თავისი ქართველობის შესახებ არაერთგზის საუბრობს თავად გრიგოლ ბაკურიანის ძეც — **„ქართველნი ვართ ნათესავით მხნენი და მხედრობით აღზრდილნი და მარადის ჭირვეულის ცხორებას ჩვეულნი!“**

ანა კომნენოსი თავის **„ალექსიადაში“** ერთ სიტყვასაც არ ამბობს დავით აღმაშენებლის ტრიუმფის შესახებ, რადგან დაბოღმილია. ანას იმის გაგონებაც არ სურდა, რაც უკვე შემდგარი ფაქტი იყო. მოგეხსენებათ, დავითის საქართველომ დასუსტებული და თურქების მიერ შევიწროებული ბიზანტიის იმპერიის ფუნქცია შეითავსა, რაც ბიზანტიის პრინცესას აბოროტებდა. **ამიტომაც იყო, რომ ანა კომნენოსმა თავის „ალექსიადაში“ საქართველოსა და დიდი ქართველი მოღვაწეების მიმართ უკადრებელი იკადრა და მართა-მარიამ ბაგრატიონს — ოსობა, ხოლო გრიგოლ ბაკურიანის ძეს სომხობა მიაკერა!**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## ქვირგვინოსნები

ამირან გამყრელიძე
*დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი*



**50 წლის ზემოთ ადამიანებს** მიეცეს მტკიცე რეკომენდაცია, რომ მათ **გაიკეთონ მეორე ბუსტერი 4 თვის შემდეგ პირველი ბუსტერიდან** ან დაავადების გადატანიდან.

„რეზონანსი“

ირინე ტორონჯაძე
*უფლებადამცველი*



12-13 წლის ვიყავი, როცა **საერთოდ არ მქონდა საწინააღმდეგო სქესთან შეხება,** მაგრამ ვამბობდი, რომ **არასწორია ქალიშვილობის ინსტიტუტი,** რომ ეს არის მონობა.

„თბილისელები“

ჯანრი ლოლაშვილი
*მსახიობი, მხატვარი*



**ტკბილი დაბერება არ არსებობს,** ტყუილია. არ მინახავს ეგეთი ადამიანი, რომ **ტკბილი სიბერე** ჰქონოდა და შვილიშვილებთან ჩატკბა და ჩაფელამუშდა.

„ახალი თაობა“



# რა უნდა ვიცოდეთ საკვების გადაცდენის ან ყელზე დადგომის შესახებ?



***სმა-ჭამა, რომელსაც პარალელურ რეჟიმში სიმღერა, ლაპარაკი და სიცილი ახლავს, შესაძლოა, ტრაგედიით დასრულდეს, რადგან ადამიანს საკვები ან სითხე გადასცდეს. სასუნთქ გზებში ჟანგბადის მოძრაობა შესაძლოა, შეფერხდეს ან სრულად შეწყდეს მასში საკვების ან სასმლის რაღაც ნაწილის მოხვედრით ანდა ალერგიული შეშუპებით, რომელსაც უმეტესწილად სხვადასხვა სახის ალერგენი იწვევს. ქართველი მეცნიერი, ჰომეოპათი და ექიმი კახა საბახტარიშვილი სწორედ ამ საჭირბოროტო საკითხებზე გვესაუბრება და იმ მეთოდებსაც გვაცნობს, რომლითაც ექსტრემალურ სიტუაციაში დაზარალებულის გადარჩენა შესაძლებელია:***

— საკვების პირველადი გადამუშავება, როგორც მოგეხსენებათ, პირის ღრუში ხდება, სადაც კბილების მეშვეობით საკვები ქუცმაცდება. მას პირის ღრუშივე შეერევა საკვების გადასამუშავებლად საჭირო ფერმენტები და ამის შემდეგ ხვდება ჯერ საყლაპავ მილში, ხოლო შემდეგ — კუჭში. მთელი ამ პროცესის დროს სასულე რბილი სასისა და ეპიგლოტის მეშვეობით იკეტება, რათა მიღებული წყალი, სხვადასხვა სახის სითხეები, საკვები და საკვების ნაწილაკები სასუნთქ გზებში არ მოხვდეს. **კარგად დაიმახსოვროთ:** საკვების ან ნებისმიერი სითხის გადაყლაპვა მხოლოდ და მხოლოდ ამოსუნთქვის დროს ხდება! მაგრამ ჭამის დროს, მაშინ, როცა ვლაპარაკობთ, ვიცინით, ვმღერით, ან საჭმელს ძალიან სწრაფად ვჭამთ, შესაძლებელია, საკვები ან სასმელი **გადაგვცდეს** და სასუნთქ გზებში მოხვდეს...

**— ბატონო კახა, რა დაცვითი მექანიზმი გააჩნია ორგანიზმს ამის საწინააღმდეგოდ?**

— სასულეში გადაცდომისას ორგანიზმის დაცვითი რეაქცია მყისიერად განვითარებული ხველის რეფლექსია. სწორედ ამოხველების მეშვეობით ცდილობს ორგანიზმი, არ დაუშვას საკვები მასისა და რომელიმე სითხის სასუნთქ გზებში მოხვედრა. მაგრამ ხშირია შემთხვევები, როცა ხველა საქმეს ვერ შველის და მდგომარეობა უკიდურესად რთულდება — **ადამიანს სუნთქვა ეკვრის და თუ დროზე არ ვუშველეთ, შესაძლოა, დაიხრჩოს კიდეც!**

**— რით უნდა ვუშველოთ ასეთ დროს ადამიანს?**

— არსებობს ხერხი, რომელიც **„ჰეინლიხის მეთოდის“** სახელწოდებით არის ცნობილი. ამ მეთოდის არსი ასეთია: **დაზარალებულს ზურგის მხრიდან უნდა დავუდგეთ, ხელები ჭიპიდან ოდნავ მაღლა, ნეკნთა რკალის ქვემოთ ძლიერად შემოვხვიოთ და გადაჯვარედინებული მუშტები ზედიზედ სამჯერ მუცელზე დავაჭიროთ.**

**— თუ ამანაც არ გაჭრა, მაშინ?**

— მაშინ შედეგი შესაძლოა, სავალალო იყოს!

**— რაღაც ადგილს რომ უჭრიან დაზარალებულს ყელთან, რათა ისუნთქოს, ეს სასიკვდილო საფრთხეს არ შველის?**

— უკიდურეს შემთხვევაში ამ მეთოდის გამოყენებაც შესაძლებელია, მაგრამ ეს მოითხოვს დიდ ცოდნას. **უცოდინარმა და საქმეში ჩაუხედავმა ადამიანმა შესაძლოა, დაზარალებულს საძილე არტერია დაუზიანოს და იმაზე უფრო სწრაფად გამოასალმოს სიცოცხლეს, ვიდრე საკვების**



*კახა საბახტარიშვილი:*

## ჭამა-სმის პარალელურად სიცილი, სიმღერა, ლაპარაკი, ყვირილი, მრისხანება და ა.შ. არ შეიძლება!

**ან რომელიმე სასმლის გადაცდენით ლეტალური შედეგი დადგებოდა.** ეს გართულებები და ტრაგედიები რომ თავიდან ავიცილოთ, დიდმაც და პატარამაც კარგად დაიმახსოვროს: ჭამა-სმის პარალელურად სიცილი, სიმღერა, ლაპარაკი, ყვირილი, მრისხანება და ა.შ. არ შეიძლება! როცა პირის ღრუ თავისუფალია, კი ბატონო, ისაუბრეთ, იცინეთ და იმღერეთ, რამდენიც გენებოთ!

**— რას ნიშნავს კვინკეს შეშუპება და რატომ არის ის სასიკვდილოდ სახიფათო?**

— კვინკეს შეშუპება ალერგიის ერთ-ერთი გამოხატულებაა, რომელიც შესაძლოა, განუვითარდეს ყველა იმ ადამიანს, რომელიც ალერგიისკენ არის მიდრეკილი. ალერგენის როლში ნებისმიერი რამ შეიძლება იყოს — ზოგიერთი მედიკამენტი, თაფლი, ნიგოზი, ფუტკრის, კრაზანის ან კოღოს ნაკბენი და ა.შ. ასეთ დროს ადამიანს, რომელიც ალერგიულია, შესაძლოა, წამებში განუვითარდეს კანისა და ლორწოვანი გარსის მწვავე შეშუპება. **განსაკუთრებით სახიფათოა, ენისა და ყელის შეშუპება, რომელმაც შესაძლოა, სასუნთქი გზა საერთოდ გადაკეტოს, განვითარდეს ანაფილაქსიური შოკი და ადამიანი დაიხრჩოს!** ასეთ დროს დაზარალებულს სასწრაფოდ უნდა მივცეთ ანტიჰისტამინური — სუპრასტინის ტიპის პრეპარატები — **სუპრასტინი, ტავეგილი, ერიუსი...** უკიდურეს შემთხვევაში დაზარალებულს გავუკეთოთ დექსამეტაზონის ან პრედნიზოლონის ინიექცია. უნდა ვიცოდეთ, რომ თავის ტვინი ჟანგბადის გარეშე 2-3 წუთითაც რომ დარჩეს, ადამიანი სამუდამო ინვალიდობისთვისაა განწირული.

**ყოფილა შემთხვევები, როცა დაზარალებული საკვების ან სასმლის გადაცდენის დროს გადაურჩენიათ, მაგრამ იმის გამო, რომ თავის ტვინი დროის უმცირეს მონაკვეთშიც კი უჟანგბადოდ დარჩენილა, ადამიანი დაინვალიდებულა.**

**— როდესაც ადამიანს საკვები ან სასმელი გადასცდება, სასწრაფოდ წყალს მიაწვდიან ხოლმე! ამ დროს რა ხდება?**

— ეს არ არის გადაცდენა, ამას **საკვების ყელზე დადგომა** ჰქვია. საკვების გადაცდენას წყალი არ შველის!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

პატიმარ სააკაშვილის ციხეში საკითხავი

# სააკაშვილის „ძალის გამოღვიძება“ და რუსთავის საპყრობილეში მიძინება!




***„ასავალ-დასავალი“ აგრძელებს მიხეილ სააკაშვილის ქართულ ენაზე დასტამბული მემუარების მიმოხილვას. ეს წიგნი ნაცთა ფიურერმა ჯერ კიდევ უკრაინაში ცხოვრებისას გამოსცა და იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც სწორედ ამ ნაშრომით გეგმავდა საქართველოში სარევოლუციოდ „ძალის გამოღვიძებას“, როგორც ადოლფ ჰიტლერი თავისი „მაინ კამპფით“, ანუ „ჩემი ბრძოლით“!***

მიხეილ სააკაშვილი თავის მემუარებში „ვარდების რევოლუციის“ დეტალური მიმოხილვის შემდეგ პირდაპირ აჭარაზე გადადის! მემუარების ამ ქვეთავსაც ერთობ დრამატული სახელწოდება დაარქვა — **„კრიზისი აჭარაში“!**

„აჭარის კრიზისის“ აღწერას მემუარისტი შეგნებულად იწყებს აი, ასეთი აშკარად შავბნელი ფერებით:

***„სახელმწიფოს მდგომარეობა განისაზღვრება იმით, შეუძლია თუ არა მას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე წესრიგის შენარჩუნება. 2004 წლის საქართველო ამ თვალსაზრისით ძალიან მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს აკონტროლებდნენ სეპარატისტები, რომელთაც რუსეთი უჭერდა მხარს. აჭარა გადაქცეული იყო ცალკე ფეოდალურ სამთავროდ*** *(მ. სააკაშვილი, „ძალის გამოღვიძება“, გვ. 75).*

შესაძლოა, ვინმეს უმნიშვნელო დეტალად მოეჩვენოს, მაგრამ ის, რომ **სააკაშვილი ცხინვალის რეგიონს სამხრეთ ოსეთად მოიხსენიებს** (თანაც, ყოველგვარი „ბრჭყალების“ გარეშე!), ძალიან ნიშანდობლივია! ანუ სააკაშვილი ლაპარაკობს სახელმწიფო წესრიგზე და სახელმწიფოებრიობაზე და ამ დროს, ჯერ კიდევ 1991 წელს, ზვიად გამსახურდიას თავმჯდომარეობით, საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ გაუქმებული ბოლშევიკური ტერმინოლოგიით გვაწვდის „სამხრეთ ოსეთის“ არარსებულ დასახელებას! **აი, ასეთი „სახელმწიფოებრივად მოაზროვნე“ პოლიტიკური ლიდერი ბჭობს აჭარისა და ქართული სახელმწიფოს, რბილად რომ ვთქვათ, არცთუ ჰარმონიულ ურთიერთმიმართებებზე!**

და, რა თქმა უნდა, სააკაშვილი იქვე დაუღალავად ხატავს **ასლან აბაშიძისაგან** მონსტრს, რათა გაამართლოს, რომ დასამხობი იყო:

***„აჭარაში ასლან აბაშიძე ბატონობდა. 1992 წელს მან თავის ტერიტორიაზე თბილისის სამხედრო ფორმირებები არ შეუშვა. ამან მისი პოპულარობა განაპირობა ადგილობრივ მოსახლეობაში, რომელიც აფხაზეთის ომით იყო დაშინებული“*** *(იქვე, გვ. 75).*

ესეც მემუარისტის დიდი ლაფსუსია: ის ცდილობს, დაგვარწმუნოს, რომ ასლან აბაშიძის პოპულარობა მოსახლეობაში აფხაზეთის ომის შიშმა განაპირობა, მაგრამ იმას კი აღარ უკვირდება, რომ „თბილისის სამხედრო ფორმირებები“ **ასლან აბაშიძემ** აჭარაში **1991 წლის პუტჩის შემდეგ** არ შეუშვა, ჯერ კიდევ 1992 წლის 14 აგვისტოს დაწყებულ აფხაზეთის ომამდე კარგა ხნით ადრე!

აბაშიძის მეტი დემონიზაციისთვის სააკაშვილი აჭარის ლიდერის პირად არმიაზეც წერს:

***„აბაშიძემ ხუთიათასკაციანი საკუთარი შეიარაღებული ძალები შექმნა. მას რუსი გენერალი ნეტკაჩოვი წვრთნიდა. აჭარის ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ბაზა იყო განლაგებული, ამიტომაც აჭარის „არმია“ იარაღის დეფიციტს არ განიცდიდა. აბაშიძე თითქმის არასდროს ტოვებდა აჭარას და საქართველოს. ამას მასზე თავდასხმის საშიშროებით ხსნიდა, მაგრამ ეს მხოლოდ მოგონილი საბაბი იყო. აბაშიძე უარს აცხადებდა თბილისისთვის საბაჟო და საგადასახადო შემოსავლების განაწილებაზე“*** *(იქვე, გვ. 75).*

რა თქმა უნდა, ესეც სიცრუეა: აბაშიძე უარს კი არ აცხადებდა ცენტრალური ხელისუფლებისათვის საბაჟო და საგადასახადო შემოსავლების განაწილებაზე, არამედ სურდა, ეს შემოსავლები ადეკვატურად, პროპორციულად განაწილებულიყო, რათა ფული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტშიც დარჩენილიყო და საქართველოს ერთ-ერთ უმდიდრეს რეგიონს ცენტრალურ ხელისუფლებასთან არ ემათხოვრა!

მოკლედ, ასლან აბაშიძის ლათინურამერიკული ტიპის დიქტატორად დახატვის შემდეგ სააკაშვილი გადადის იმ კონფლიქტის აღწერაზე, რომელიც პირადად მისი მიზეზით მოხდა! უკვე პრეზიდენტად არჩეულმა სააკაშვილმა როგორც კი გაიგო, რომ აბაშიძე მოსკოვში გაფრინდა და ბათუმში აღარ იმყოფება, გადაწყვიტა, ამით ესარგებლა:

***„მისი ერთ-ერთი ასეთი გასვლა ქვეყნიდან მეც გამოვიყენე და როდესაც გაფრინდა მოსკოვში, თავი დავადე და დემონსტრაციულად წავედი აჭარისკენ, თან დიდი ესკორტი წავიყვანე, რათა ყველას დაენახა, პრეზიდენტი მოდისო!*** *თუმცა, ჩემი შეცდომაც სწორედ ეს იყო, რომ მთელი ესკორტით წავედი. რა თქმა უნდა, ძველ სტრუქტურებში იყო ძალიან ბევრი ადამიანი, კორუფციული ხაზები რომ აკავშირებდათ ასლან აბაშიძესთან. თუნდაც, ძველი პოლიცია, ძველი უშიშროების სამსახური.* ***დაახლოებით მცხეთას არ ვიყავით გაცილებული, რომ გვქონდა ინფორმაცია, რომ ბათუმში უკვე იცოდნენ ჩვენი მარშრუტის შესახებ“*** *(იქვე, გვ. 77).*

დააკვირდით, სააკაშვილი იმაზე კი არ წუხს, რომ ასე არ უნდა მივმხტარიყავი აჭარაში, როდესაც იქ **ასლან აბაშიძე** არ იმყოფებოდაო, არამედ იმას მიიჩნევს თავის შეცდომად, ამხელა ესკორტით კი არა, უფრო პატარა ჯგუფით, ჩუმად უნდა შევპარულიყავი აჭარაშიო!

**მოკლედ, სააკაშვილის ესკორტს აჭარის ადმინისტრაციულ საზღვართან გზა, მისი გადმოცემით, ასობით დემონსტრანტმა და ამდენივე შეიარაღებულმა ადამიანმა გადაუღობა — მათ ნაბრძანები ჰქონდათ, თბილისიდან აშკარად პროვოკაციისათვის დაძრული ხალხი არ შეეშვათ აჭარაში!**

სააკაშვილიც მობრუნდა და, როგორც თვითონ ამბობს, ფოთში „დაბანაკდა“! როგორც ხედავთ, თვითონაც ვერ მალავს, რომ სამხედრო ტერმინოლოგიით ბჭობს და „ომობანას“ თამაშობდა! და ამ დროს, როგორც ამბობს, მას ფოთში თვით ამერიკის სახელმწიფო მდივანი **კოლინ პაუელი** ურეკავს:

***„გავბრუნდი, დავბანაკდი ფოთში, დაახლოებით ორ საათში გაისმა ზარი ამერიკიდან. დამირეკა კოლინ პაუელმა. ეს იყო ძალიან ადრე, ვაშინგტონის დროით. ის ასეთ სიტყვებს მეუბნება:***

***— მომისმინე, ბატონო პრეზიდენტო, შეიძლება მოგმართოთ როგორც შვილს, იმიტომ, რომ ჩემი შვილის ტოლი ხართ და მართლაც შვილივით შემიყვარდით ამ ბოლო თვეების განმავლობაში... ჩემო შვილო, მოკლედ, ყურადღებით მომისმინე, მე დიდი გამოცდილება მაქვს ასეთ ამბებში. ახლა თქვენ რაც გაქვთ, ეს არის გამწვავებული ვითარება და არა კრიზისი. ძალიან გთხოვ, ყველაფერი გააკეთე იმისთვის, რომ ეს არ გადაიზარდოს კრიზისში. ძალიან გთხოვთ, ახლა თავი აარიდეთ შეიარაღებულ დაპირისპირებას და მოემზადეთ რამდენიმეთვიანი მშვიდობიანი შეტევისთვის“*** *(იქვე, გვ. 77).*

სააკაშვილს ძალიან კი უყვარს მუცელმეზღაპრეობა, მაგრამ მისთვის ფოთში **კოლინ პაუელის** ზარი აშკარად ლოგიკურად ჩანს! ანუ, როდესაც სააკაშვილი თავისი ესკორტით დაიძრა აჭარისკენ, ეს ასლან აბაშიძეს არამხოლოდ თბილისში მყოფმა მისმა მომხრეებმა და გულშემატკივრებმა შეატყობინეს, არამედ სააკაშვილის ხელისუფლების წევრებმა ამერიკელებთანაც აფრინეს ამბავი — სააკაშვილი აჭარაში წავიდა და რაღაც უბედურებაში არ გახვიოს ქვეყანაო!

და ეს რომ მართლაც სერიოზული პრობლემა იყო, იქიდანაც ჩანს, რომ იმ დილაუთენია ამერიკის სახელმწიფო მდივანს მოუწია საქმეში ჩარევა: **რა ძნელი მისახვედრი იყო, რომ სააკაშვილის ავანტიურა მოქმედებაში მოიყვანდა ბათუმში და სარფში განლაგებულ რუსულ სამხედრო ბაზებს და ამ ყველაფერს, დიდი ალბათობით, სისხლისღვრა მოჰყვებოდა!** ჰოდა, სწორედ ამის თავიდან ასაცილებლად დარეკა ვაშინგტონიდან **კოლინ პაუელმა,** რომელმაც ათი ათასი კილომეტრის იქით მყოფმა პირადად იკისრა ამ **აბსოლუტურად უპასუხისმგებლო ავანტიურისტი სააკაშვილის** დაშოშმინება!

ამის შემდეგ სააკაშვილი, რომ იტყვიან, პირდაპირ აღიარებითი ჩვენებების ფრქვევას იწყებს:

***„მე არც ვაპირებდი სამხედრო შეტევას, მითუმეტეს, რომ სამხედრო ძალები იმ მომენტისათვის საერთოდ არ გვყავდა“*** *(იქვე, გვ. 78).*

როგორც ხედავთ, სააკაშვილი იმას კი არ ნანობს, რომ თავისი პრეზიდენტობიდან ორიოდე თვეში ქვეყანა კინაღამ ახალ სამოქალაქო ომში გახვია, არამედ ერთგვარი სინანულით ამბობს, მაშინ სამხედრო ძალები საერთოდ არ გვყავდაო!

და იქვე, სააკაშვილის მეორე „აღიარებითი ჩვენება“ — როგორ ჩაერთო საქმეში თურქეთი:

***„ჩვენ ფოთში დავბანაკდით და იქ ოპერატიული შტაბი შევქმენით... ფოთში საგანგებო შტაბი რომ შევქმენით, იმხანად ძალიან დაგვეხმარნენ თურქები. რამდენიმე დღეში ჩამოვიდა თურქეთის დელეგაცია თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ხელმძღვანელობით, რომელმაც კატეგორიულად განუცხადა ასლან აბაშიძეს, რომ თბილისს თუ დაუპირისპირდებოდა, მას თურქეთის მხარდაჭერის იმედი არ უნდა ჰქონოდა. რომ ისინი მთლიანად ემხრობოდნენ საქართველოს ხელისუფლების სრული კონტროლის აღდგენას აჭარაზე“*** *(იქვე, გვ. 78).*

## დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, სააკაშვილი ვერც კი ხვდება, რა დაწერა! როდესაც ჩვენ წლების მანძილზე ვაცხადებდით, სააკაშვილმა აჭარა თურქეთს მიჰყიდაო, აგერ ბატონო, თვით სააკაშვილმა აღიარა, რომ თურქეთი აქტიურად მონაწილეობდა „აჭარის აბაშიძისაგან გათავისუფლებაში“!

თურქეთი ამას იმიტომ კი არ აკეთებდა, რომ გული შესტკიოდა საქართველოს სახელმწიფოს სისუსტეზე და დედაქალაქთან ერთ-ერთი რეგიონის ურჩობაზე — არა! **თურქეთს აჭარიდან ასლან აბაშიძის მოშორება სურდა, რადგან ეს ის აბაშიძე იყო, რომელმაც თურქეთს ცხვირი არ შეაყოფინა აჭარაში! და იმიტომაც არ შეაყოფინა, რადგან კარგად იცოდა, მაგათ ერთი ფეხი თუ შემოდგეს აჭარაში, შემდეგ ყველაფერს მიისაკუთრებენო!**

ჰოდა, სააკაშვილის ეს სიტყვები: **„თურქები მთლიანად ემხრობოდნენ საქართველოს ხელისუფლების სრული კონტროლის აღდგენას აჭარაზე“** — არის ამ ეგრეთ წოდებული „აჭარის რევოლუციის“ მთავარი გასაღები!






## როგორ გათქვა სააკაშვილმა თურქეთი – „აჭარის აბაშიძისგან გათავისუფლების“ სპეცოპერაციის ერთ-ერთი ორგანიზატორი!

## ასლან აბაშიძის აჭარიდან განდევნის შემდეგ 18 წელი გავიდა და ამ 18 წელში აჭარა, პრაქტიკულად, თურქეთის კონტროლის ქვეშ გადავიდა!

აი, ვინ აღადგინა სრული კონტროლი აჭარაზე!

სააკაშვილის ხელით!

*გიორგი გიგაური*

*გაგრძელება იქნება*

# თინათინ გოცაძე: ფრთხილად! მსოფლიოს მოსახლეობას „ვაქცინაციური შიდსი“ დაემუქრა!

*„სადღეისოდ უკვე არსებობს მყარი მტკიცებულებები, რომ კოვიდვაქცინების მწარმოებელმა დიდმა ფარმაცევტულმა კომპანიებმა მომაკვდინებელი პრეპარატების გავრცელებით მიზანმიმართული და საშინელი თაღლითობა ჩაიდინეს!“* ***— ამ სკანდალური სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი ექიმმა, ფიზიოლოგმა, მედიცინის აკადემიურმა დოქტორმა***

***თინათინ გოცაძემ:***






— ამ თაღლითური და დანაშაულებრივი მაფიის სრული მასშტაბები უკვე ვლინდება და აშკარა გენოციდად ფასდება. როგორც თავად ამერიკული გამოცემები წერენ, **ამ კრიმინალური შეთქმულებისა და მომწამვლელი ოპერაციის საშინელ შედეგებს ამერიკელი მოქალაქეები უკვე იმკიან.** მე კი გეტყვით — არამხოლოდ ამერიკელი მოქალაქეები, მთელი მსოფლიოს და, მათ შორის, საქართველოს მოსახლეობაც, დგას რეალური საფრთხის წინაშე, რადგან **ფაიზერი, მოდერნა და ჯონსონ და ჯონსონი,** როგორც Big Pharma კომპანიების პროდუქცია, არაერთ ქვეყანაში გამოიყენეს ადამიანების დაავადებისა და გაწირვის ხარჯზე.

**რნმ**-ტექნოლოგიის საფრთხეებზე ექსპერტები ჯერ კიდევ ვაქცინაციის დაწყებამდე საუბრობდნენ, მათი აზრით, აცრილი პირების ორგანიზმი იმუნოდეფიციტის გამო ელემენტარულ ინფექციასთან გამკლავებასაც ვეღარ შეძლებდა, დაიწყებოდა შეუქცევადი ცვლილებები, რაც, სამწუხაროდ, უკვე სახეზეა!

**— კოვიდვაქცინები ხომ იმუნიტეტის ასამაღლებლად იქმნება და იმუნოდეფიციტს რანაირად იწვევს?**

— პათოლოგანატომმა, დოქტორმა **რაიან კოულმა** ჯერ კიდევ 2021 წლის ივლისში დაასაბუთა კოვიდვაქცინების საფრთხეები და მომაკვდინებელი შედეგები. „თეთრი ხალათების“ სამიტზე, მოწინავე ამერიკელი ექიმების მიერ ტეხასში გამართულ კონფერენციაზე მან განაცხადა, რომ ვაქცინები კატასტროფულ ზიანს აყენებს ადამიანის ორგანოებს და ანგრევს იმუნურ სისტემას. აქვე შეგახსენებთ, რომ ორგანიზმში შეყვანილი ე.წ. ვაქცინების დანიშნულება სწორედ „სპაიკ-ცილების“ ინტენსიურად გამომუშავებაა. **დოქტორ კოულის** განმარტებით, ადამიანის ორგანიზმის უჯრედებს გააჩნიათ Toll-ის მსგავსი რეცეპტორები (TLR), რომლებიც ახდენენ კლასიფიცირებას, არის თუ არა ორგანიზმისათვის მავნებელი ესა თუ ის უცხო სხეული. ვაქცინები სწორედ ამ რეცეპტორთა „გამოთიშვას“ იწვევს, რის შედეგადაც ირღვევა იმუნური სისტემისათვის გამაფრთხილებელი ნატიფი მექანიზმი, რომელიც უმნიშვნელოვანესია არამხოლოდ ვირუსებთან და ბაქტერიებთან ბრძოლისათვის, არამედ ორგანიზმში ონკოლოგიური პროცესების კონტროლისათვის. „სპაიკ-ცილას“, როგორც ტოქსინს, მწყობრიდან გამოჰყავს ორგანიზმის სარეგულაციო მექანიზმები. დღეს მეცნიერები ცდილობენ, გაარკვიონ, ვაქცინაციის შემდეგ რა დროის მანძილზე რჩება იმუნური სისტემა დათრგუნვილ მდგომარეობაში და რამდენად ხანგრძლივად „ითიშება“ TLR-რეცეპტორები.

საყურადღებოა Daily Expose-ის ინფორმაციაც, რომ ვაქცინები იწვევს **იმუნოდეფიციტს.** სტატია ეფუძნება გერმანელი მკვლევარების ანალიზს, რომლის მიხედვითაც, სრულად ვაქცინირებული გერმანელების იმუნური სისტემა საშუალოდ 87 პროცენტითაა დეგრადირებული აცრის ვადებზე დამოკიდებულებით. „ომიკრონის ტალღის“ პერიოდში **რობერტ კოხის** ინსტიტუტმა გამოაქვეყნა მონაცემები, რომელთა თანახმად, **სრულად ვაქცინირებულ გერმანელებს საშუალოდ 87,7 პროცენტით დაბალი იმუნური პასუხი ჰქონდათ ახალ ომიკრონ-ვარიანტზე არავაქცინირებულებთან შედარებით.** „ეს იმას ნიშნავს, რომ საშუალო გერმანელს იმუნური სისტემის მხოლოდ 12,3 პროცენტი აქვს დარჩენილი გარკვეული კლასის ვირუსებთან და გარკვეული სახეობის სიმსივნეებთან გასამკლავებლად“, — აცხადებს „Daily Expose“.

გაერთიანებული სამეფოს ჯანდაცვის უსაფრთხოების სააგენტოს (UKHSA) მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ ვაქცინის მესამე დოზა განსაკუთრებულად ანადგურებს იმუნურ სისტემას, ხოლო წლის ბოლოს გერმანიისა და ბრიტანეთის 30 წელს გადაცილებულ სრულად ვაქცინირებულ მოქალაქეებს სრულმასშტაბიანი „ვაქცინაციური შიდსი“ ექნებათ!

**— რა მდგომარეობაა ვაქცინირებულ ბრიტანეთსა და კანადაში?**

— ბრიტანეთი, აშშ და კანადაც შემაშფოთებელ სტატისტიკას ავრცელებენ, რომ ვაქცინებს აქვთ უარყოფითი და ლეტალური ეფექტი ონკოლოგიური გართულებებისა და შიდსის კუთხით. მასშტაბურ კვლევაზე დაყრდნობით მიღებული შედეგები მოწმობს, რომ კოვიდვაქცინები ანადგურებს ბუნებრივ იმუნურ სისტემას, ხელს უშლის ორგანიზმის მიერ ანტისხეულების გამომუშავებას არამხოლოდ კორონავირუსის, არამედ ვირუსის სხვა ნაწილების წინააღმდეგაც. როგორც ირკვევა, აცრილ პირებში ვერ ხდება ვირუსის გარსის მიერ სხვა ცილების მიმართ ანტისხეულების გამომუშავება მაშინ, როცა ეს ეფექტი აქტიურად ვლინდება არავაქცინირებულებში. შოტლანდიის საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის (Public Health Scotland) სტატისტიკით, ვაქცინირებულთა შორის გარდაცვალების შემთხვევები ორჯერ აღემატება არავაქცინირებულთა შორის არსებულ მაჩვენებლებს. 120 000 პირის მონაცემთა საფუძვლიანი ანალიზითა და გარდაცვალების მიზეზთა შესწავლით, ისინი ასკვნიან, რომ ვაქცინა აზიანებს იმუნურ სისტემას, ხოლო ვაქცინირებულ პირებს უვითარდებათ შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი, რაც არავაქცინირებულ მოსახლეობასთან შედარებით, ბევრად ზრდის მათი გარდაცვალების რისკს.

კოვიდვაქცინების მიერ გამოწვეულ იმუნოდეფიციტზე ყურადღებას ამახვილებს არაერთი მეცნიერი.




**ვაქცინებად გასაღებული გენ-მოდიფიცირებული პრეპარატები აცრილთა ორგანიზმში იწვევს შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომის ანალოგიურ მდგომარეობას, რომლის დროსაც დასუსტებული იმუნური სისტემა ვეღარ ასრულებს თავის ფუნქციას და ადამიანი ინფექციურ და სიმსივნურ პათოლოგიათა მსხვერპლი ხდება.**

**— ვარაუდობთ, რომ ვაქცინაციის გამო სიმსივნური დაავადებები მოიმატებს?**

— 2021 წლის 4 დეკემბრის მონაცემებით, კანადაში 22,2 მილიონი ადამიანი, სულ მცირე, ორჯერადად არის აცრილი. არადა, ოფიციალური სტატისტიკით, კანადის მოსახლეობა 38,01 მილიონს შეადგენს. **ვაქცინირებული მოსახლეობის იმუნური სტატუსის მაჩვენებელთა შეფასებით ირკვევა, რომ სრულად ვაქცინირებული კანადელის იმუნური სისტემა ვირუსებთან და ონკოლოგიურ პროცესებთან საბრძოლველად იმუნური სისტემის დარჩენილ 18,45 პროცენტს იყენებს.** აი, რა საგანგაშო შედეგები მოუტანა კანადის მოსახლეობას ვაქცინაციამ. CDC-ის მონაცემებით, 2008 წლიდან 2020 წლამდე პერიოდში აშშ-ში 1,72 მილიარდი გრიპის ვაქცინა გამოიყენეს, **კოვიდ-19**-ის პერიოდში კი — 2022 წლის 28 იანვრის ჩათვლით, აშშ-ში გაკეთდა 549,9 მილიონი დოზა კოვიდვაქცინა.

**ამ ფონზე გასამმაგდა კიბოს ზოგიერთი ფორმით (საშვილოსნოს ყელის კიბო, სწორი ნაწლავის, თავისა და კისრის სიმსივნეები) დაავადების შემთხვევები.**

ექსპერტთა დასკვნით — ვაქცინები ასუსტებს იმუნურ სისტემას და ანადგურებს თანდაყოლილ იმუნურ პასუხს იმგვარად, რომ ის ვეღარ ებრძვის ვერც პათოგენებს და ვეღარც სიმსივნეთა გამომწვევ ინფექციებს.

**— რას გვეტყვით იმ კვლევაზე, რომელიც „მეცნიერების საშინელებად“ შეფასდა?**

— ეს მართლაც საშინელებაა, იმდენად აღმაშფოთებელი შედეგებია, რომ დიდ ძახილის ნიშანს უსვამს ყველაფერს! მოგეხსენებათ, ამ კვლევის თანახმად, „სპაიკ-ცილა“ აღწევს უჯრედების ბირთვში, 90 პროცენტით თრგუნავს დნმ-ის აღდგენის მექანიზმს, იწვევს იმუნოდეფიციტს, სიმსივნეებს, აუტოიმუნურ დაავადებებს და აჩქარებს ქსოვილთა დაბერების პროცესს. **კვლევის ავტორები არიან სტოკჰოლმის უნივერსიტეტის ვენერ-გრენის ინსტიტუტის, მოლეკულური ბიოლოგიის კათედრისა და შვედეთის უმეოს უნივერსიტეტის ვირუსოლოგიისა და კლინიკური მიკრობიოლოგიის კათედრის მეცნიერები.** ეს გრანდიოზული კვლევა აჩვენებს, რომ ვაქცინებით პროვოცირებული „სპაიკ-ცილები“ არღვევს დნმ-ის აღდგენის პროცესს და იწვევს მნიშვნელოვან დეფექტებს, თრგუნავს T და B ლიმფოციტების პროდუქციას, რაც, საბოლოო ჯამში, განაპირობებს იმუნოდეფიციტს. როგორც კვლევის ავტორები აცხადებენ, იმუნური სისტემის ფუნქცია ვაქცინირებულებში ყოველკვირეულად დაახლოებით 5 პროცენტით სუსტდება. „სპაიკ-ცილების“ მიერ **დნმ**-ის აღდგენის მექანიზმთა დარღვევა და ხშირ შემთხვევაში ამ რეპარაციული პროცესების განადგურება სიმსივნური პათოლოგიის აღმოცენებას უწყობს ხელს, რის შედეგადაც ქსოვილებში ჩქარდება დაბერების პროცესები და მოკლდება ორგანიზმის სიცოცხლის ხანგრძლივობა. ამ ყველაფერს ორგანიზმში სწორედ რნმ-ვაქცინების შეყვანის შემდეგ წარმოქმნილი საშინელი ტოქსინები იწვევს, ის „სპაიკ-ცილები“, რომელთა მიმართ გამომუშავებულმა ანტისხეულებმა ვითომდა კოვიდინფექციისაგან უნდა დაიცვას ადამიანები.

ყოველივე ამის შემდეგ როგორ უნდა ამტკიცოს ვინმემ, რომ ვაქცინა გადარჩენის საშუალებაა და მისი სარგებელი რისკებს აღემატება?

**„კოვიდვაქცინების მწარმოებელმა დიდმა ფარმაცევტულმა კომპანიებმა მომაკვდინებელი პრეპარატების გავრცელებით მიზანმიმართული და საშინელი თაღლითობა ჩაიდინეს!“**

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***

## „დანის პირზე გადიხართ!“

იმერეთში ვიზიტისას საქართველოს პრემიერ-მინისტრ **ირაკლი ღარიბაშვილს** მოსახლეობამ მხარდაჭერა გამოუცხადა და მადლობა გადაუხადა ქვეყანაში მშვიდობის გამო.

**„დანის პირზე გადიხართ, არ შეგეშინდეთ, ხალხი თქვენ მხარესაა. თავისუფლება ცოცხალ ადამიანებს სჭირდებათ და ჩვენ სიცოცხლე უნდა შევინარჩუნოთ. თქვენ ამისთვის იბრძვით“,** — მიმართა **წყალტუბოელმა ქალბატონმა** ირაკლი ღარიბაშვილს.



## დენის კოშელნიკი: თუ „აზოვის“ ბიჭები სადმე წააწყდებიან არესტოვიჩს, თავ-ყბას დაულეწავენ!

ბლოგერი **დენის კოშელნიკი** სოციალურ ქსელში ვიდეომიმართვას ავრცელებს და პრეზიდენტის ოფისის მრჩეველს **ოლექსი არესტოვიჩს** გაკეთებული განცხადებების გამო აკრიტიკებს.

**„მინდა, მოგიყვეთ ჩემი გუშინდელი საუბრის შესახებ აზოვის პოლკის ერთ-ერთ მებრძოლთან, რომელიც ახლა მარიუპოლში, „აზოვსტალის“ ქარხნის ტერიტორიაზე იმყოფება.** ის ადამიანი თავის სამშობლოს, უკრაინას იცავს და მზადაა, მას სიცოცხლე შესწიროს. ის შოკშია იმ დამოკიდებულების გამო, რომელიც აქვთ ქვეყნის დამცველებთან იმ ადამიანებს, ვინც ხელისუფლებაში არიან. **მან დაჟინებით მთხოვა, გადამეცა არესტოვიჩისთვის, თუ „აზოვის“ ბიჭები მას სადმე წააწყდებიან, იმ სისულელისა და ბოდვის გამო, რომლებსაც მისი ტკბილი ბაგეები გადმოსცემენ, თავ-ყბას დაულეწავენ...“,** — განაცხადა დენის კოშელნიკმა.





## გამარჯვების დროშა ღია კოსმოსში

„როსკოსმოსის“ კოსმონავტებმა **დენის მატვეევმა** და **ოლეგ არტემიევმა,** რომლებიც მუშაობდნენ საერთაშორისო ორბიტული სადგურის გარეთ, ღია კოსმოსში მოდულ „ნაუკაზე“ დიდ სამამულო ომში გამარჯვების დროშა გაშალეს.

რუსმა კოსმონავტებმა ეს აქცია საბჭოთა არმიის ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების წლისთავს მიუძღვნეს.



## ტატო გრიგალაშვილი და ლუკა მაისურაძე ევროპის ჩემპიონები გახდნენ!

ქართველმა ძიუდოისტმა **ტატო გრიგალაშვილმა** ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატში გაიმარჯვა და ევროპის ჩემპიონის ტიტული მეორედ მოიპოვა. 81 კგ წონით კატეგორიის ფინალში ქართველმა სპორტსმენმა ბელგიელ **მათიას კასთან** რევანში აიღო.

საქართველო ასახელა ძიუდოისტმა **ლუკა მაისურაძემაც,** რომელმაც ოქროს მედალი 90 კგ წონით კატეგორიაში მოიგო.

აღსანიშნავია, რომ ევროპის ძიუდოს კავშირმა გასული წლის საუკეთესო მწვრთნელად საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცი **ლაშა გუჯეჯიანი** დაასახელა.






*„1 მაისს 87 წელი გავიდა ინჟინერ* ***ვლადიმერ ჯიქიას*** *აივანზე მომხდარი ინციდენტიდან, დიდ რეჟისორ* ***სანდრო ახმეტელსა*** *და საქართველოს სსრ ცკ-ის იმჟამინდელ პირველ მდივან* ***ლავრენტი ბერიას*** *შორის მომხდარმა, ფაქტობრივად, ახმეტელის ბედი გადაწყვიტა!“* ***— ამბობს ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი გუბაზ მეგრელიძე და იხსენებს შეხვედრას ვლადიმერ ჯიქიას მეუღლე თინათინ სვანიძესთან, რომელმაც წლების წინათ პირადად უამბო მას ამის შესახებ:***





გუბაზ მეგრელიძე:

# ვლადიმერ ჯიქიას მეუღლემ თინათინ სვანიძემ პირადად მიამბო, მათი აივნიდან როგორ შეაგინა სანდრო ახმეტელმა ლავრენტი ბერიას!

— ეს ინციდენტი ლავრენტი ბერიასა და სანდრო ახმეტელს შორის 1935 წლის 1 მაისს ყორღანოვის ქუჩაზე **(დღევანდელი ქიაჩელის ქუჩა)** მოხდა, სადაც ერთმანეთის მოპირდაპირე შენობებში ცხოვრობდნენ ინჟინერი **ვლადიმერ ჯიქია** და **ლავრენტი ბერია.** ბინა ორივეს მესამე სართულზე ჰქონდა და მათი აივნებიც ერთმანეთს გაჰყურებდა. იმ შენობაში, სადაც ბერია ცხოვრობდა, თავდაპირველად ამიერკავკასიის კომსაბჭო იყო განთავსებული, შემდეგ საცხოვრებლად გადააკეთეს და, ძირითადად, შინსახკომის თანამშრომლები შეასახლეს. თბილისელები მას ხიდებიან სახლს უწოდებდნენ, რადგან მობინადრენი ქუჩიდან სადარბაზომდე მისაღწევად პატარა ხიდზე გადადიოდნენ და დღესაც ასეა. ამ შენობაში ბერიას გარდა ცხოვრობდნენ **ნიკოლოზ რუხაძე, ირაკლი ნიბლაძე, პაპულია ორჯონიკიძე** და სხვა პარტიული პირები. მოგვიანებით აქ დასახლდა **ალექსი ინაურიც.**

**— გაიხსენეთ შეხვედრა ვლადიმერ ჯიქიას მეუღლე თინათინ სვანიძესთან, რომელმაც პირადად გიამბოთ 1935 წლის 1 მაისს ახმეტელსა და ბერიას შორის მომხდარი უსიამოვნების შესახებ...**

— **თინათინ სვანიძემ,** რომელიც უშუალოდ შეესწრო ამ ამბავს, მითხრა: „1935 წლის 1 მაისს, დღესასწაულის შემდეგ, ჩვენს ბინაში საზეიმო სუფრასთან, ტრადიციულად, იკრიბებოდნენ ჩემი მეუღლის მეგობრები. იმ დღესაც ჩვენთან იყვნენ **ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, სოლიკო ვირსალაძე, გოგი ელიავა** და პროფესორი **ზოზო ნანეიშვილი** მეუღლესთან ერთად. სადღესასწაულო სუფრის მოლოდინში სტუმრები აივანზე დასხდნენ. ამ დროს სახლში დაუპატიჟებლად გვეწვია ჩვენ მოპირდაპირედ მცხოვრები **ავქსენტი რაფავა,** რომელიც იმხანად შინსახკომის უფროსი და ბერიას ნდობით აღჭურვილი პირი იყო. ცოტა ხნის შემდეგ თავის აივანზე გამოვიდა ლავრენტი ბერიაც და ჩემს მეუღლეს — **ვლადიმერ ჯიქიას** რუსულად დაუძახა: —Володя, иди ко мне в гости! ჩემმა მეუღლემ უპასუხა: — Видите, у меня гости. Вы пожалуйте! მოღუშულმა ბერიამ გამოსძახა: — Я туда не приду, და თითით **სანდრო ახმეტელზე** მიანიშნა, რომელმაც ბერიას თითი შენიშნა და ქიზიყურად შეაგინა.

**კონსტანტინე გამსახურდიამ** შენიშვნა მისცა, ჩვენი ლავრენტის — ცეკას მდივნის, ასე მოხსენიება არ შეიძლებაო. ბერიამ ახმეტელის გინება გაიგო. **ავქსენტი რაფავა** კი, რომელიც ბერიას დავალებით სპეციალურად იყო მოგზავნილი სტუმრების განწყობის გასაგებად და საუბრის მოსასმენად, ბოლო სტუმრის წასვლამდე სუფრასთან იჯდა“. აი, ეს მიამბო **თინათინ სვანიძემ.** ფაქტობრივად, იმ საღამოს გადაწყდა ახმეტელის ბედიც!

**— იმ დღეს რუსთაველის თეატრის დასი სცენაზე რომელ სპექტაკლს წარმოადგენდა?**

— იმ საღამოს რუსთაველის თეატრში ახმეტელის სპექტაკლი **„ანზორი“** ითამაშეს, სცენაზე **აკაკი ხორავა** იდგა, მეორე დღეს, 2 მაისს — **„ინ ტირანოს“** (ტირანების წინააღმდეგ), 3 მაისს — **„ნაბიჭვარი“.** თითქოს ახმეტელი რუსთაველის თეატრის აფიშებიდანაც კი ბერიას უტევდა. ზემოხსენებული ინციდენტიდან ოთხ დღეში, 5 მაისს, გამოქვეყნდა საგანგებო განცხადება, რომ რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელი **სანდრო ახმეტელი** მიწვეულია მოსკოვის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკთან არსებული თეატრის დირექციაში (დიდი საზაფხულო თეატრი). ამ თეატრში ახმეტელმა **„ოიდიპოს მეფე“** უნდა დადგასო. ხაზგასმულად აღინიშნა დადგმის დასრულების თარიღიც — აგვისტოს შუა რიცხვები. ესე იგი, ახმეტელს სასწრაფოდ უნდა დაეტოვებინა თბილისი და მოსკოვში გამგზავრებულიყო. ის ვერც იფიქრებდა, რომ თეატრალურ მოღვაწეობას სწორედ მოსკოვის „მწვანე თეატრში“ დაასრულებდა და 1936 წლის 19 ნოემბერს ამ თეატრისკენ მიმავალ გზაზე დააპატიმრებდნენ.

**— ცნობილია თუ არა ახმეტელის განწყობა ბერიასთან დაკავშირებული ინციდენტის შემდეგ?**

— ერთი ირონიული პასაჟი შემიძლია მოვიყვანო. ახმეტელმა რუსთაველის თეატრის დირექციის სახელით გამოაქვეყნა განცხადება: **იყიდება ქართული აგური** (ნახმარი) **50 ათასი ცალი და დაინტერესებულმა პირმა რუსთაველის თეატრის დირექციას მიმართოსო.** ჩემთვის უცნობია, რისთვის დასჭირდა სანდრო ახმეტელს აგურების გაყიდვა, თან განცხადების გამოქვეყნება თეატრის სახელით, რადგან ეს იყო 1935 წელი და ყველაფერი, რაც კი თეატრის დირექციას უნდა გაეყიდა, სახელმწიფოს-



ვლადიმერ ჯიქია



თინათინ სვანიძე



გოგი ელიავა



ზოზო ნანეიშვილი



სოლიკო ვირსალაძე


ლავრენტი ბერია

დიაში მოწვეული იყო **სანდრო ახმეტელის შვილიშვილი, მუსიკათმცოდნე მანანა ახმეტელი.**

**— ბრძანეთ.**

— მიუხედავად იმისა, რომ სანდრო ახმეტელის დამსახურებაზე უამრავი წერილი და კვლევა დაიბეჭდა, მასზე მაინც არასწორი ინფორმაციები ვრცელდება. გადაცემის წამყვანები **ლიზა ბაგრატიონი და გიორგი შარვაშიძე** მოუმზადებელნი აღმოჩნდნენ. შარვაშიძემ განაცხადა: **„ახმეტელმა რეფორმები გაატარა მსახიობთა დასისთვის, განათებისთვის, სადადგმო ნაწილისთვის, კოსტიუმების მხრივ** სათავეს იღებს **მეფე ერეკლე მეორის სასახლის** კარის თეატრიდან, რომელიც 1850 წელს **გიორგი ერისთავმა** აღადგინა. ამ თარიღს — 14 იანვარს ყოველწლიურად ვზეიმობთ. მუდმივმოქმედი დასი შეიქმნა **ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, დიმიტრი ერისთავისა** და სხვა მოღვაწეთა თაოსნობით. **ამდენად, ახმეტელი ქართული თეატრის დამაარსებელი კი არა, კოტე მარჯანიშვილთან ერთად ახალი ქართული თეატრის შემქმნელია.**


იყიდება ქართული აგური
(ნახმარი)
დაახლოებით 50.000 ცალი აგური.
პირობების გაგებისათვის მიმართეთ
რუსთაველის თეატრის დირექციას
ტელეფონი: 3-55-87.
ნ. 134

თან თანხმდებოდა. ვფიქრობ, ეს იყო ერთგვარი გამოწვევა-გზავნილი.

**— დაკითხვის ოქმებში ვინ ისაუბრა ახმეტელისა და ბერიას ამ კონკრეტულ დაპირისპირებაზე?**

— ამის შესახებ ისაუბრა **კონსტანტინე გამსახურდიამ,** რომელიც 1955 წლის 5 მარტს დაკითხეს. მან განაცხადა — მოწმე ვიყავი, როდესაც ახმეტელმა ითავხედა და ბერიას მისამართით უწმაწური სიტყვები თქვაო. გამსახურდიას არ დაუმალავს, რომ ახმეტელს შენიშვნა მისცა — ბერია ცენტრალური კომიტეტის მდივანია და ვალდებული ვართ, მისი ავტორიტეტი დავიცვათო.

შეგახსენებთ,

**იმ აივანზე მყოფთაგან 1937 წელს ივლისში თავი მოიკლა პაოლო იაშვილმა, იმავე წელს დახვრიტეს სანდრო ახმეტელი, ვლადიმერ ჯიქია, ტიციან ტაბიძე, გოგი ელიავა და ზოზო ნანეიშვილი. გადარჩნენ მხოლოდ ორნი – კონსტანტინე გამსახურდია და სოლიკო ვირსალაძე, რომელიც მაშინ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მთავარი მხატვარი იყო.**

აქვე ჩემი აზრი მინდა, გამოვთქვა 16 აპრილს საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში გასულ სიუჟეტზე, სადაც სტუ**— პროფესიად აქცია ეს, არ იყო გადმოღება და ასლი“.** სანდრო ახმეტელის რეფორმა კი მდგომარეობდა მის რეჟისორულ სტილში, რაც ეროვნული ფორმის ძიებაში გამოიხატებოდა. არ არსებობს ცნება კოსტიუმების რეფორმა. კოსტიუმებისა და დეკორაციების ესკიზებს მხატვარი **ირაკლი გამრეკელი** ქმნიდა. განათება და სადადგმო ნაწილი სპექტაკლის ტექნიკური მხარეა და გაურკვეველია, ამ გადაცემის წამყვანი კონკრეტულად რას გულისხმობდა? ახმეტელს რეჟისურა პროფესიად არ უქცევია, კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით თავად გახდა დიდი რეჟისორი, მანამდე კი პირველი პროფესიონალი რეჟისორების სახელები ქუხდა: **ალექსანდრე წუწუნავა, აკაკი ფალავა, მიხეილ ქორელი და ვალერიან შალიკაშვილი.** ამავე გადაცემაში ითქვა — მანამდე სპექტაკლები უბრალო ასლს წარმოადგენდა, რაც ქართული თეატრის ისტორიის სრული უცოდინრობის გამოხატულება იყოო. გამოდის, **კოტე მარჯანიშვილი** ასლებს დგამდა? მსგავსი უპასუხისმგებლობა წარმოუდგენელია. **ლიზა ბაგრატიონმა** სანდრო ახმეტელი ქართული თეატრის დამაარსებლად გამოიყვანა, არადა, პროფესიული თეატრის ისტორია


პაოლო იაშვილი


კონსტანტინე გამსახურდია


ტიციან ტაბიძე

რაც შეეხება სანდრო ახმეტელის შვილიშვილ **მანანა ახმეტელს,** საკუთარი პაპის შემოქმედებაზე ზედაპირული წარმოდგენა აქვს. მან თქვა — ახმეტელის წინააღმდეგ საქმე 1924 წლიდან იკერებოდაო. სინამდვილეში, პოლიტსამმართველოში ახმეტელის საქმე 1922 წლიდან დაიწყო პოლიტიკური არასანდოობის მიზეზით, ხოლო შემდეგ — 1923 წელს რეჟისორი **კოტე აფხაზის** ჯგუფთან ერთად იქნა დაპატიმრებული. დახვრეტისაგან იხსნა კოტე მარჯანიშვილმა (ამ ფაქტის ამსახველი **დავით ჩხეიძის** მოგონება პირველად მე გამოვაქვეყნე). 1924 წლიდან უკვე მსახიობებზე შეადგინეს საქმეები. ქალბატონი მანანა ამბობს, რომ 1935 წლის 25 ივნისს ბერიასთან ჩატარებული თათბირის „რაღაც“ სტენოგრამები გააჩნია, თუმცა, ეს მასალა მას არა აქვს, რადგან პირველად მე მოვიპოვე და ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ (1990 წლის №1) გამოვაქვეყნე, თანაც ეს თათბირი ჩატარდა არა 25 ივნისს, არამედ 25 ივლისს. უფრო მეტიც, ახმეტელი თეატრის ხელმძღვანელი იყო, მაგრამ მუზეუმის დაარსების ორგანიზატორი იყო **ია ქანთარია.** ქალბატონმა მანანამ არც ის იცის, რომ ახმეტელის საქმე 20 ტომისაგან კი არა, 11 ტომისაგან შედგება. ამასთან, მექანიკურად იმეორებს ახმეტელის სტანდარტულ ბრალდებებს, რაშიც ყველა რეპრესირებულს ედავებოდნენ და წარმოდგენა არა აქვს იმ რეალობაზე, რის გამოც ახმეტელი დააპატიმრეს. მანანა ახმეტელი იმავდროულად იმეორებს სხვების მიერ შეთხზულ მითს, თითქოს დაპატიმრებული დიდი რეჟისორი მარჯანიშვილისა და რუსთაველის თეატრების წინ გაატარეს. ყველა ფაქტს, რომელსაც კი ახმეტელზე გიზიარებთ, ვამყარებ სათანადო დოკუმენტაციით, ხოლო გადაცემაში მოყოლილი ისტორია ცნობილი ტრაფარეტული ფრაზებით გადმოსცეს და მაყურებელი შეცდომაში შეიყვანეს.

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიცაშვილი***



## შუა თითი ზელენსკის!

დასავლური მედიასაშუალებები უკრაინის პრეზიდენტ **ვოლოდიმირ ზელენსკის** გმირად წარმოაჩენენ და ცდილობენ, ვითარება ისე დახატონ, თითქოს მას ყველა უკრაინელი უპირობოდ უჭერს მხარს, მაგრამ საწინააღმდეგოს მოწმობს უკრაინის პარლამენტში რამდენიმე თვის წინათ მომხდარი ინციდენტი: **რადას დეპუტატმა გეო ლეროსმა — პრეზიდენტის ყოფილმა მრჩეველმა და მმართველი პარტიის ყოფილმა წევრმა** — პროტესტის ნიშნად საპარლამენტო ტრიბუნიდან შუა თითი უჩვენა ზელენსკის, რომელიც დაპირებების შეუსრულებლობაში დაადანაშაულა.



## რუსებმა ოდესის რაიონში სამხედრო აეროპორტი დაბომბეს

რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა ოდესის რაიონში „ონიქსის“ ტიპის მაღალი სიზუსტის რაკეტებით დაბომბეს და მწყობრიდან გამოიყვანეს სამხედრო აეროპორტის ასაფრენ-დასაფრენი ზოლი, რომელიც გამოსაყენებლად უვარგისი გახდა.

ამასთანავე, სამხედრო აეროდრომზე განადგურებულია ანგარი, რომელშიც ინახებოდა აშშ-იდან და ევროპიდან გამოგზავნილი იარაღი და საბრძოლო მასალები.

მასმედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, რუსეთის შეიარაღებულ ძალებს სურთ, ოდესაზე იერიში მიიტანონ ყირიმიდან.



## საქართველოში მიწისძვრა მოხდა

დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტისა და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, **1 მაისს, 23 საათსა და 35 წუთზე, საქართველოში მიწისძვრა მოხდა.** ეპიცენტრი იყო დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ **ირგანჩაისთან.** მისი სიმძლავრე 5.3 მაგნიტუდას შეადგენდა. ბიძგები იგრძნობოდა თბილისშიც.




## დასავლეთი სანქციების დაწესებით გამოწვეულ ზარალს ითვლის

ექსპერტები ევროპაში ფასების მატებას ვარაუდობენ. ინფლაცია შეეხება პირველადი მოხმარების საგნებსაც კი. მათი აზრით, რაც უფრო შეეცდებიან პოლიტიკოსები სიმართლის დამალვას, მით მეტად დაარტყამს კრიზისი მომხმარებელთა ჯიბეს. **ყველაზე ძლიერად ევროკავშირის ქვეყნები ენერგეტიკულმა კრიზისმა დააზარალა, მათ შორის, პოლონეთი, რომელსაც რუსეთმა ბუნებრივი აირის მიწოდება შეუწყვიტა საფასურის რუბლებში გადახდაზე უარის თქმის გამო.** მნიშვნელოვნად გაძვირდა საწვავი გერმანიაში, საფრანგეთსა და ავსტრიაში. ექსპერტთა გათვლებით კომპანიებმა, რომლებმაც დატოვეს რუსული ბაზარი, უკვე 127 მილიარდი დოლარი დაკარგეს.



**— ჩვენმა თანამშრომელმა ფიზიოლოგმა საინტერესო რამ გვიამბო. ეკატერინბურგში კონფერენციაზე ერთი აკადემიკოსი გამოვიდა და მსმენელებს ცნობილი ფაქტი შეახსენა: ადამიანი შეიძლება დააჰიპნოზო, ის უკან, წარსულში ბრუნდება და ისევ განიცდის, რაც ოდესღაც მომხდარა, თან დაწვრილებით აღწერს ყველაფერს, თითქოს ეს ახლა ხდებოდეს. ჰოდა, მეცნიერებმა ასეთი ექსპერიმენტის ჩატარება გადაწყვიტეს: ადამიანი დააჰიპნოზეს და წარსულში კი არა, მომავალში გაამგზავრეს, ერთი კვირით წინ. და მან დაიწყო მოყოლა, სად იმყოფება, აღწერა ადგილი, სიტუაცია, გარემო (მერე ეს ყველაფერი აღარ ახსოვდა). ეს ჩანაწერი შეინახეს და ერთი კვირის შემდეგ შეამოწმეს — ის ამ დროს მართლაც სწორედ იმ ადგილას და იმ სიტუაციაში აღმოჩნდა, რომელიც დაწვრილებით აღწერა ჰიპნოზის ქვეშ ყოფნისას. ცდა მრავალგზის გაიმეორეს სხვა ადამიანებთან — ისინიც აწმყოში განიცდიდნენ იმას, რაც მომავალში უნდა მომხდარიყო. შემოწმებისას ყველაფერი ემთხვეოდა. მაშინ ერთი ადამიანი ჰიპნოზის ქვეშ ოცდაათი წლით წინ გააგზავნეს. საოცარია, რომ მან არამარტო სიტუაციის აღწერა დაიწყო, არამედ ხმაც შეეცვალა — ბებრული, ჟღრიალა გაუხდა, სახე დაუმახინჯდა, მოკლედ, მოხუცად გადაიქცა (სამწუხაროდ, მის მიერ აღწერილი სიტუაციის შესამოწმებლად ოცდაათი წელი ლოდინი მოგვიწევს). ეს ცდები აჩვენებს, რომ მომავალი უკვე არსებობს. მაგრამ ნუთუ ყველაფერი წინასწარ განსაზღვრულია? და თუ ადამიანს მომავალში გავამგზავრებთ, სადაც მას სიკვდილი მოელის, შეძლებს თუ არა რაიმეს შეცვლას ახლა, აწმყოში? ხომ არ არღვევს ეს ექსპერიმენტები სამყაროს კანონებს?**



## სერგეი ლაზარევი

# კარმის

*დასაწყისი იხ.2021 წლის „ა-დ“ №23-52, 2022 წლის „ა-დ“ №3-18*

**ცნობიერების დამუხრუჭებას სიკვდილიც უწყობს ხელს. ამიტომ ბევრ ადამიანს კლინიკური სიკვდილის შემდეგ ახალი ნიჭი ეხსნება, მათ შორის, ნათელმხილველობისა, ეცვლება მსოფლმხედველობა და ხასიათი!**



— სტატია წავიკითხე, რომელშიც შემდეგი ამბავი იყო აღწერილი: ერთი დიპლომატი ნიუ-იორკიდან მოსკოვში უნდა გაფრენილიყო. ღამით სიზმარში ნახა, რომ ზღვის ნაპირზე იდგა პალმის გვერდით და ამბობდა: **„რა შესანიშნავი ხედია“.** მეორე დღეს კენედის აეროპორტიდან მოსკოვს გაემგზავრა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ გადმოსცეს, რომ ავდარი ახლოვდებოდა და თვითმფრინავი სხვა აეროპორტში დააბრუნეს, ოღონდ ბევრად უფრო სამხრეთით. მგზავრები სასტუმროში დააბინავეს. დილით ეს კაცი მეგობართან ერთად სასტუმროდან გამოვიდა, ზღვას მიუახლოვდა, პალმასთან დადგა და სიზმარში ნათქვამი ფრაზა წარმოთქვა. სურათი დაემთხვა. მას ყველაფერი გაახსენდა. არსებობს ასეთი ფენომენი, რომელსაც **„კოსმოსის ჩურჩული“** ეწოდება. კოსმონავტებს ორბიტაზე უცნაური რამეები ემართებათ. მაგალითად, უცებ ცხადად გრძნობენ, რომ წარსულში იმყოფებიან, მრავალი ასწლეულის ან ათასწლეულის წინ. ერთმა მათგანმა საკუთარი თავი აშკარად დაინახა კოლბოხებზე მხტუნავ და საკბილოს მაძებარ დინოზავრად.

სხვათაშორის, ამასწინათ მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ადამიანის ფარისებრი ჯირკვლები ყოფილი ლაყუჩებია. ემბრიონს ლაყუჩები თანდათან გარდაექმნება ამ ჯირკვლებად. მაშ ასე, **საკუთარი წარსულის ხედვის ფენომენი საკმაოდ გავრცელებულია.** მაგრამ ზოგიერთი კოსმონავტი მომავალსაც ხედავს. ერთ-ერთი მათგანი ყვებოდა, რომ ორბიტაზე ყოფნისას იცოდა, რა შეემთხვეოდა, იცოდა, რომ მამამისი მალე მოკვდებოდა. მაგრამ ამაზე ლაპარაკი სახიფათო იყო. ცნობილი მკურნალი **ედგარ კეისი** რეკომენდაციებს ჰიპნოზის მდგომარეობაში იძლეოდა. ერთხელ მისმა ნაცნობებმა ექსპერიმენტი ჩაატარეს: ჯანმრთელობის კი არა, უახლოესი ლატარიის მომგებიანი ნომრების შესახებ ჰკითხეს. ყველა ნომერი დაემთხვა, **კეისის** კი რამდენიმე დღე საშინლად სტკიოდა თავი.

**ძველ ინდურ ფილოსოფიაში წარსული და მომავალი ხშირად ერთი სიტყვით აღინიშნება.** მიჩნეულია, რომ მომავალი ფაქიზი დონეა, ხოლო აწმყო — უხეში. ანუ **მომავალი აწმყოში არსებობს. მის დასანახავად აწმყოს უნდა გამოვეთიშოთ, რომელთანაც ცნობიერება გვაკავშირებს.** ცნობიერების შეჩერება ქვეცნობიერების სხვადასხვა ფენაში შეღწევის საშუალებას იძლევა. ცნობიერებაც და ქვეცნობიერებაც ემოციებს უკავშირდება. ხოლო ნებისმიერი ემოცია სიტუაცია ან, უფრო სწორად, სიტუაციათა ერთობლიობა გახლავთ. რამდენადაც ჩვენი გრძნობები სივრცისა და დროსაგან შედგება, შეგვიძლია, დროის მსვლელობა ვმართოთ, შევცვალოთ, ესე იგი, სივრცისა და სიტუაციის შეცვლაც ძალგვიძს. აწმყოს შეცვლა მომავალზე ზემოქმედებით შეიძლება. მომავლის დანახვა შეგვიძლია, მაგრამ მისი მართვისათვის კიდევ უფრო ფაქიზ დონეს უნდა მივაღწიოთ.

როდესაც კოსმონავტი ორბიტაზეა, მისი ცნობიერება ყველა მიწიერ პრობლემას სწყდება. ის თითქოს იკუმშება, მუხრუჭდება. და მაშინ ქვეცნობიერების ინფორმაცია გაიხსნება. მათი აღრევა არ შეიძლება, რადგან ცნობიერებამ შეიძლება ვერ გაუძლოს და ბუშტივით გასკდეს. ჩვენი ცნობიერება სხეულს, მის ფუნქციებს უკავშირდება. როდესაც ადამიანი ჭამას, მოძრაობას, ლაპარაკს, ფიქრს, ურთიერთობას წყვეტს, ცნობიერების შეჩერება გაცილებით უადვილდება. ცნობიერების დამუხრუჭებას სიკვდილიც უწყობს ხელს. ამიტომ **ბევრ ადამიანს კლინიკური სიკვდილის შემდეგ ახალი ნიჭი ეხსნება, მათ შორის, ნათელმხილველობისა, ეცვლება მსოფლმხედველობა და ხასიათი.**

ერთხელ ინდოეთში მომხდარი საინტერესო შემთხვევის შესახებ წავიკითხე. ყვებოდა ადამიანი, რომელსაც იქიდან ნაირნაირი საქონელი ჩამოჰქონდა გასაყიდად. ერთხელაც ჯგუფს, რომელთან ერთადაც ინდოეთში ჩაფრინდა, თავისუფალი ნახევარი დღე გამოუჩნდა. მათ შეიტყვეს, რომ მეზობელ სოფელში ნათელმხილველი ფაკირი ცხოვრობს, ცნობისმოყვარეობამ სძლიათ და ექსკურსიაზე წავიდნენ. ეს კაცი ხმელ-ხმელ მოხუცს მიუახლოვდა და სთხოვა, მის მომავალზე ეამბნა. მოხუცს უცნაური რეაქცია ჰქონდა. **„ამას გავაკეთებ, — უთხრა მან, — მაგრამ ერთი პირობით — ფეხებს დამბან და ამ წყალს დალევ“. „აზარტმა შემიპყრო, — ყვებოდა მამაკაცი, — და დავთანხმდი“.** მან ნაბანი წყალი დალია. მოხუცმა თითით მიიხმო და უთხრა: **„ახლა შენს წინა სიკვდილებს ნახავ“.** იმავე წამს კაცს ცნობიერება დაებინდა და საკუთარი თავი ბრძოლის დროს დაინახა. მოულოდნელად გული ისარმა გაუგმირა და იგრძნო, რომ კვდებოდა. მერე წამიერად გონება გაუნათდა და თავისი მომდევნო სიკვდილი იხილა. და ასე რამდენჯერმე, სანამ ისევ აწმყოში არ აღმოჩნდა. მოხუცი შესცქეროდა და კეთილად უღიმოდა. „ახლა კი გაჩვენებ, როგორ მოკვდები ამ ცხოვრებაში“. კაცმა ხელები გაასავსავა: „ასეთი რამეების ცოდნა ჩემთვის ჯერ ადრეა“. მაშინ მოხუცმა რამდენიმე მოვლენა ამცნო, რომლებიც შემდგომში მართლაც მოხდა. ამის ახსნა ვერავინ შეძლო.

რა მოხდა სინამდვილეში? — მომავლის შეცვლა. როგორ? — მამაკაცი, რომელიც ბიზნესს მისდევდა, თავის კეთილდღეობას ისე მიეჯაჭვა და საკუთარ სურვილებზე იმდენად კონცენტრირდა, რომ ამან მის სულს ავნო და ფაქიზ სტრუქტურებს საფრთხე შეუქმნა.

უკვე გითხარით, რომ **არსებობს წინასწარდასახული სიკვდილი, რომლის გადავადება და შეცვლა შეუძლებელია. მაგრამ არსებობს ისეთი სიკვდილიც, რომლის დაყოვნება და შეცვლა შეიძლება.** უზენაესი კანონების დაურღვევლად ამ მამაკაცის გადარჩენა შესაძლებელი იყო. ამისათვის მისი სული დამოკიდებულებებისგან უნდა მოეწყვიტათ და მისი ბედი და სურვილები დაემცირებინათ. ფაკირმა ნებაყოფლობით დამცირების შანსი მისცა, როდესაც ფეხის ნაბანი წყლის დალევა აიძულა. ფეხები ბედს უკავშირდება. ეს საკუთარი ბედის დამცირების მიღებას ნიშნავდა. კაცს უარი რომ ეთქვა, ეს სახიფათო იქნებოდა. ამ დამამცირებელი პირობის მიღებამ სიცოცხლესა და სურვილებს მოწყვიტა. თავისი სიკვდილების გავლამ ეს მოწყვეტა გააძლიერა. როდესაც მოხუცმა მომავალი სიკვდილი ახსენა, კაცი მიხვდა, რამდენად ილუზორული იყო გამდიდრების, მაძღარი ცხოვრების სურვილი. სწორედ ამან იხსნა მისი სიცოცხლე. ესე იგი, **აწმყოსა და წარსულის მიმართ დამოკიდებულების შეცვლით გარკვეულწილად ჩვენს მომავალს ვცვლით.** რაც უფრო ღრმად ხდება ემოციური ცვლილებები, მომავლის შეცვლის მით მეტი შესაძლებლობა გვაქვს.

ძველ აღთქმაში გვხვდება მოთხრობა ნინევიაზე — ქალაქზე, რომელსაც ყველა მის მცხოვრებთან ერთად დაღუპვა ჰქონდა ნაწინასწარმეტყველევი. როდესაც ქალაქელებმა ეს ამბავი გაიგეს, ცოდვები მოინანიეს, ლოცვა და უფლისათვის მიტევების თხოვნა დაიწყეს. და ღმერთმა ნინევიელებს საშინელი უბედურება ააშორა და შეიწყალა ისინი. ადამიანებში ცვლილებები უნდა მომხდარიყო, მაგრამ ისინი არა სიკვდილისა და ნგრევის, არამედ მონანიების გზით მოხდა, არა ზედაპირულად, არამედ — სიღრმისეულად.

**რატომ არის საშიში საკუთარი მომავლის ცოდნა? რატომ აქვს ყველა რელიგიას უარყოფითი დამოკიდებულება მკითხავებისა და მჩხიბავების მიმართ? იმიტომ, რომ მომავლის მართვა შესაძლებელია, მაგრამ თუ ამ დროს ადამიანი არ იცვლება, სამყაროს ფუნდამენტური კანონები ირღვევა და ამ კანონთა დამრღვევი იღუპება.** თუ მომავალს ვხედავთ და ამ დროს შიშს, გულგატეხილობას, ბედით უკმაყოფილებას განვიცდით, ფაქიზ სტრუქტურებს ზიანს ვაყენებთ და მომავალს ვანგრევთ, თანაც არა მარტო საკუთარს. და რაც უფრო წყენია და ვნე-

## კვირგვინოსნები

**მამა შალვა კეკელია**

*თბილისის ვაკის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის ტაძრის წინამძღვარი*



სამჯერ მაქვს ნანახი, **როგორ სწორდება მაცხოვრის საფლავზე ზეციდან ჩამომავალი სხივი და ზუსტად მაშინ გადმოდის ცეცხლი.** სანთელს რომ მოუკიდებთ, უზარმაზარი ალი აქვს. **წვერზე მოვისვი ის ცეცხლი და თმა არც კი შეიტრუსა.**

„სარკე“

**მაია ბარათაშვილი**

*ჯაზის მომღერალი*



**არასდროს მქონია იდეაფიქსი, რომ აუცილებლად შემექმნა ოჯახი.** უნდა გითხრათ, რომ შესაფერის ადამიანსაც ვერ შევხვდი. ნამდვილად არ ვნანობ. **ზოგადად, მიყვარს მარტოობა და არ ვგრძნობ თავს დაჩაგრულად.**

„სარკე“

**ზაზა კორინთელი (ზუმბა)**

*მომღერალი*



**ჩვენი პირველი მტერი გაუნათლებლობაა.**

„ახალი თაობა“

**მანანა თოდუა**

*მომღერალი*



**ექსპერიმენტების არასოდეს მეშინოდა და არც ახლა მეშინია** — თმის შეჭრა, შეღებვა ჩემთვის არასოდეს იყო პრობლემა. **თავიც კი მქონდა გადაპარსული.**

„თბილისელები“

**ნუნუ გელაძე**

*მთარგმნელი*



ვინც დღეს **მეორე ფრონტის გახსნისაკენ** მოგვიწოდებს და გვამუნათებს, თავად არის წამსვლელი ამ ომში?!

„კვირის პალიტრა“

ბიანია ადამიანი, რაც მეტად არის მიჯაჭვული საკუთარ სხეულზე, სიცოცხლესა და სურვილებზე, მით უფრო სახიფათოა მისთვის მომავლის დანახვა და მით მეტ დანაშაულს სჩადის ნათელმხილველი, როდესაც მის დახმარებას ცდილობს.

ჩვენ გვაქვს ფიზიკური სხეული, რომელიც დროსა და სივრცეში არსებობს. მაგრამ, ამასთანავე, დროითი სხეულიც გვაქვს, რომელზეც გაცილებით ნაკლებად ვზრუნავთ, ვიდრე ფიზიკურზე. **როგორ უნდა ვიზრუნოთ დროით სხეულზე? — ის სიყვარულითა და ენერგიით უნდა ავავსოთ.** ამისათვის კი საჭიროა, გარკვეული დროით ფიზიკური სხეულის სურვილები მოვთოკოთ, მისი ფუნქციები დავამუხრუჭოთ. ყველაზე მეტ ენერგიას სექსუალური ფუნქცია მოიხმარს. ამიტომ წმინდანები, უპირველეს ყოვლისა, თავს სექსში იზღუდავდნენ. ენერგიის მძლავრი გადინება ხდება სინანულის, შიშის, გულგატეხილობის, სამყაროსა და საკუთარი თავისადმი პრეტენზიების დროს. საბოლოო ჯამში წყენაც, სინანულიც, ბედით უკმაყოფილებაც ღმერთისადმი პრეტენზიების ფარული ფორმა და ღვთაებრივი ნების მიუღებლობაა. ამიტომ სულისა და სხეულის სიჯანსაღის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი ღვთაებრივი ნების შინაგანად აბსოლუტური მიღებაა. **გაიხსენეთ, როგორ იწყება ლოცვა „მამაო ჩვენო“, რომელიც იესო ქრისტემ გვიბოძა. პირველი იმპულსი — უფლისადმი სიყვარული: „წმიდა იყავნ სახელი შენი“. მეორე იმპულსი — ღვთაებრივი ნების მიღება: „იყავნ ნება შენი ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქუეყანასა ზედა“.**

ყურანის სურებში ერთთავად ხაზი გაესმის: „**დიდ არს ალაი, ყოვლისშემძლე და გულმოწყალე“.** ისლამში ღვთაებრივი ნების მიღებას ყოველთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. მატერიალისტური დასავლეთი, რომელიც გამუდმებით საკუთარ სურვილებსა და ნებაზე კონცენტრირდება, საკმაოდ აქტიურად ამცირებს თავის დროით სხეულს და სიყვარულსა და ენერგიას ფიზიკური სხეულის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისკენ მიმართავს. **მატერიალისტური ცნობიერება თავს მშვენივრად გრძნობს, სანამ სულიერების რესურსები დახარჯული არ არის. ხოლო როდესაც დროითი სხეულიდან აღარაფერი რჩება (ამის ნიშნებია ზნეობის დაცემა, ჰომოსექსუალიზმი, ფულის თაყვანისცემა, ქალების უნაყოფობა და ა. შ.), მატერიალისტური ცნობიერება დამღუპველი ხდება.**

დროის სტრუქტურას დეტალურად არ აღვწერ — ეს სახიფათოა. ყველაფერს, რასაც შევიტყობთ, საკუთარი ემოციებით მოვსინჯავთ. და რაც უფრო სერიოზულია ინფორმაცია, მით უფრო სახიფათოა მისი მიღება მოუმზადებელი ადამიანისთვის. ამიტომ,

**ჩვეულებრივ, მნიშვნელოვანი ინფორმაცია დაშიფრულად გვეძლევა ზღაპრების, სიმღერებისა და იგავების სახით.**

ასეთი ინფორმაციის არაერთგვაროვანი განმარტება შეუმზადებელი ადამიანის ემოციურ კონტაქტს ბლოკავს და მას ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს უნარჩუნებს. კაცობრიობას უახლოეს ხანებში ცნობიერების ტრანსფორმაცია მოელის. კოსმოსი სულ უფრო გვიახლოვდება. ქვეცნობიერება უფრო და უფრო იხსნება. თითოეულ ჩვენგანს ნათელხედვის ნიჭი ემატება. ამისათვის მზად უნდა ვიყოთ.



# დიაგნოსტიკა

**— ყველაფერი ისე მივიღოთ, როგორც არის, თუ მიზნის მისაღწევად ვიბრძოლოთ?**

— ხშირად მეკითხებიან, ოცნება ადამიანისთვის მავნებელი ხომ არ არის. ბევრს მიაჩნია, რომ ღვთაებრივი ნების მიღება საკუთარი ნების მთლიანად დათრგუნვას, ესე იგი, სრულ პასიურობას, ყველა მისწრაფებასა და ბრძოლაზე უარის თქმას ნიშნავს. საიდან მოდის ეს შეცდომა? უბრალოდ, ღმერთი ღრუბლებზე დაბრძანებულ თეთრწვერა ბაბუად წარმოგვიდგენია. სხვა ადამიანის ნებისადმი სრული მორჩილება კი საკუთარი ნების ნგრევას ნიშნავს. თუ ამ სქემით ივლის, ადამიანი ან პასიური მორწმუნე გახდება, ან აქტიური და ენერგიული ათეისტი. პრობლემები ერთ შემთხვევაშიც ექნება და მეორეშიც და მათ საფუძვლად ღვთაებრივის არასწორი გაგება დაედება.

ყველანი შემოქმედიდან გამოვედით. ყოველი ცოცხალი არსება საკუთარ თავში ღმერთს ატარებს. ადამიანში ეს ყველაზე ძლიერ ვლინდება. ჩვენ გვაქვს ჩვენი ცხოველური ბუნებიდან გამომდინარე სურვილები, სურვილები, რომლებიც ადამიანური ბუნების რეალიზებას ახდენს და სურვილები, რომლებიც ჩვენი ღვთაებრივი არსიდან გამომდინარეობს. **ცხოველური სურვილის შეკავება სასარგებლო და აუცილებელია. ღვთაებრივისა — სახიფათო და მავნებელი.** ქალისადმი სიყვარულის გრძნობის დათრგუნვა არასწორია, მისდამი აღძრული სექსუალური ლტოლვის შეკავება კი — აუცილებელი.

ამასწინათ ერთი საინტერესო შემთხვევა მიამბეს. ქალს მამაკაცი შეუყვარდა. მათ რაღაც უთანხმოება მოუვიდათ. ქალს საყვარელ ადამიანთან დარეკვა უნდოდა, მაგრამ ამ სურვილს იხშობდა, და ხუთვები დაეწყო. მაშინ მან გადაწყვიტა, სიამაყე დაეძლია და კაცს დაურეკა. შეტევები მყისვე შეწყდა. **სიყვარული მართლაც კურნავს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის უწყვეტია, როდესაც მის შეჩერებას ან დათრგუნვას არ ვცდილობთ.** ადამიანი, რომელიც თავის ყველა სურვილს გამუდმებით თრგუნავს, ჩვეულებრივ, ზრდილი, წესიერი, მორცხვი, დაკომპლექსებულია. ის, ვინც სურვილების შეკავებაზე საერთოდ არ ზრუნავს, ყოველთვის ხალისიანი და ენერგიულია, ხშირად კი — წაითავხედებს. ჭეშმარიტება, როგორც ყოველთვის, შუაგულშია. სიყვარულისა არ უნდა გვრცხვენოდეს, არ უნდა გვეშინოდეს, მას არ უნდა ვმართავდეთ და არ უნდა გავურბოდეთ. რაც მეტია სიყვარული ჩვენს ოცნებებში, მით ენერგიულად უნდა განვახორციელოთ ისინი. ამიტომ ღვთაებრივი ნების აბსოლუტური მიღება უფლისადმი სიყვარულზე აბსოლუტურ კონცენტრაციას ნიშნავს. რაც მეტ ენერგიას გავცემთ, მით უფრო ვვითარდებით. მაგრამ თუ სამყაროს აქტიურად შეცვლას ჩვენი ცხოველური საწყისიდან გამომდინარე ვეცდებით, ეს ჩვენს ღვთაებრივ საწყისთან წინააღმდეგობას გამოიწვევს, უფლის ნების მიუღებლობის და მასთან ბრძოლის ტოლფასი იქნება. ხოლო თუ საკუთარი ცხოველური და ადამიანური საწყისების ენერგიულად რეალიზებისას ღვთაებრივის ურყევ პრიორიტეტს ვაღიარებთ, საშიში აღარაფერი იქნება.

**— ჩემი აზრით, თქვენი მეთოდით დღეს პრობლემის მოგვარება რომც მოვახერხოთ, გამოთავისუფლებულ ადგილს მომავლიდან მოსული ახალი, კიდევ უფრო მასშტაბური პრობლემები დაიკავებს. და ასე გაგრძელდება დაუსრულებლად! მაშ, რაღა საჭიროა ეს აჩქარება? რისთვისაა საჭირო მცირე პრობლემებზე გამარჯვება, რომ მერე თავს უფრო დიდი პრობლემები მოვიხვიოთ? იქნებ ჩვენთვის, წყნარად გვეცხოვრა?**

— „ტიტანიკის“ ეკიპაჟს“ ერთი პატარა პრობლემა ჰქონდა. ერთი მხრივ, მათ სისწრაფის რეკორდი უნდა დაემყარებინათ, მეორე მხრივ კი — ატლანტის ოკეანის ის ნაწილი გადაეცურათ, სადაც ბევრი აისბერგია. ამ პატარა პრობლემას გვერდი აუარეს, ამიტომ მერე უფრო დიდის მოგვარება მოუხდათ. ეს კი უკვე ვეღარ შეძლეს.

ყოველი ადამიანისათვის სიცოცხლეში პრობლემების განსაზღვრული რაოდენობაა განკუთვნილი, რომელთა მოსაგვარებლად აუცილებელია ღვთაებრივი ენერგიის გარკვეული მარაგი. ასე რომ, უსასრულობა არ გამოდის. ზოგიერთი გვეკითხება: რისთვის ვამრავლოთ უფლისადმი სიყვარული, თუკი მაინც უნდა მოვკვდეთ? ასეთი კითხვა მაშინ იბადება, როდესაც სიცოცხლის მიზანი და აზრი თავად სიცოცხლეა. მაშინ სიცოცხლის დასასრული დანარჩენს ყველაფერს აზრს უკარგავს. მაშ ასე,

**ნებისმიერი სიცოცხლის მიზანი და აზრი ბედნიერებაა. ბედნიერება კი ღვთაებრივი სიყვარულის ფსევდონიმია.**

მის გარეშე ბედნიერების ყველა ზედაპირული ნიშანი — ფიზიკური, სულიერი თუ გრძნობადი — არ არსებობს. ზოგი ბავშვი ამბობს: „რატომ უნდა წავიდე პირველ კლასში, სკოლა ხომ, სულერთია, მაინც დამთავრდება“. ასევე მსჯელობს ზოგიერთი მოზრდილი ადამიანიც: „რად მინდა სიცოცხლე, მე ხომ მაინც უნდა მოვკვდე“. ვუპასუხებ: სკოლაში იმისთვის ვსწავლობთ, რომ ცოდნა მივიღოთ, ხოლო ვცოცხლობთ იმისათვის, რომ სიყვარული ვისწავლოთ. **თუკი ჩვენს სულში სიყვარულის ნაკლებობაა, ყველაფერს წაგვართმევენ, რაც სიყვარულს ხელს უშლის, თვით სიცოცხლესაც კი.** უგუნურ ქალწულთა იგავში ქრისტე ამბობდა, რომ **ბედნიერი და უშფოთველი მხოლოდ ის შეიძლება იყოს, ვინც გამუდმებით ემზადება მოსალოდნელი განსაცდელისათვის. ყოველი ადამიანი თავის გზას თვითონ ირჩევს.**

## საეკლესიო კალენდარი

✝ **2 მაისი, ორშაბათი.** ღირსისა იოანე პალესტინის ძველი ლავრის ხუცესისა.

✝ **3 მაისი, სამშაბათი. მიცვალებულთა ხსენება;** ღირსისა თეოდორე ტრიქინასი.

✝ **4 მაისი, ოთხშაბათი. მღვდელმოწამისა ექვთიმესი, გაენათელი მიტროპლიტისა.**

✝ **5 მაისი, ხუთშაბათი.** ღირსისა თეოდორე სიკეოტისა, ანასტასიოპოლელი ეპისკოპოსის.

✝ **6 მაისი, პარასკევი. წმიდისა დიდებულისა, დიდმოწამისა, ძლევაშემოსილისა და სასწაულმოქმედისა გიორგისა;** მოწამისა დედოფლისა ალექსანდრასი; წმიდა კეთილმსახურ მეფე სოლომონ I-ისა.

✝ **7 მაისი, შაბათი.** მოწამისა საბა სტრატილატისა და მისთანა სამოცდაათთა მხედართა.




**6 მაისი - გიორგობა**

✝ **8 მაისი, კვირა. აღდგომიდან მე-3, მენელსაცხებლეთა დედათა კვირიაკე.** კეთილმსახურისა თამარისა, მეფისა ყოვლისა საქართველოისა; მცხეთის პატიოსანი ჯვრის აღმართება; წმიდისა დიდებულისა, ყოვლადქებულისა მოციქულისა და მახარებელისა მარკოზისა.

## კვირგვინოსნები



**ჰერმან საბო**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*

**„ქართულ ოცნებას“ რუსეთს თუ ეძახი,** მაშინ პრემიერს პარლამენტში კი არ უნდა იბარებდე, **მოლოტოვის კოქტეილებს უნდა აკეთებდე.**

„პირველი არხი“



**ლაშა ჩხარტიშვილი**
*ლეიბორისტული პარტიის წევრი*

ერთი კითხვა მაქვს: **ვინმე ხიდაშელი გარეჯის დაბრუნებას რომ გვპირდებოდა, რატომ ვერ დააბრუნა?!** რაჭის ტყეები რატომ აქვს მითვისებული?! ვინ არის ეს კაცი და რა უნდა?!

„ახალი თაობა“



**პაატა დავითაია**
*პარტია „ევროპელი დემოკრატების“ თავმჯდომარე*

ყველა სახელმწიფოს პატივს ვცემ, ვინც კი რუსეთის წინააღმდეგ იბრძვის, მაგრამ **სხვისი მოწოდებების გამო მე ჩემს ქვეყანას ხრამში ვერ გადავუშვებ.**

„ახალი თაობა“



**თათა გიორგობიანი**
*მომღერალი*

ხელფასიდან გარკვეულ ნაწილს ყოველთვის **ქველმოქმედებაზე ვხარჯავ** და მხოლოდ ამის შემდეგ ვარ მშვიდად.

„თბილისელები“



**პაატა ხარიძე**
*„ქუჩის ბიჭების“ წევრი*

არ ვარ ძუნწი, მაგრამ **„ქუჩის ბიჭებში“** ყველაზე ნაკლებად მე გავფლანგე ფული. ალბათ, ეს იმის გამოც მოხდა, რომ ჯგუფში ასაკით ყველაზე უფროსი ვიყავი.

„სარკე“



**თამუნა მუსერიძე**
*გადაცემა „ვეძებ“ წამყვანი*

**დედას ვეძებდი** და, მგონი, **მამას მივაგენი.**

„სარკე“

## მიხეილ ცაგარელი:

# მაისი არ იქნება მშვიდი და ერთგვაროვანი



*— მაისის პირველ ნახევარში ციურ სხეულთა როგორი კონფიგურაცია წარმოქმნის სერიოზულ წინააღმდეგობებს? ამ პერიოდში დაბნელებათა სერიის გამო რა რჩევები უნდა გავითვალისწინოთ? რომელ რიცხვებშია მოსალოდნელი განსაკუთრებით სახიფათო და არასასიკეთო ტენდენციები და დამანგრეველი ენერგიების ზემოქმედება, სავარაუდოდ, როდის მიაღწევს პიკს? როგორ აისახება შექმნილი ვითარება მოვლენებსა და ადამიანებზე და რა იქნება ამ დროს საუკეთესო გამოსავალი? თვის რომელი მონაკვეთი იქნება უფრო შედეგიანი, საინტერესო და ნაყოფიერი? რა და რა თვისებებს გაამახვილებს მეორე დეკადის დასაწყისში მზის გადანაცვლება კუროს ზოდიაქოდან ტყუპის ზოდიაქოს ნიშანში? თვის ბოლოს რეტროგრადული პლანეტა მერკური რა სირთულეს შექმნის და ამის გათვალისწინებით რას უნდა მოვერიდოთ? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.*

### 2-8 მაისის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
შემოსავლის გაზრდის მიზნით ინფორმაცია ყურადღებით შეამოწმეთ, მაგრამ პრეტენზიებს ნურავის წაუყენებთ. კოლეგებთან კონფლიქტსა და იმპულსურად მოქმედებას მოერიდეთ, რათა სერიოზული შეცდომები არ დაუშვათ. ოჯახური იდილიის შეგრძნების სურვილი მოიმატებს, ამიტომ პირად ცხოვრებაში დადებითი ცვლილებებია მოსალოდნელი. ძველი უსიამოვნებისგან გასათავისუფლებლად კი მიზანშეწონილია ქალაქგარეთ გამგზავრება და განმუხტვა.

**კურო** (21.04-20.05)
რთულ სიტუაციაში აუცილებელია არჩევანის გაკეთება, რაზეც დამოკიდებული იქნება თქვენი მომავალი კეთილდღეობა. საქმე დინჯად და თანამიმდევრულად შეასრულეთ და დიდ ხარჯს მოერიდეთ. ახალგაცნობილებთან სიფრთხილე გამოიჩინეთ. ახალი სასიყვარულო ურთიერთობის ჩამოყალიბებით ან არსებულის გაღრმავებით შინაგანი შიშებისგან გათავისუფლდებით. ახლო მანძილზე მოგზაურობა და დასვენება კი როგორც ჯანმრთელობაზე, ისე საქმეებზე სასიკეთოდ აისახება.

**ტყუპი** (21.05-22.06)
გაღიზიანება და მოუთმენლობის შეგრძნება გაგიძლიერდებათ. არასასიამოვნო ინფორმაციის გამო შესაძლოა, ნათესავებთან ან მეზობლებთან ურთიერთობა დაგეძაბოთ. პირად ურთიერთობაში მოსალოდნელია ინტრიგა, შანტაჟი ან სიცრუე, რაც შინაგანად მძიმე დაღს დაგასვამთ. განმუხტვისთვის იმ ადამიანებს დაუკავშირდით, რომლებთანაც ყველაფერზე დაუფარავად ისაუბრებთ და რჩევასაც მიიღებთ. ოჯახურმა გაუგებრობამ შესაძლოა, მოგზაურობას ხელი შეუშალოს.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
რთული პერიოდია, ამიტომ შეეცადეთ, მიზნები და სურვილები ზუსტად განსაზღვროთ. ახალი მოვალეობა ანდა ძველი სამსახური ბევრ დროს წაგართმევთ, მაგრამ უფრო შემოქმედებითი გახდება და თქვენს სოციალურ სტატუსს აამაღლებს. ოჯახში სიახლეებია მოსალოდნელი. ბავშვებსა და მათი განათლების საკითხს ამ პერიოდში მეტი ყურადღება დასჭირდება. საყვარელ ადამიანს რეალურ სიტუაციას ნუ დაუმალავთ და დახმარების თხოვნასაც ნუ მოერიდებით. მოგზაურობა კი ჯობს, გადადოთ.

**ლომი** (23.07-23.08)
კრიტიკისა და შენიშვნების მშვიდად მოსმენა გაგიჭირდებათ, ამიტომ კონფლიქტებია მოსალოდნელი არამარტო ოჯახის წევრებთან და კოლეგებთან, არამედ ქუჩაში გამვლელებთანაც. ეცადეთ, ემოციები მოთოკოთ და გული ისე არავის ატკინოთ, რომ ურთიერთობის გაგრძელება ველარ შეძლოთ. მოსალოდნელია რევიზია, ამიტომ ყველა საბუთი წესრიგში იქონიეთ. საყვარელ ადამიანთან გულახდილი საუბარი შინაგან დაძაბულობას მოგიხსნით.

**ქალწული** (24.08-23.09)
როგორც ახალი იდეები, ისე სამუშაოს რაოდენობა მოიმატებს, დახარჯული შრომის შედეგით კი ჯერჯერობით კმაყოფილი ვერ იქნებით, მიუხედავად ამისა, იგი დიდ წინსვლასა და მოგებას გპირდებათ. თუ დროულად შეძლებთ საჭირო ადამიანებთან საერთო ენის გამონახვას, ძველ პრობლემებსაც მოაგვარებთ. სასიყვარულო სფეროში მაღალია ილუზიების ალბათობა, თუმცა, კამათმა შესაძლოა, დიდი კონფლიქტი გამოიწვიოს. შორეული მოგზაურობა გადადეთ, რათა გზაში გაუთვალისწინებელი სირთულეები არ შეიქმნას.

**— ვარდობისთვეში რას უნდა ველოდოთ, როგორია ასტროლოგიური პროგნოზი?**

— მაისი მშვიდი და ერთგვაროვანი არ იქნება, რამეთუ კუროს ზოდიაქოში მზისა და პლანეტა ურანის შეერთება ტყუპის ნიშანში უკუმიმართულებით მოძრავ რეტროგრადულ მერკურთან ერთად სერიოზულ წინააღმდეგობებს წარმოქმნის. შექმნილ სიტუაციას დაამძიმებს პლანეტა **მარსის** დესტრუქციული ენერგიებიც. მით უფრო, რომ თვე დაიწყება **კუროს** ზოდიაქოში მყოფი **მზის დაბნელებით,** რასაც **16 მაისს მთვარის დაბნელებაც მოჰყვება. დაბნელებათა ამ კორიდორში სასურველია, არაფერი სერიოზული არ დავგეგმოთ და ყველა მნიშვნელოვანი საქმის განხორციელება გადავდოთ თვის მეორე ნახევრისათვის, როდესაც დედამიწის ბიოველი უფრო სასიკეთო კოსმოსურ ზონაში აღმოჩნდება.** ნიშანდობლივია, რომ **5-16 მაისის** შუალედში განსაკუთრებით სახიფათო და არასასიკეთო ტენდენციებია მოსალოდნელი. **დამანგრეველი ენერგიების ზემოქმედება თავის პიკს 8-13 რიცხვების შუალედში მიაღწევს.** დროის ამ მონაკვეთში მაღალი იქნება კატასტროფების, სტიქიური მოვლენების, ავარიებისა და ხანძრების ალბათობა. ამ პერიოდში სხვადასხვა უწყების თანამშრომელთა მიერ დაშვებული სავალალო შეცდომები, უსაფრთხოების წესების იგნორირება და გულგრილობა შესაძლოა, გახდეს ფატალური შეცდომის მიზეზი და დიდი უსიამოვნებანი გამოიწვიოს. **ნიშანდობლივია, რომ უკიდურესად სახიფათო სიტუაციები შეიძლება განვითარდეს ნავთობისა და გაზის დიდი კომპანიების ტერიტორიაზე, რასაც მოჰყვება ტექნოგენური კატასტროფები და ავარიები. ასევე საგრძნობლად გაიზრდება ავიაკატასტროფების, გზებზე ავტოავარიების, ელექტროგაყვანილობასთან დაკავშირებული უბედური შემთხვევების ალბათობაც.**

**— მაისის თვის ამ მონაკვეთში როგორი იქნება ვითარება და პლანეტების ადგილმდებარეობა ცის კაბადონზე და როგორ აისახება საერთო დაძაბულობა ადამიანებზე?**

— **მძიმე კოსმოსური ამინდი პირად ურთიერთობებზეც საკმაოდ არასასიკეთო ზეგავლენას მოახდენს. ეს უფრო საგრძნობი 11 მაისის შემდგომ გახდება, როდესაც პლანეტები ვენერა და იუპიტერი ვერძის** ზოდიაქოს ნიშანში გადაინაცვლებენ, ხოლო აგრესიული **პლანეტა მარსი თევზების** ზოდიაქოში პლანეტა **ნეპტუნს** შეუერთდება. ამ პერიოდში ადამიანებს გაუჭირდებათ ემოციებისა და აგრესიულობის მოთოკვა და გაკონტროლება. შესაბამისად, ვარდობისთვე შესაძლოა, დაიწყოს საოჯახო კონფლიქტებით, პირად ურთიერთობაში უსიამოვნებებით და მეგობრულ წრეში გაუგებრობებით. **ამგვარი ვითარებისას საუკეთესო გამოსავალი ხშირ შემთხვევაში იქნება რეგულარული ფიზიკური დატვირთვები, ფეხით სიარული, ბუნების წიაღში სეირნობა თუ საოჯახო საქმიანობა. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს დაგროვილი გადამეტებული ნეგატიური ენერგიის გარდაქმნას და სასიკეთო მიზნებისათვის მის გამოყენებას.**

**— როგორ განვითარდება მოვლენები 16 მაისის შემდეგ?**

**– 16 მაისიდან დედამიწის ბიოსფეროს მდგომარეობა შედარებით მშვიდი იქნება. ადამიანები უფრო მოუსმენენ ერთმანეთს, დიალოგისა და კომპრომისის დაშვების, დიპლომატიური მეთოდებით მოქმედების სურვილი გაჩნდება, ამიტომ 28 მაისამდე პერიოდი უფრო შედეგიანი, საინტერესო და ნაყოფიერი გახდება როგორც საქმიანი თანამშრომლობის, ისე პირადი ურთიერთობების თვალსაზრისით.**

**— რა და რა თვისებებს გაამახვილებს ადამიანებში მაისის მეორე დეკადის დასაწყისში მზის გადანაცვლება კუროს ზოდიაქოდან ტყუპის ზოდიაქოს ნიშანში?**

— **მზე 21 მაისს (05.24) გადაინაცვლებს რა კუროს ზოდიაქოს ნიშნიდან ტყუპის ზოდიაქოში, უახლოესი ერთი თვის მანძილზე ადამიანებში გააძლიერებს კომუნიკაბელურობას, გონებამახვილობას, საინტერესო ინფორმაციის მოძიებისკენ, შუამავლობისკენ, ახალი კონტაქტებისკენ, მოლაპარაკებისკენ, მოგზაურობისკენ მიდრეკილებას და ასევე გაორება-მერყეობას, ზედმეტ ცნობისმოყვარეობას, სულსწრაფობას, უყაირათობას, გულმავიწყობას, ზედაპირულობისა და ფლირტისკენ, ტყუილისა და ფეიკებისკენ მიდრეკილებასაც. 29 მაისიდან სიტუაცია ისევ გაუარესდება.** ნიშანდობლივია, რომ **კუროს** ზოდიაქოში მყოფი და რეტროგრადულად (უკუსვლით) მოძრავი გონებისა და ინტელექტის მმართველი პლანეტა **მერკური** ყველა სახის წამოწყებასა და ბიზნეს-პროექტს დაამუხრუჭებს. ამ პერიოდში უმჯობესი იქნება, მნიშვნელოვან ფინანსურ ოპერაციებს, შორეულ მოგზაურობას, ხელშეკრულების დადებას და საბუთებთან მუშაობას მოერიდოთ. გარდა ამისა, მაისის ბოლო სამი დღის განმავლობაში გახშირდება დაგვიანებები, ფორსმაჟორული სიტუაციები და მოულოდნელი კონფლიქტები გარშემო მყოფებთან.

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***

### 2-8 მაისის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
ემოციების გამო ცდუნებებზე უარის თქმა რთული იქნება. განსაკუთრებით ფინანსურ ავანტიურასა და ხრიკებს ერიდეთ. უსიამოვნებების თავიდან ასაცილებლად შესაძლოა, იდეოლოგია, მიზნები და შეხედულებები შეგეცვალოთ. სოციალური პირობების, სამსახურის ან პროფესიის ცვლილება შესაჩვევად რთული იქნება. მოგზაურობა ჯობს, გადადოთ და ჯანმრთელობას მეტი ყურადღება მიაქციოთ.

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
მუშაობისას ყველაზე თანამედროვე ტექნიკა და მეთოდები გამოიყენეთ. მიზნის მისაღწევად აუცილებელია ადრე დასახული გეგმის მშვიდად და გეგმაზომიერად შესრულება. შესაძლოა, ოჯახური ან პირადი პრობლემის გადაჭრა მოგიხდეთ, რომელიც საქორწინო ანდა სასიყვარულო ურთიერთობას დაუკავშირდება. ახლო მანძილზე მოგზაურობა განწყობას გამოგისწორებთ და შესაძლოა, სულიერი მასწავლებელი ან კარგი მრჩეველიც შეიძინოთ. ჯანმრთელობა კი მყარი გექნებათ.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
უეცარი მოვლენები უფრო მობილურს გაგხდით. საქმიანი შეხვედრები ახალი კავშირების დამყარებაში დაგეხმარებათ. საქმიან პარტნიორებთან გაურკვევლობა მატერიალურ მდგომარეობაზე აისახება. უცაბედი რომანტიკული ურთიერთობის გამო შესაძლოა, ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან უსიამოვნება მოგივიდეთ. შესაძლოა, მოგზაურობა ჩაიშალოს ან თქვენი გეგმები და მიზნები შეიცვალოს. გადაღლის შემთხვევაში აუცილებლად შეისვენეთ, რათა ორგანიზმს არ ავნოთ.

**თხის რქა** (22.12-19.01)
თავს ენერგიულად იგრძნობთ და შესაძლოა, ახალი საქმიანობაც დაიწყოთ. მშობლებთან და მათ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით შესაძლოა, პრობლემები წარმოიშვას. ფარული მტრები რეალურ სახეს დაგანახებენ, თუმცა, კრიზისულ სიტუაციასაც ადვილად დაძლევთ. სულიერი სიმშვიდისთვის ეცადეთ, შეუყვარებულს არ ეკონფლიქტოთ და კონტაქტებიც მინიმუმამდე შეამცირეთ. შორეული მოგზაურობა კი პოზიტიურად ჩაივლის.

**მერწყული** (20.01-18.02)
სახლთან და ოჯახთან დაკავშირებული საქმეების მოსაგვარებლად კარგი პერიოდია, თუმცა, კრედიტის აღება სასურველი არ არის. საბუთების სისწორეზე ყურადღება გაამახვილეთ და ოჯახის წევრებთანაც ნუ იკამათებთ, რადგან სურვილის ნებისმიერი ხერხით ასრულებას შესაძლოა, დაპირისპირება მოჰყვეს. გადაღლა კი ემოციურობას და გაღიზიანებას გაგიძლიერებთ. შორეული მოგზაურობა რეკომენდებული არ არის, მაგრამ აგარაკზე გამგზავრება და დასვენება ახალ ძალებს შეგმატებთ.

**თევზები** (19.02-20.03)
ახალ გარემოებებთან შეგუება არ გაგიჭირდებათ და ახალ პირობებში მუშაობაც მალე სასურველ შედეგს მოიტანს. საბუთების განხილვისას კი საჭიროა დაკვირვება. ყველა დეტალი ყურადღებით შეამოწმეთ და გადაწყვეტილებები აუღელვებლად და მშვიდად მიიღეთ. ახლო ნათესავებსა და საქმიან პარტნიორებს ყურადღება მიაქციეთ. მეგობრებს ეჭვით ნუ შეხედავთ, რათა ურთიერთობა არ გაიუარესოთ. ნებისმიერი მოგზაურობა კი ჯობს, გადადოთ.

## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია 3, 5 და 8 მაისი

**16 მაისი – სავსემთვარეობა და მთვარის დაბნელება (პიკი – 08.13);**
**30 მაისი – ახალმთვარეობა (პიკი – 15.30).**

# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 2 მაისი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 04.57 საათზე, ჩადის 19.00 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (14.48) ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 05.42 საათზე, ჩადის 20.47 საათზე (მთვარის მე-3 დღე იწყება 06.26 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 14.13 საათიდან 14.48 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს სიყვარულისა და ხელოვნების მმართველი პლანეტა **ვენერა** გადაინაცვლებს ვერძის ზოდიაქოში (28 მაისამდე), რაც პარტნიორულ ურთიერთობაში გააძლიერებს ინიციატივას, აქტიურობას, მებრძოლ სულისკვეთებას და ასევე სიჯიუტეს, სულსწრაფობას, ეჭვიანობას, ეგოისტურ-დიქტატორულ ტენდენციასაც. დღეს ჯობს, გეგმები არავის გაუმხილოთ. კარგი დღეა სწავლისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, შემოქმედებისთვის, ქორწინებისთვის, მგზავრობისთვის, უძრავი ქონების, სამშენებლო მასალის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, პარფიუმერია-კოსმეტიკის შესაძენად. საღამოს მოიმატებს ჭორების, ინტრიგის, სიცრუის ალბათობა. გონებას ზედმეტი ინფორმაციით ნუ გადატვირთავთ. არ არის სასურველი გარისკვა და სულსწრაფობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, ფილტვები, ბრონქები. **ქვები:** აქატი, მალაქიტი, ონიქსი. **საღამოს:** ტოპაზი, საფირონი. **პოზიტიური დღეა** ტყუპისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 3 მაისი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 04.55 საათზე, ჩადის 19.01 საათზე. **მთვარე** ტყუპის ზოდიაქოშია. ამოდის 06.13 საათზე, ჩადის 21.50 საათზე (მთვარის მე-4 დღე იწყება 06.44 საათზე. I ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** შრომისუნარიანობა იმატებს. ზედმეტი ამბიცია და აგრესიულობა გააკონტროლეთ. კარგია ურთიერთობა ცხოველებთან. მოერიდეთ უჰაერო სივრცეს. არ არის სასურველი სიმძიმის აწევა, ძილის წინ ინფორმაციით გონების გადატვირთვა, ალკოჰოლის მიღება, ქორწინება, ახალი თანამშრომლის მიღება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, ახალი საქმის დაწყება. კარგი დღეა კონტაქტებისა და მოლაპარაკებებისთვის, საბანკო ოპერაციებისთვის, სავაჭრო გარიგებებისთვის, მშენებლობისთვის, სწავლისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, ინფორმაციის მიღება-გადაცემისთვის. ამავდროულად, რთულდება არჩევანის გაკეთება. იმატებს ფლირტისკენ, ტყუილებისკენ მიდრეკილება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ფილტვები, ბრონქები, მხრები, ხელები. **ქვები:** ტოპაზი, აკვამარინი, ჰიაცინტი, ამაზონიტი, ბერილი, ლაბრადორიტი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის.

## 4 მაისი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 04.54 საათზე, ჩადის 19.02 საათზე. **მთვარე** ტყუპის ზოდიაქოშია. ამოდის 06.51 საათზე, ჩადის 22.48 საათზე (მთვარის მე-5 დღე იწყება 07.10 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 23.37 საათიდან 23.59 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს მაღალია ილუზიების, მოტყუების ალბათობა. უფრო პრაგმატულად იაზროვნეთ და იმოქმედეთ. კარგი დღეა საბუთების მოსაწესრიგებლად, სამეცნიერო კვლევისთვის, მოლაპარაკებებისთვის, ინფორმაციის გაცვლისთვის, საბანკო ოპერაციებისთვის, მგზავრობისთვის, მშენებლობისთვის, საქმიანი მიმოწერისთვის, საკომუნიკაციო აპარატურის შესაძენად. არ არის სასურველი უჰაერო სივრცეში ყოფნა, ახალი საქმის დაწყება. იმატებს ჭორების, ინტრიგების, გაკილვის ალბათობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ფილტვები, ბრონქები, მხრები, ხელები. **ქვები:** ტოპაზი, აკვამარინი, ჟადეიტი, ციტრინი, ამაზონიტი. **პოზიტიური დღეა** მერწყულისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 5 მაისი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 04.53 საათზე, ჩადის 19.03 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (03.06) კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 07.35 საათზე, ჩადის 23.41 საათზე (მთვარის მე-6 დღე იწყება 07.47 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 00.00 საათიდან 03.06 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** სასიამოვნო სიურპრიზების დღეა, ყურადღებით იყავით! ნეგატიური ემოციები დაითრგუნეთ. კარგი დღეა შემოქმედებისთვის, საოჯახო-სანათესაო ურთიერთობებისთვის, ხალხური რეწვის ნიმუშების შესაძენად. მცენარეების დარგვა-გადარგვისთვის, ვაჭრობისთვის, სველი წესით დასუფთავებისთვის, რაიმეს შესაძენად, კულინარიული საქმიანობისთვის, ფოტოგრაფირებისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, ბინისა და ადგილსამყოფლის შეცვლა, სესხის აღება. მაღალია ფინანსური შეცდომების ალბათობა, საბუთები ხელმოწერამდე კარგად შეამოწმეთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია მკერდი, კუჭი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი. **ქვები:** ზურმუხტი, აქატი, ოპალი, მარჯანი, ამეთვისტო, რაუხტოპაზი. **პოზიტიური დღეა** თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის.

## 6 მაისი, პარასკევი

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 04.52 საათზე, ჩადის 19.04 საათზე. **მთვარე** კირჩხიბის ზოდიაქოშია. ამოდის 08.26 საათზე, ჩადის 23.59 საათზე (მთვარის მე-7 დღე იწყება 08.38 საათზე. I ფაზა). **ტენდენციები:** დღეს ყოველ წვრილმანს დიდი მნიშვნელობა ექნება. ინტუიცია იმატებს, რაც ხელს შეუწყობს სხვა ადამიანის ქმედებების ჭეშმარიტი მოტივაციის ამოცნობას. კარგი დღეა შემოქმედებითი გეგმების განხორციელებებისთვის, საოჯახო ურთიერთობებისთვის, ხალხური რეწვის ნიმუშების შესაძენად, ბავშვის ჩასახვისთვის, სასამართლო პროცესის დასაწყებად, მცენარეების დარგვა-გადარგვისთვის, კულინარიული საქმიანობისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, ბინის შეცვლა, სესხის აღება. საბუთები ხელმოწერამდე კარგად შეამოწმეთ. მაღალია ფინანსური შეცდომების ალბათობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია კუჭი, მკერდი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი. **ქვები:** ზურმუხტი, ოპალი, აქატი, მარჯანი, ამეთვისტო. **პოზიტიური დღეა** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის. **ნეგატიურია** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 7 მაისი, შაბათი

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 04.50 საათზე, ჩადის 19.05 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (15.51) ლომის ზოდიაქოში. ამოდის 09.23 საათზე, ჩადის 8 მაისს 00.27 საათზე (მთვარის მე-8 დღე იწყება 09.42 საათზე). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 14.25 საათიდან 15.51 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს სხვებს ზედმეტად ნუ მიენდობით. გუშინდელი გეგმის განხორციელების შესაძლებლობა მოგეცემათ. დღეს შედეგიანი იქნება თვალებისა და ნერვული სისტემის მკურნალობა. კარგი დღეა შემოქმედებისთვის, საოჯახო-სანათესაო ურთიერთობებისთვის, ვაჭრობისთვის, ახალი სამსახურის დასაწყებად, მეგობრული კონტაქტებისთვის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, პარფიუმერია-კოსმეტიკის შესაძენად, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის. არ არის სასურველი ნერვიულობა, სიმძიმის აწევა, ქორწინება, ბინის შეცვლა, სესხის აღება. საღამოს — ხელშეკრულების დადება, ფინანსური გარიგება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია კუჭი, მკერდი, ღვიძლი, გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ზურმუხტი, მარგალიტი, რაუხტოპაზი. **საღამოს** — ბრილიანტი, ქარვა, სარდიონი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის.

## 8 მაისი, კვირა

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 04.49 საათზე, ჩადის 19.06 საათზე. **მთვარე** ლომის ზოდიაქოშია. ამოდის 10.25 საათზე, ჩადის 9 მაისს 01.06 საათზე (მთვარის მე-9 დღე იწყება 10.55 საათზე. I ფაზა). **ტენდენციები:** დღეს ნურაფერს დაგეგმავთ, თავისუფალი გრაფიკით იცხოვრეთ და დააკვირდით მოვლენების ცვალებადობას. წვრილმანს მეტი ყურადღება მიაქციეთ. მათ თქვენი გეგმების შეცვლა ძალუძთ. კარგი დღეა მეგობრული კონტაქტებისთვის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, ძვირფასი ნივთების, საჩუქრების შესაძენად, მშენებლობის დასაწყებად, კულტურულ-გასართობი ღონისძიებისთვის, ვიზიტებისთვის, თმის მოვლისთვის, სამკურნალო მცენარეების შესაგროვებლად. არ არის სასურველი ქორწინება, ნერვიულობა, ფიზიკური გადაღლა, სიმძიმის აწევა, ბინის შეცვლა, მცენარეების დარგვა-გადარგვა, პრეტენზიის გამოვლენა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, მთის ბროლი, სერდოლიკი, ქარვა, სარდიონი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

იყიდება 1000 კვ.მ.
კომერციული და
საოფისე ფართი
თბილისის მერიასთან,
იოსებიძეზე.
557 47 01 01

მაღაზია «ბუკვიცა»
ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს 1945 წლამდე.
მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.
574-73-46-96, 243-01-17
555-68-82-90



### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: **1. კამბალა; 6. კასია; 12. რანდა; 13. მტევანი; 14. ლასკალა; 15. პატიო; 16. მძივი; 17. ნამქერი; 18. ნეოგენი; 19. ლუარა; 20. სკოლა; 21. ლანგარი; 22. სინოდი; 25. რეიდი; 27. ვაცი; 29. მარინა; 32. მელომანი; 34. მოა; 35. შანდალი; 36. ლაგამი; 37. მარიჯანი; 41. ნეი; 42. ფიგარო; 45. ბოლერო; 46. გიგანტი; 47. ტუ; 48. რესტორანი; 49. კალია; 52. ამილაზა; 56. ფხა; 57. დინამიტი; 61. კომლი; 62. პრეტორია; 63. პო; 64. ნიკარაგუა; 65. ორბი; 66. შორაპანი; 67. ნო.**

შვეულად: **1. კოლონა; 2. მოსკოვი; 3. ამარეტო; 4. არამისი; 5. ანტილოპა; 6. კაპილარი; 7. სატრაპი; 8. ამონალი; 9. გერმანია; 10. საფერავი; 11. პირიქითა; 22. სტეკა; 23. ნიორი; 24. დრამა; 26. დომინო; 27. ვიში; 28. ცენტი; 29. მალიბუ; 30. რეგალია; 31. ნამარხი; 33. მადა; 37. მაგმა; 38. რაგბი; 39. ჯუნტა; 40. ნაირა; 42. ფესვი; 43. გნომა; 44. რვალი; 47. ტიფი; 49. კაკო; 50. ლემური; 51. ატიპია; 53. მარსო; 54. ლიტრა; 55. ზორბა; 57. დანი; 58. ნეკი; 59. მერი; 60. ტოგა; 63. პან.**

**ბატიკიევიტაბაკარაკენიაბელინიანგიომარიტორი**
**ფრესკალარგოლისტიქიაჩელინიკეისიცულიკანიონი**

| შინაური ფრინველი | უკრაინის დედაქალაქი | ბრტყლად შემწვარი ვარია | ე. ზოლა – „ტერეზა...“ | კაენის მსხვერპლი | დიდი ზომის ქვეწარმავალი | ზღვის დიდი კიბო | ნადირის თათი |
|---|---|---|---|---|---|---|---|

| ქსოვილის მოხატვის ტექნიკა | ფილმი მადონას მონაწილეობით | უმაღლესი ხარისხის ბროლი | აფრიკის სახელმწიფო | იტალიელი კომპოზიტორი | ერთგვარი სიმსივნე | მჭევრმეტყველი |
|---|---|---|---|---|---|---|



თარაზულად: 1. ზღვის ბრტყელი თევზი; 6. ბიზანტიელი პოეტი ქალი; 12. გრძელი შალაშინი; 13. ხელის ნაწილი მაჯიდან თითის წვერამდე; 14. საოპერო თეატრი მილანში; 15. შიგნითა პატარა ეზო იტალიაში; 16. ყელის სამკაული; 17. ქარისგან შეგროვილი თოვლი; 18. დედამიწის ისტორიის მესამეული პერიოდის მეორე ნახევარი; 19. მდინარე საფრანგეთში; 20. საშუალო სასწავლებელი; 21. სინი; 22. პატრიარქის სათათბირო ორგანო; 25. მოულოდნელი შემოწმება; 27. მამალი თხა; 29. სურათი ზღვის ხედით; 32. მუსიკის დიდი მოყვარული; 34. გადაშენებული მორბენალი ფრინველი; 35. სასანთლე; 36. აღვირის ნაწილი; 37. ქართველი მწერალი ქალი; 41. ნაპოლეონის მარშალი; 42. პ. ბომარშეს სევილიელი დალაქი; 45. ქალის მოკლე, უსახელო ტანსაცმელი; 46. ძალიან დიდი, უზარმაზარი; 47. რუსული თვითმფრინავების მარკა; 48. კარგად მოწყობილი, ძვირფასი სასადილო; 49. ნათესების მავნებელი მწერი; 52. დიასტაზი; 56. თევზის ძვალი; 57. ასაფეთქებელი ნივთიერება; 61. სოფელში ცალკე მცხოვრები ოჯახი; 62. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის დედაქალაქი; 63. მდინარე იტალიაში; 64. ცენტრალური ამერიკის სახელმწიფო; 65. მტაცებელი ფრინველი; 66. სოფელი ზესტაფონის რაიონში; 67. იაპონური თეატრი.

შვეულად: 1. შენობის მაღალი სვეტი, რომელსაც ეყრდნობა ჭერი; 2. რუსეთის დედაქალაქი; 3. იტალიური ლიქიორი; 4. ა. დიუმას ერთ-ერთი მუშკეტერი; 5. მცოხნელი ძუძუმწოვარი ცხოველი; 6. წვრილი სისხლძარღვი; 7. თვითნება დესპოტი მმართველი (გად.); 8. ასაფეთქებელი ნივთიერება; 9. ევროპის სახელმწიფო; 10. ქართული ყურძნის ჯიში; 11. პირიქით მდებარე; 22. მოქანდაკეების ხის საჭრისი იარაღი; 23. ბოსტნეული; 24. სცენაზე დასადგმელად განკუთვნილი ლიტერატურული ნაწარმოები; 26. სამასკარადო სამოსი; 27. ფრანგული მინერალური წყალი; 28. აშშ-ის დოლარის მეასედი; 29. ქალაქი კალიფორნიის შტატში; 30. მეფის ხელისუფლების მანიშნებელი საგანი; 31. გადაშენებული ცხოველის ნაშთი დედამიწის ფენებში; 33. იშტა; 37. ვულკანური მასა; 38. სპორტის სახეობა; 39. ქალაქის მმართველობა იტალიაში; 40. ნიგერიის ფულის ერთეული; 42. მცენარის ერთ-ერთი მთავარი ორგანო; 43. აფორიზმი; 44. იგივეა, რაც ბრინჯაო; 47. გადამდები დაავადება ძლიერი ციებ-ცხელებით; 49. ი. ჭავჭავაძე — „... ყაჩაღი“; 50. გარდაცვლილის სული რომაულ მით-ში; 51. არატიპურობა; 53. ფრანგი მიმი; 54. თიხის პატარა ჭურჭელი; 55. წარმოსადეგი, მოსული; 57. ძიუდოისტების ოსტატობის ხარისხი; 58. პატარა თითი; 59. გ. ტაბიძის მუზა; 60. ძველი რომაული სამოსი; 63. ზრდილობიანი მიმართვა მამაკაცისადმი პოლონეთში.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| წყლის საღებავით დახატული სურათი | ნელი ტემპის აღმნიშვნელი ტერმინი (მუს.) | უნგრელი კომპოზიტორი | ქართველი მწერალი | იაპონური წამყვანი ბიზნეს-გამოცემა | აღმოსავლური ორთაბრძოლა ჯიუ.. | ქართული მინერალური წყალი | რაიონი რაჭაში |
|---|---|---|---|---|---|---|---|

| ყაიმი | დანაყოფები სიდიდეთა გასაზომად ხელსაწყოებში | წრეხაზის ფორმის საგანი | ბუნების მძლავრი მოვლენა | იტალიელი მოქანდაკე | ამერიკელი მსახიობი მამაკაცი | ხის საპობი იარაღი | ღრმა და ვიწრო ხეობა |
|---|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.


დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

ასავალ დასავალი

2022 წლის 2 – 8 მაისი №19 (1431)

გამოდის ორშაბათობით

2 009882 637296

მეღიაჰოლდინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

**სარედაქციო კოლეგია**

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

წერილები გამოგზავნეთ მისამართზე: **თბილისი, 0160, „ასავალ-დასავალი“**.
ტელეფონები: **215-25-25; 215-35-35; (+995) 570-50-50-50; (+995) 570-50-50-70**
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე:
**www. facebook.com/Asavali.com** გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**





**გაზეთი გამოდის COVID-19-ის ბიოტექნიკურ-დივერსიული პანდემიის მე-3 წელს**